

რევაზ თვარაძე

# რელიგიის ისტორია და კულტურა

მეხუთე კლასის სახელმძღვანელო

~~ნაყიბულა ხაჩიძე~~

~~რ. თვ~~  
2.1.2000

გამომცემლობა "კონა"  
თბილისი, 1999 2000



რევაზ თვარაძე

# რელიგიის ისტორია და კულტურა

ნაწილი პირველი  
ქრისტიანული მოძღვრების შესავალი

მესამე კლასის სახელმძღვანელო

გამომცემლობა „ჯეონა“

თბილისი  
1999

2000

ბიზნეს - სპეციალური  
საქმე - სპეციალური  
სხვაობა




დაამტკიცა საქართველოს  
განათლების სამინისტრომ

საქართველოს  
საბჭოთაო  
სისტემა

რედაქტორი

გ. ი. მურდულია

F114.440  
3



## ბიბლია

### თავი პირველი

სიტყვა „ბიბლია“, რაღა თქმა უნდა, ყველას გასმენიათ. ზოგიერთ თქვენგანს ალბათ უნახავს კიდევ ეს სქელი წიგნი, რომელიც ყოველ ქრისტიანს უნდა ჰქონდეს ოჯახში. ქრისტეს მოძღვრების მიმდევარს უბიბლიოდ არ გაეძლება. ტყუილუბრალოდ კი არ ეწოდება ამ წიგნს კიდევ „საღვთო წერილი“, „წმინდა წერილი“: რაც შიგ წერია, ღმერთის შეგონებით არის თქმული, უბრალო მოკვდავი ამ წიგნს ვერ დაწერდა, ეს არის ღვთივსულიერი, სულიწმინდის ნათელით გაბრწყინებული ქმნილებაო, – ასე სწამთ ქრისტიანებს.

საღვთო წერილი ანუ „ბიბლია“ მოგვითხრობს, როგორ შექმნა ღმერთმა უხილავი და ხილული სამყაროები, ზეცა და ღეღამიწა, ზღვა და ხმელეთი, როგორ გააჩინა მცენარეები, ცხოველები, ადამიანი; მოგვითხრობს, როგორ ცხოვრობდნენ პირველი ადამიანები, შემდეგ – მათი შთამომავალნი, როგორ ასწავლიდა ღმერთი ადამიანებს – გონივრულად იცხოვრეთო, ერთმანეთის სიყვარულით და სიკეთით იცხოვრეთო, როგორ ივიწყებდა ზოგჯერ ხალხი უფლის დარიგებას და უმსგავს საქმეებს მიჰყოფდა ხოლმე ხელს; იმასაც გვაუწყებს „ბიბლია“, როგორ მოველინა ქვეყნიერებას ადამიანთა საშველად და გამოსახსნელად ძე ღვთისა – იესო ქრისტე, როგორ გემოძღვრავდა, რას მოგვიწოდებდა ჩვენი მაცხოვარი, მერე როგორ შეიპყრეს, ტანჯეს და ჯვარს აცვეს იგი უკეთურმა ადამიანებმა, როგორ აღდგა სიკვდილის შემდეგ, რას იქმოდნენ და რას ასწავლიდნენ ხალხს მისი მოწაფეები ანუ მოციქულნი.

„ბიბლიის“ პირველ ნაწილს, რომელიც ქრისტეს მოსვლამდე მომხდარ ამბებს გვაცნობს, „ძველი აღთქმა“ ანუ „დაბადება“ ჰქვია; მეორე ნაწილს, იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების თავგადასავალის მომთხრობელს, –



„ახალი აღთქმა“. თავის მხრივ, „ახალი აღთქმა“ რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ამ ნაწილთაგან უმთავრესია „სახარება“.

ყველამ არ იცის. ეს. ზოგს ისე ჰგონია, თითქოს „ბიბლია“ მხოლოდ „ძველ აღთქმას“ ჰქვია, ხოლო „ახალი აღთქმა“, „სახარება“ სხვა რამ წიგნია. „ბიბლიაც“ მაქვს სახლში და „სახარებაც“, – იტყვიან ხოლმე. დავიმახსოვროთ, რომ ეს არის შეცდომა, რომ „სახარებაც“ „ბიბლიის“ შემადგენელი ნაწილია.

ისიც დავიმახსოვროთ, რომ „ძველი აღთქმა“ და „ახალი აღთქმა“ ერთ მთლიან, განუყოფელ წიგნად ქრისტიანებს მიგვაჩნია. ებრაელები ანუ იუდაიზმის მიმდევარნი მხოლოდ „ძველ აღთქმას“ მიიჩნევენ საღვთო წიგნად, „ახალ აღთქმას“ არ სცნობენ, მათთვის იესო ქრისტე არ არის განკაცებული ძე ღმერთი. ეს არის ქრისტიანული სარწმუნოებისა და იუდაიზმის ძირითადი განსხვავება.

სიტყვა „ბიბლია“ ბერძნულია და „წიგნებს“ ნიშნავს. ეს სახელი იმიტომ შეერქვა, რომ „ძველი აღთქმაც“ და „ახალი აღთქმაც“ სხვადასხვა წიგნებისგან შედგება. ვისაც ოჯახში აქვს „ბიბლია“, შეუძლია გადაფურცლოს და მის სარჩევს დახედოს პირველსავე გვერდზე. სარჩევში მსხვილი შრიფტით ანუ დიდი ასოებით ჯერ წერია „ძველი აღთქმა“. ამ სათაურს ქვემოთ უფრო მონაცრე შრიფტით ჩამოწერილია ცალკეულ წიგნთა სათაურები: „დაბადება“, „გამოსვლა“, „ლევიაანი“, „რიცხვნი“, „მეორე რჯული“ და სხვა, სულ 49 წიგნის სათაური. შემდეგ კვლავ მსხვილი შრიფტით წერია „ახალი აღთქმა“, რასაც მოსდევს უფრო მონაცრე შრიფტით აწვობილი ცალკეულ წიგნთა სათაურები: „სახარება მათესი“, „სახარება მარკოზისა“, „სახარება ლუკასი“, „სახარება იოანესი“, „მოციქულთა საქმე“ და სხვა, სულ 27 წიგნის სათაური. მერე და მერე თანდათანობით შევიტყობთ, რას ნიშნავს ამ წიგნთა სათაურები და რა არის მათში მოთხრობილი.

„ბიბლიის“ ცალკეულ წიგნებს მრავალი საუკუნის განმავლობაში კმნიდნენ სხვადასხვა ავტორები. სახელდობრ, „ძველი აღთქმის“ წიგნები ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე-პირველ საუკუნეებში იწერებოდა,

„ახალი აღთქმის“ წიგნები ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დაიწერა.

\* \* \*

ამთავითვე გვმართებს ვიცოდეთ ერთი რამ: „ბიბლიის“ ყოველი ცალკეული წიგნი კიდევ თავებად და მუხლებად იყოფა.

ავილოთ, მაგალითად, „ძველი აღთქმის“ პირველივე წიგნი — „დაბადება“. ამ სათაურის შემდეგ წერია „თავი პირველი“. ამას მოსდევს „თავი მეორე“, „თავი მესამე“ და ასე. წიგნი „დაბადება“ სულ ორმოცდაათი თავისგან შედგება. გარდა ამისა, თავები მუხლებად იყოფა. ყოველ თავში ოცამდე ან ოცადათამდე მუხლია, ზოგჯერ — ცოტათი ნაკლები ან ცოტათი მეტი, იშვიათად — გაცილებით მეტი.

იმის უკეთ წარმოსადგენად, თუ რა არის მუხლი, გადმოვწეროთ „ძველი აღთქმის“ პირველი წიგნის „დაბადების“ პირველი თავის რამდენიმე მუხლი:

ბიბლია  
ძველი აღთქმა  
დაბადება  
თავი პირველი

1. თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა.
2. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღეთისა იძვროდა წყლებს ზემოთ.
3. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი.
4. დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი.
5. ნათელს ღმერთმა უწოდა ღლე და ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო, იყო დილა — პირველი ღლე.



ერთხელ კიდევ დავაზუსტოთ სათქმელი: „ბიბლია“ შედგება „ძველი აღთქმისაგან“ და „ახალი აღთქმისაგან“. თავის მხრივ, „ძველი აღთქმა“ და „ახალი აღთქმა“ შედგება ცალკეული წიგნებისგან (ერთი ასეთი წიგნია, მაგალითად, „დაბადება“). ყოველი წიგნი იყოფა თავებად, ხოლო თავები – მუხლებად. მუხლი ერთი ან ორი, იშვიათად მეტი წინადადებისგან შედგება და, ჩვეულებრივ, დასრულებულ აზრს გამოხატავს.

ზემოთ მოტანილ ნიმუშში მუხლები არის ერთიმეორისგან ციფრებით გამოყოფილი წინადადებები.

მაგალითად, პირველი მუხლი: „1. თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“. მეორე მუხლი: „2. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და ხული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“.

მეხუთე მუხლი რომელი იქნება? პასუხი არ უნდა გავკვიძნელდეს: „5. ნათელს ღმერთმა უწოდა ღლე და ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო, იყო დღილა – პირველი დღე“.

ახლა ამგვარადვე წარმოვადგინოთ „ძველი აღთქმის“ კი არა, „ახალი აღთქმის“ ამა თუ იმ წიგნის რომელიმე თავის რამდენიმე მუხლი, ვთქვათ, „მათეს სახარების“ მეორე თავის დასაწყისის სამი მუხლი:

## ბიბლია

### ახალი აღთქმა

#### სახარება მათესი

#### თავი მეორე

1. როცა იუდეის ბეთლემში დაიბადა იესო ქრისტე, პეროდეს მეფობის ჟამს, აჰა, აღმოსავლეთით მოვიდნენ მოგვნი იერუსალემს,
2. და თქვეს: სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას.

3. ეს რომ გაიგო, შეძრწუნდა მეფე პეროდე და მთელი იერუსალემი მასთან ერთად.

აქაც ზუსტად ისეთივე სურათია, როგორიც „ძველი აღთქმის“ ერთი ნაწყვეტის განხილვისას ვნახეთ. „ძველი აღთქმის“ მსგავსად, „ახალი აღთქმაც“ „ბიბლიის“ ნაწილია და სხვადასხვა წიგნებისგან შედგება. „ახალი აღთქმის“ წიგნებიც თავებად და მუხლებად არის დაყოფილი. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე იყო „ახალი აღთქმის“ ერთ-ერთი წიგნის – „მათეს სახარების“ მეორე თავის პირველი სამი მუხლი.

ძველად ბიბლიური წიგნები თავებად და მუხლებად არ იყოფოდა, ტექსტი გაბმულად, სვეტებად იწერებოდა ლექსივით.

„ბიბლიის“ წიგნების თავებად და მუხლებად დაყოფა დიდად აადგილებს მის კითხვასა და მოხმარებას, აგრეთვე – საჭირო ადგილების მითითებას და მითითებული ადგილების მოძებნას.

„ბიბლიის“ ამა თუ იმ ადგილს გარკვეული წესის მიხედვით მიუთითებენ ხოლმე. ამ წესის თანახმად, არც სიტყვა „ბიბლია“ იწერება, არც „ძველი აღთქმა“ ან „ახალი აღთქმა“, პირდაპირ წიგნის სახელწოდება იწერება და ამას მოსდევს თავისა და მუხლის აღმნიშვნელი ციფრები. მაგალითად: დაბადება, 1,1-5. ეს იმას ნიშნავს, რომ მითითებულია „ბიბლიის“ წიგნი „დაბადება“, ამ წიგნის პირველი თავი და ამ თავის პირველი-მუხუთე მუხლები. ეს ის ადგილია, წელან რომ გადმოვწერეთ „ბიბლიიდან“.

სხვა მაგალითი: მათე, 2,1-3. ეს იმას ნიშნავს, რომ მითითებულია „ბიბლიის“ წიგნი „სახარება მათესი“, ამ წიგნის მეორე თავი და ამ თავის პირველი-მესამე მუხლები, რომლებიც აგრეთვე გადმოვწერეთ წელან.

დავიმახსოვროთ, რომ „ბიბლიის“ ამა თუ იმ ადგილის მითითება მხოლოდ ამ წესით ხდება. წიგნის გვერდების მიხედვით მითითება შეუწყნარებელია, თუმცაღა შესაძლოა სადმე წააწყდეთ კიდეც ამგვარ მითითებას, სადაც, ვთქვათ, ეწერება: „ბიბლია, გვ. 375“. ამგვარი მითითება იმას გვაუწყებს, რომ ამის დამწერი მაინცდამაინც განსწავლული კაცი არ ყოფილა.

კიდევ ის უნდა დავიმახსოვროთ, რომ მითითების დროს „ბიბლიის“



წიგნთა სათაურები, ჩვეულებრივ, შემოკლებულად იწერება ხოლმე, მაგალითად, ასე: „დაბ.“ ან „ეკლ.“ ან „მათ.“ ან „მარკ.“ და ამნაირად. „დაბ.“ ნიშნავს ძველი აღთქმის ერთ-ერთ წიგნს, რომელსაც „დაბადება“ ეწოდება. „ეკლ.“ ნიშნავს „ძველი აღთქმის“ ერთ-ერთ წიგნს, რომელსაც „ეკლესიასტე“ ეწოდება. „მათ.“ ნიშნავს „ახალი აღთქმის“ ერთ-ერთ წიგნს, რომელსაც ეწოდება „სახარება მათესი“. „მარკ.“ ნიშნავს ასევე „ახალი აღთქმის“ ერთ-ერთ წიგნს, რომელსაც ჰქვია „სახარება მარკოზისა“.

ცოტათი ძნელი გასაგები ხომ არ არის, რაც ამ წუთას ითქვა? ალბათ იოლი გასაგებიც არ უნდა იყოს. არ დალონდეთ, ახლავე მაგალითს მოვიშველიებთ და ყველაფერი მარტივი და ცხადი გახდება. აბა დაუუკვირდეთ მაგალითს:

ეკლ. 1,4.

ეს ნიშნავს, რომ მითითებულია „ძველი აღთქმის“ წიგნი „ეკლესიასტე“, ამ წიგნის პირველი თავი და ამ თავის მეოთხე მუხლი. გადავშალოთ „ბიბლია“ და სარჩევში წუთიც არ დაგვჭირდება „ეკლესიასტეს“ მოსაძებნად. „ეკლესიასტეს“ რა მოვძებნით, იქვე წერია „თავი პირველი“. ამას მოსდევს მუხლების ნუმერაცია. ამჯერად პირველი მუხლი არ გვჭირდება, არც მეორე, არც მესამე. ჩვენ გვჭირდება მეოთხე მუხლი. ერთ წამში მივაკვლევთ ამ მუხლს და წავიკითხავთ:

4. თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე.

დაუუკვირდეთ, რომ შესაძლოა ერთი მუხლი კი არ იყოს მითითებული, არამედ ორი ან რამდენიმე. ესეც სულ იოლი საპოვნელია. მაგალითად:

ეკლ. 1,4-5.

ეს ნიშნავს, რომ მითითებულია წიგნი „ეკლესიასტე“, ამ წიგნის პირველი თავი და ამ თავის მეოთხე და მეხუთე მუხლები, სადაც ამოვიკითხავთ:

4. თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე.

5. აღმოხდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება.

სხვა მაგალითი:

მათ. 6,9-13.

ეს იმას ნიშნავს, რომ მითითებულია „ახალი აღთქმის“ წიგნი „სახარება მათესი“, ამ წიგნის მეექვსე თავი და ამ თავის მეცხრე-მეცამეტე მუხლები. ჩვენ უკვე ვიცით, როგორც უნდა მოვიქცეთ: გადავშლით „ბიბლიას“, მოვძებნით „მათეს სახარებას“, ამ სახარების მეექვსე თავს, ბოლოს კი მეცხრე მუხლს, და წავიკითხავთ მეცხრედან მეცამეტე მუხლის ჩათვლით:

9. ხოლო ლოცვით ასე ილოცეთ: მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი:†

10. მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი როგორც ცაში, ისე ქვეყანაზედაც.

11. პური ჩვენი არსობისა მოგვეცე ჩვენ დღეს.

12. და მოგვიტევე ჩვენ ვალები ჩვენი, როგორც ჩვენ მიუუტევებთ ჩვენს მოვალეთა.

13. და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან. რადგან შენია სუფევა და ძალი და დიდება უკუნისამდე. ამინ.

„ბიბლიის“ ამა თუ იმ წიგნის თავებად და მუხლებად დაყოფა იმიტომ აადვილებს მის მოხმარებას, რომ ეს დაყოფა ყველგან ერთნაირია, უცვლელი. რომელ ენაზეც უნდა ნახოთ „ბიბლია“, – ბერძნული იქნება, გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული თუ სხვა, – ერთი და იგივე თავი და მუხლი ყველგან ერთსა და იმავე ტექსტს წარმოგვიდგენს. მაგალითად, „ეკლესიასტეს“ პირველი თავის მეოთხე-მეხუთე მუხლებში ყველგან – ბერძნულ „ბიბლიაშიც“, გერმანულშიც, ინგლისურშიც, ფრანგულშიც, რუსულშიც თუ სხვაგან – იგივე ეწერება, რაც ქართული „ეკლესიასტეს“ პირველი თავის მეოთხე-მეხუთე მუხლებში წავიკითხეთ. ასევე, მათეს სახარების მეექვსე თავის მეცხრე-მეცამეტე მუხლებში ყველგან ამოვიკითხავთ ცნობილ ლოცვას, საუფლო ლოცვას – „მამაო ჩვენოს“, როგორც ქართულ „ბიბლიაში“ ვნახეთ.

იმის ცოდნაც გვმართებს, რომ ყველა ენაზე, ჩვეულებრივ, „ბიბლიის“



რამდენიმე გამოცემა არსებობს. ქართული „ბიბლიის“ ამბავიც ასეა. ახლა ჩვენ წინ გვიდევს ქართული „ბიბლიის“ ახალი თარგმანი, 1989 წელს გამოცემული, საიდანაც ამოვწერეთ წელან ციტატები. შესაძლოა ქართული „ბიბლიის“ სხვა თარგმანი და სხვა გამოცემაც ჩაგვივარდეს ხელთ. იმ გამოცემის ტექსტი ცოტათი განსხვავებული იქნება. უკეთ რომ ვთქვათ, ტექსტი იგივე იქნება, იგივე ეწერება, რაც 1989 წლის გამოცემაში, ოღონდ ცოტათი განსხვავებული სიტყვებით და წინადადებებით. მაგალითად, „ეკლესიასტეს“ პირველი თავის მეოთხე-მეხუთე მუხლები ასე წაიკითხება:

4. ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქუეყანა ჰგიეს უკუნისამდე.

5. აღმოხდების მზე და დახდების მზე და ადგილადვე თვის-და მიიზიდავს, ესე აღმოაბრწყინებს მუნ.

მათეს სახარების მეექვსე თავის მეცხრე-მეცამეტე მუხლებშიც საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“ ასევე ცოტათი სხვაგვარად წაიკითხება:

9. ზოლო თქვენ ესრეთ ილოცედი: მამაო ჩუნო, რომელი ზარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი,

10. მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი ვითარცა ცათა შინა, ვგრეცა ქუეყანასა ზედა.

11. პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს.

12. და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევენთ თანამდებთა მათ ჩუენთა,

13. და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან. რამეთუ შენი არს სუფევაჲ და ძალი და დიდებაჲ საუკუნეთა მიმართ. ამინ.

ასეთი განსხვავებული სიტყვები და გამოთქმები გვხვდება „ბიბლიის“ ძველ ქართულ თარგმანებში, რომლებიც მრავალი საუკუნის წინ არის შესრულებული.

\* \* \*

რაკი „ბიბლიის“ თარგმანებსა და გამოცემებზე ჩამოვარდა სიტყვა, ცოტა რამ უფრო წერილად ეთქვათ.

„ბიბლიის“ პირველი ნაწილის, „ძველი აღთქმის“ ძირითადი ტექსტი ძველ ებრაულ ენაზე დაიწერა, მეორე ნაწილი, „ახალი აღთქმა“ თითქმის მთლიანად ბერძნულად შეიქმნა. აქვე შეგახსენებთ ზემოთქმულს, რომ „ძველი აღთქმა“ ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე-პირველ საუკუნეებში იწერებოდა, ხოლო „ახალი აღთქმა“ – ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში.

ქრისტიანობის გავრცელება რომ დაიწყო, ყველა გაქრისტიანებული ერი შეუდგა მთელი „ბიბლიის“ თუ მისი ცალკეული წიგნების თარგმნას თავის ენაზე. ცხადია, რომელი ერიც უფრო ადრე გაქრისტიანდა, „ბიბლიის“ თარგმანიც უფრო ადრე გაუჩნდებოდა. დღესდღეობით „ბიბლია“ მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი. ეს არის ყველაზე მეტად გავრცელებული წიგნი მთელ ქვეყნიერებაზე. არც ერთი სხვა წიგნი იმდენჯერ არ დაბეჭდილა, რამდენჯერაც „ბიბლია“. უკვე მილიარდამდე ეგზემპლარი დაისტამბა „ბიბლიისა“. თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ ათასჯერ ათასი არის მილიონი, ხოლო ათასჯერ მილიონი არის მილიარდი. წარმოიდგინეთ, რამდენი დაბეჭდილა „ბიბლია“.

სხვა ხალხთა შორის ქართველობა ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ქრისტიანობა მიიღო. ეს მოხდა მეოთხე საუკუნის დასაწყისში. ამავე საუკუნეში ქართულად უკვე ითარგმნა „ფსალმუნნი“ და „სახარება“. შემდგომში „ბიბლიის“ სხვა წიგნებიც გაჩნდა ქართულად, შეიქმნა ქართული „ბიბლიის“ სრული ტექსტი. საგულისხმოა, რომ ჩვენი წინაპრები ერთ თარგმანს კი არ დასჯერდნენ, „ბიბლიის“ სხვადასხვა წიგნები ხელახლა ითარგმნებოდა, ტექსტი კვლავ და კვლავ სწორდებოდა, უმჯობესდებოდა, იხვეწებოდა.

ეს თარგმანები ძველად, მეთვრამეტე საუკუნემდე, საქართველოში სტამბის გაჩენამდე ხელნაწერებად ვრცელდებოდა. როგორც მეოთხე კლასიდან გვახსოვს, ჩვენშიც და უცხოეთშიც მრავალი მონასტერი ქქონდათ ქართველებს. ისინი ამ მონასტერთა სენაკებში მამულისა და ღმერთის სიყვარულით გულანთებული მწიგნობარნი და სანთლის შუქზე იწერდნენ „ბიბლიას“, მის სხვადასხვა წიგნებს. ასე ვრცელდებოდა, მრავლდებოდა ქართული „ბიბლია“, ასე იფინებოდა საქართველო საღვთო წერილის ხელნაწერებით.

მშვენიერი სანახაია ეს ხელნაწერები, ყოველი ასო ისე გულმოდგინედ არის გამოყვანილი, გვერდობათ სტამბაში დაბეჭდილ წიგნს კითხულობთო. ხელნაწერთა გვერდები შემკულია მთავრული ასოებით, ნატიფი თავსართებით, ბოლოსართებით, ნახატებით, მინიატიურებით. ზოგიერთი წიგნი ჭედურ ყდაშია ჩასმული. ასეთია, მაგალითად, მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრებ იგამიუწვედენელ ოქრომჭედელთა – ბექა და ბეშქენ ოპიზარების მიერ მოჭედილი „სახარებები“. ასე რომ, ყოველი ამგვარი ხელნაწერი ხელოვნების დიდებული ნიმუშიც არის. მთელ ქვეყნიერებაზე შეგვიძლია მოვიწონოთ თავი ამ მართლაც საოცარი წიგნებით.

ვაგლახ, რომ თავის მოწონება კი არა, ამ წიგნების არსებობაც არ ვიცით. ანდა მხოლოდ არსებობა ვიცით, მაგრამ თვალთ არასოდეს გვინახავს ეს ფასდაუდებელი საგანძური. აბა ერთი გაუიკითხოთ ოჯახში, სკოლაში, ნათესაებებში, ახლობლებში, ნაცნობებში – ვინმე თუ არის ნამყოფი საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც ის საგანძური ინახება. ამ დიდ შენობაში მართლ „ბიბლია“ კი არ არის დაცული, უამრავი სხვა ძეგლიცაა, ათი ათასამდე ხელნაწერი წიგნი და სამოცი ათასამდე ხელნაწერი საბუთი. ეს იმნაირი სიმდიდრეა, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წიგნთსაცავებს დაამშვენებდა. ჩვენ კიდევ – უითომ არაფერი, გინდაც არ გვექონოდეს ის საზღაპრო საუნჯე.

მხოლოდ ამ საქმეში რომ შეღვენდებოდეს ჩვენი დაუდევრობა და გულგრილობა, ესეც არ გვეპატიებოდა. სავალალო ის არის, საერთოდ ასე გპრვევია ქართველებს: ჯეროვანად არ ვაფასებთ საკუთარ სიკეთეს. ეს არის

ქართველთა დიდზე დიდი ნაკლი.

ღმერთს ყოველივე უხვად უბოძებია ჩვენთვის – მრავალფეროვანი ბუნება, დოვლათიანი მიწა-წყალი, საამაყო ისტორია, უძველესი და უმდიდრესი კულტურა, სულიერი სიმადლე, გონიერება, საზრიანობა, ნიჭიერება, კეთილი გული, სიმკვირცხლე, სილაღე, ხალისიანობა, მშვენიერი გარეგნობა.

აი, როგორ აღწერს ქართველებს მეთვრამეტე საუკუნეში მცხოვრები გამორჩენილი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი (იგივე ვახუშტი ბატონიშვილი), მეფე ვახტანგ მეექვსის ძე:

„ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავთვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენთა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, საღაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი, სტუმართა და უცხოთ მოყვარენი, მხიარულნი (უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაჲ შეიჭირვიან), უხენი, საუნჯეთა არა მმესეულნი, გონიერნი, მსწრაფლმძიხდომნი, სწავლის მოყვარენი, ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი...“

სავალალო ის არის, შეშნობილი არ გვაქვს უფლის ეს დიდი წყალობა, არც ჩვენს ბუნებას ვუფროთხილდებით, არც ჩვენს მიწა-წყალს, არც ჩვენს ისტორიას, კულტურას, არც საკუთარ სიკეთესა და ღირსებას.

მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი კულტურა შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა. უცხოელებსაც კი აცვიფრებთ ქართული სიმღერისა და როკვის მომხიბვლელობა, ქართული ზეპირსიტყვიერებისა და მწერლობის განუმეორებელი მადლი, ძველთაძველ სამარხებში ნაპოვნი სამკაულები, ციხეთა და ტაძართა დიდმშვენიერება, მხატვრობა და ჭედურობა, უნიკალური ტრადიციები, ადამიანთა ერთიმეორესთან დამოკიდებულების, ურთიერთობის დახვეწილობა და სიფაქიზე, რაინდული ზრდილობა, მანდილოსნების გამორჩეული პატივისცემა, სუფრის, მოღზენის გამორჩეული წესი...


ყოველსავე ამას დაცვა სჭირდება, მზრუნველობით, სათუთად მოვლა-პატრონობა, რათა ამ კულტურას ჩვენც ვეზიაროთ და შთამომავლობას,



ჩვენს შემდგომ თაობებს კრძალულად დაცული ვუანდერძოთ.

ვაგლაზ, რომ არ ვიქცევით აგრე, ვაგლაზ, რომ ვერ დავიქადით გულშე-  
მატკიერობით. გულგრილნი ვართ, დაუდევარნი, გულარზეინნი, თავშეუდე-  
ბელნი, მცონარენი, შეუგნებელნიც და მოვლა-პატრონობაზე მეტად უყუ-  
რადლებობა გვემარჯვება, დაცვასა და შენახვაზე მეტად – განიავება.

უმაწეილი უნდა სწავლობდეს  
საეწოდლად თავისადია:  
ვინ არის, ხიდამ მოხუდია,  
ხად არის, წაუა ხიდას.



დავით გურამიშვილი

## თავი მეორე

„ბიბლიის“ შინაარსზე საუბრისას შევიტყვეთ, რომ „ძველი აღთქმის“ წიგნები ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე-პირველ საუკუნეებში იწერებოდა, ხოლო „ახალი აღთქმის“ წიგნები ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დაიწერა.

შესაძლოა ყველა თქვენგანმა არ იცოდეს, რას ნიშნავს „ძველი წელთაღრიცხვა“ და „ახალი წელთაღრიცხვა“.

თავდაპირველად სიტყვა „წელთაღრიცხვას“ დაუუკვირდეთ. რას გვეუბნება ეს სიტყვა? თუ ვერ გამოვიცანით, მაშინ ამგვარ ხერხს მივმართოთ: „წელთაღრიცხვა“ რთული სიტყვაა, ორი სხვადასხვა სიტყვისგან შედგება. გაეთიშოთ ეს სიტყვები და ცალ-ცალკე დავეწეროთ: წელთაღრიცხვა.

ჯერ აღრიცხვა რა არის, ის ეთქვათ: აღრიცხვა არის იგივე ანგარიში, რაიმეს დათვლა, რაიმეს რიცხვის დადგენა. მასწავლებელი შემოვიდა და აღრიცხა, რამდენი მოსწავლე არის ჩვენს კლასშიო, – იტყვის უნამუშაო. ეს იგივეა, რომ ეთქვას: მასწავლებელი შემოვიდა და დათვალა, რამდენი მოსწავლე არის ჩვენს კლასშიო.

მაშასადამე, უკვე კარგად ვიცით, რა არის აღრიცხვა. „წელთა“ რაღა არის?

ქართულში ერთმანეთის მონაცვლე ორი სიტყვა იხმარება: „წელიწადი“ და „წელი“. ხან ვიტყვი – ამა და ამ ამბის შემდეგ ხუთი წელიწადი გავიდაო, ხანაც ვიტყვი – ამა და ამ ამბის შემდეგ ხუთი წელი გავიდაო. „წელიწადიც“ და „წელიც“ ერთსა და იმავეს აღნიშნავს – დროის მონაკვეთს.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ გვინდა წელიწადების ანუ წლების ანგარიში, წლების დათვლა, წლების აღრიცხვა. როგორ ვიტყვი? ამ წუთას რომ ეთქვით, ისეც ვიტყვი და კიდევ სხვაგვარადაც: ჩვენ გვინდა წელიწადთა ანუ წელთა ანგარიში, წელთა დათვლა, წელთა აღრიცხვა.

### წელთაღრიცხვა.

ბოლოს და ბოლოს დაეუბრუნდით იმ სიტყვას, რომლის მნიშვნელობის გარკვევაც გვინდოდა, ახლა ვიცით ეს მნიშვნელობა და შეგვიძლია სხვა რამესაც მივაპყროთ ყურადღება.

წლების ანგარიში, წლების დათვლა, წელთა აღრიცხვა რომ არ ყოფილიყო, ერთობ გაგვირთულდებოდა ცხოვრება. ეთქვას, ისტორიული ამბები წლების მიხედვით რომ არ იყოს დალაგებული, ყველაფერი ერთმანეთში აგვერუოდა, ვერ დავადგენდით, რა რის შემდეგ მოხდა, რომელი ისტორიული პიროვნება როდის ცხოვრობდა, რომელი ომი როდის იყო და ასე უსასრულოდ.

მაგალითად, ამბობენ, რომ ჭაბუკ ვაჟა-ფშაველას ილია ჭავჭავაძემ ლექსები მოუწონა და თავის გაზეთში დაუბეჭდაო. მართალია თუ არა ეს ამბავი? იქნებ სინამდვილეში ვაჟა-ფშაველა ილია ჭავჭავაძეზე ბევრად უფროსი იყო? ანდა იქნებ სულაც სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ ისინი და ერთმანეთი არც ენახათ? არა, წელთაღრიცხვა გვამცნობს, რომ ილია ჭავჭავაძე 1837 წელს დაიბადა, ვაჟა-ფშაველა – 1861 წელს, ესე იგი ილია ჭავჭავაძე ვაჟა-ფშაველაზე ოცდაოთხი წლით უფროსი ყოფილა და შეცდომა არ იქნება, თუ ვირწმუნებთ, რომ მას მართლაც შეეძლო მოეწონებინა და დაეუბეჭდა ახალბედა პოეტის ლექსები.

ყოველ თქვენგანს გაგონილი ექნება დიდგორის ბრძოლის ამბავი. ამ ომში გამარჯვებამ მხოლოდ განადგურებას კი არ გადაარჩინა საქართველო, იმდროინდელი ქვეყნიერების ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. ვისი წყალობით გაიმარჯვეს დიდგორის ბრძოლაში ქართველებმა? თავისი გულოვანობის წყალობით, მაგრამ უმთავრესად მაინც დიდი მეფის დავით აღმაშენებლის წყალობით. კი მაგრამ, იქნებ დავით აღმაშენებელი სულ სხვა დროს ცხოვრობდა და დიდგორის ბრძოლა სულ სხვა დროს მოხდა? არა, წელთაღრიცხვა გვამცნობს, რომ დიდგორის ომი 1121 წელს მოხდა, დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში, რადგან დავით აღმაშენებელი 1125 წელს გარდაიცვალა.

მარტოოდენ ისტორიული ამბები კი არ აგვერუოდა, წელთაღრიცხვა

რომ არ არსებულებოდა, ისედაც ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში ბევრ რამეს დააბრკოლებდა წელთაღრიცხვის უქონლობა.

ყოველმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რამდენი წლის არის. როგორ გეპულობს კაცი - ამდენი და ამდენი წლის ვარო? წელთაღრიცხვის მეშვეობით. ვთქვათ, რომელიმე თქვენგანი 1984 წელს დაიბადა. რამდენი წლის იქნება 1995 წელს? ადვილი სათქმელია - თერთმეტის. სკოლაში როდის შევიყვანეს მშობლებმა? შვიდი წლის როცა იყავით, ესე იგი 1991 წელს.

წარმოვიდგინოთ, როგორ გაძნელებოდა ვისიმე წლოვანების დადგენა, წელთაღრიცხვა რომ არ ყოფილიყო. უამრავი ამდაგვარი მაგალითის გახსენება შეიძლება.

სოფლად და ზოგჯერ ქალაქადაც სულ ბოლო დრომდე შეხედებოდა ისეთ ადამიანებს, წელთაღრიცხვა, წლების ანგარიში რომ არ იცოდნენ და საკუთარ თავგადასავალს რაიმე მნიშვნელოვან ამბავთან დაკავშირებით იხსენებდნენ ზოლმე: იაპონიასთან ომი რომ დაიწყო, ცოლი მაშინ შევირთო; ნიკოლოზი რომ გადააგდეს, მეხუთე შვილი მაშინ მყოლაო; საწყალი მამაჩემი მაშინ მოკვდა, გორში დიდი მიწისძვრა რომ იყო.

ჩვენ ადვილად შეგვიძლია გამოვიცნოთ, რას უკავშირდება ეს ნათქვამები: რუსეთ-იაპონიის ომი 1904 წელს დაიწყო; „ნიკოლოზი გადააგდეს“, ანუ რუსეთის უკანასკნელი მეფის ნიკოლოზ მეორის მეფობა გააუქმეს 1917 წელს; გორში დიდი მიწისძვრა 1920 წელს მოხდა. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რა ძნელ დღეში იყვნენ ის ადამიანები, ვინც წელთაღრიცხვა არ იცოდა და საკუთარ თავგადასავალს, საკუთარ ბიოგრაფიასაც კი იმის მიხედვით აკონიწებდა თავის მეხსიერებაში, რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდებოდა თუ არა.

ერთი სიტყვით, შევთანხმდეთ: უწელთაღრიცხვოდ ადამიანს არ გაეძლება, მით უფრო - თანამედროვე ადამიანს, თანადროულ ცხოვრებაში ჩართულს, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვეჭირდება ამა თუ იმ თარიღის გახსენება და მოშველიება.

დღესდღეობით მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელებულია ის წელთაღრიცხვა, რომელსაც ყველანი ისე ვიყენებთ, არც კი ვუფიქრებთ ზოლმე/რო-

114.440



გორ დაწესდა ან როდის დაწესდა ეს წელთაღრიცხვა, ან რას უკავშირდება მისი შემოღება.

აი, ეს წიგნი, რელიგია და კულტურის მეხუთე კლასის სახელმძღვანელო, 1994 წელს დაიწერა და 1995 წელს დაიბეჭდა პირველად. წიგნი რომ ისტამბუბოდა, საქართველოშიც 1995 წელი იყო, ინგლისშიც, გერმანიაშიც, იტალიაშიც, ესპანეთშიც, ამერიკაშიც, არგენტინაშიც, ავსტრალიაშიც და ყველა სხვა ქვეყანაშიც. მაგრამ ვიკითხოთ ერთი: რატომ იყო მაინცდამაინც 1995 წელი და არა, ვთქვათ, 1195 წელი, ან კიდევ 3779 წელი?

იმიტომ, რომ 1995 წლის წინათ დაიბადა იესო ქრისტე.

დღევანდელი კაცობრიობა რომ იყენებს, ის წელთაღრიცხვა იესო ქრისტეს დაბადების წელს უკავშირდება.

ქრისტეს დაბადების, ქრისტეს შობის შემდეგ 33 წელიწადი რომ გავიდა, მაცხოვარი ჯვარს აცვეს. ესე იგი შეგვიძლია ვთქვათ, რომ იესო ქრისტე მოკვდა და მკვდრეთით აღდგა 33 წელს. ქრისტეს შობიდან 64 წელიწადი რომ გავიდა, რომის იმპერატორმა ნერონმა, ქრისტიანთა მოძულემ, ამ სარწმუნოების მიმდევართა მხეცური ჟლეტა მოაწყო და საკუთრივ ქალაქი რომიც ცეცხლს მისცა. ესე იგი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნერონმა რომი 64 წელს გადაწვა. ქრისტეს შობის შემდეგ 337 წელიწადი რომ გავიდა, მეფე მირიანმა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა. ესე იგი შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო 337 წელს გაქრისტიანდა. ქრისტეს შობიდან 1073 წელიწადი რომ გავიდა, დაიბადა ჩვენი სათაყვანებელი მეფე დავით აღმაშენებელი. ესე იგი შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავით აღმაშენებელი 1073 წელს დაიბადა. ქრისტეს შობიდან 1705 წელიწადი რომ გავიდა, დაიბადა დიდი პოეტი დავით გურამიშვილი. ესე იგი ამჯერადაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავით გურამიშვილი 1705 წელს დაიბადა.

ასლა სხვაგვარად ვთქვათ: რამდენი წელიწადი იყო გასული ქრისტეს შობიდან, რუსეთმა საქართველო რომ დაიპყრო? ალბათ გახსოვთ – 1801. რამდენი წელიწადი იყო გასული ქრისტეს შობიდან, საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა ხელახლა? ეს თარიღიც უნდა გახსოვდეთ – 1918. რამდენი წელიწადი იყო გასული ქრისტეს შობიდან, რუსეთმა კვლავ

რომ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო? ესეც ვიცით – 1921.


ამ წიგნის დაბეჭდვის თარიღს მიუებრუნდეთ. როდესაც ვამბობთ, რომ რელიგია და კულტურის მეხუთე კლასის სახელმძღვანელო პირველად 1995 წელს დაისტამბა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სახელმძღვანელოს დაბეჭდვისას 1995 წელი იყო გასული ქრისტეს დაბადების შემდეგ.

თანამედროვე კაცობრიობა ამ წელთაღრიცხვას იყენებს. მისი დასაწყისი ქრისტეს შობის წელიწადს უკავშირდება. თანადროული წელთაღრიცხვის საფუძველი ქრისტეს დაბადების წელიწადია. მას „ახალი წელთაღრიცხვა“ ეწოდება.

ყოველმა თქვენგანმა შესაძლოა რომელიმე წიგნში ამოიკითხოთ: გამოჩენილი მოაზროვნე, რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსი ახალი წელთაღრიცხვის 121 წელს დაიბადა. ამის წამკითხველებს უკვე გეცოდინებათ, რასაც ნიშნავს „ახალი წელთაღრიცხვის 121 წელი“. იმას ნიშნავს, რომ მარკუს ავრელიუსის დაბადებისას ქრისტეს შობიდან 121 წელიწადი ყოფილა გასული.

გარდა წლებისა, „ახალი წელთაღრიცხვა“ საუკუნეებთან დაკავშირებითაც ითქმის ხოლმე. სადმე წავიკითხავთ: ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში იესო ქრისტეს მოწაფეები ანუ მოციქულები სხვადასხვა ქვეყნებში ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას შეუდგნენო. რას ნიშნავს „ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე“?

ეს ნიშნავს ქრისტეს შობის შემდეგ გასულ ას წელიწადს. ეს ასი წელი რომ გაივლის, დაიწყება ქრისტეს შობის შემდეგ მეორე საუკუნე, ანუ ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნე. ახალი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნე როდის დაიწყება? ქრისტეს შობიდან ორასი წელიწადი რომ გაივლის, იმის შემდეგ. ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში საბერძნეთმა და საქართველომ ქრისტიანობა მიიღესო. ესე იგი: ქრისტეს შობიდან სამასი წელიწადი რომ გავიდა, ამის მერე დაიწყო მეოთხე საუკუნე, ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნე, როდესაც საბერძნეთმა და საქართველომ ქრისტიანობა მიიღეს. რუსეთმა როდის მიიღო ქრისტიანობა? ახალი წელთაღრიცხვის მეათე საუკუნეში. ესე გი: ქრისტეს შობი-



დან უკვე ცხრაასი წელიწადი იყო გასული, როდესაც დადგა ახალი წელთაღრიცხვის მეათე საუკუნე.

ეს მაგალითები იმისთვის მოვიშველიეთ, რომ უკეთ გაერკვეულიყავით, რას ეწოდება ახალი წელთაღრიცხვის ესა და ეს წელი, ახალი წელთაღრიცხვის ესა და ეს საუკუნე. ისე, ჩვეულებრივ, ეს გამოთქმები იმ ხანასთან დაკავშირებით იხმარება, რომელიც ჯერ კიდევ ახლოს არის ქრისტეს დაბადების თარიღთან. მერე და მერე „ახალი წელთაღრიცხვის“ ხმარება აღარ არის აუცილებელი. მაგალითად, არავენ იტყვის – შოთა რუსთაველი ახალი წელთაღრიცხვის მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდაო. უბრალოდ იტყვიან – შოთა რუსთაველი მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდაო. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს არის ახალი წელთაღრიცხვის მეთორმეტე საუკუნე. არც იმას იტყვის ვინმე – ვაჟა-ფშაველა ახალი წელთაღრიცხვის მეცხრამეტე საუკუნეში ცხოვრობდაო, ივანე ჯავახიშვილი ახალი წელთაღრიცხვის 1876 წელს დაიბადაო, არც იმას – გალაკტიონ ტაბიძე ახალი წელთაღრიცხვის 1891 წელს დაიბადაო. თქვენგანაც არავენ ამბობს – ახალი წელთაღრიცხვის 1984 წელს დაიბადაო. ყველა ამ შემთხვევაში თავისთავად იგულისხმება ახალი წელთაღრიცხვა.

გარდა „ახალი წელთაღრიცხვისა“, ითქმის კიდევ „ჩვენი წელთაღრიცხვა“, „ქრისტეს შობიდან“, „ქრისტეს შემდეგ“, „ახალი ერა“. მაგალითად: ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში იესო ქრისტეს მოწაფეები ანუ მოციქულები სხვადასხვა ქვეყნებში ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას შეუდგნენო. ან კიდევ: ქრისტეს შობიდან 411 წელს დიდი ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერიელი დაიბადაო. ქრისტეს შემდეგ მეორე საუკუნეში რომში სახელგანთქმული ქართველი მეფის ფარსმან ქველის ქანდაკება დადგესო. ახალი ერის მეხუთე საუკუნეში რომის იმპერია დაემხოო.

ეს გამოთქმები – „ახალი წელთაღრიცხვა“, „ჩვენი წელთაღრიცხვა“, „ქრისტეს შობიდან“, „ქრისტეს შემდეგ“ – შემოკლებულად იწერება ხოლმე ჩვეულებრივ „ახ.წ. 121 წ.“ ნიშნავს: „ახალი წელთაღრიცხვის 121 წელი“. „ჩ.წ. IV ს.“ ნიშნავს: „ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნე“. „III ს. ქ.შ.“ ნიშნავს: „III საუკუნე ქრისტეს შობიდან“ ან „III საუკუნე ქრისტეს შემდეგ“.

ახლა ისეთი რამ ეთქვათ, რამაც ზოგიერთი თქვენგანი შესაძლოა გააკვირვოს კიდევ. ახალი წელთაღრიცხვა, რომელიც დღეს მთელ ქვეყნიერებაზე იხმარება, ქრისტეს შობისთანავე ან მის სიცოცხლეშივე კი არ შემოულიათ, იესო ქრისტე რომ დაიბადა, იმ დროიდანვე კი არ დაუწყიათ წლების ახლებურად თელა, ანუ ანგარიში, ანუ აღრიცხვა. ეს ამბავი გაცილებით გვიან მოხდა, ახალი წელთაღრიცხვის შეექვსე საუკუნეში მაშინ გამოთვალეს, როდის დაიბადა იესო ქრისტე, მისი დაბადების წელი საწყის წლად მიჩნიეს და შემდგომი ისტორია ამის მიხედვით გააწყვეს. ოღონდ წლების ეს ახლებური ანგარიში, ახალი წელთაღრიცხვა მაშინვე არ ქცეულა საყოველთაოდ. საუკუნეები გავიდა, ვიდრე ამ წელთაღრიცხვას კაცობრიობის მეტი ნაწილი ვაითავისებდა.

მანამდე წლების გასელას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ანგარიშობდნენ. წელთა აღრიცხვის დასაწყისად მაინცვდნენ, ეთქვათ, რომელიმე ხელმწიფის გამეფების წელიწადს და იქიდან მოყოლებული ითვლიდნენ – მისი გამეფებიდან ამდენი და ამდენი წელიწადი გავიდაო. იმ ხელმწიფეს სხვა რომ შეცვლიდა, უკვე ამის გამეფების წლიდან იწყებდნენ ანგარიშს, შემდეგ – მომდევნო ხელმწიფის გამეფების წლიდან და ასე.

წლების აღრიცხვის სხვაგვარი წესებიც იცოდნენ ძველად, ახალი წელთაღრიცხვის შემოღებამდე და გავრცელებამდე. ყვარის ვლასებში

ერთი ამდაგვარი წესი იყო ქართული ქორონიკონი, რომელიც 532 წელიწადს შეიცავდა. ამის თაობაზე დაწერილებით მუშუილე კლასში ვისაუბროთ, ამჯერად მხოლოდ მოკლედ ეთქვათ: ასტრონომიული გაანგარიშებების საფუძველზე რომელიდაც ერთი წელიწადი საწყისად მიიჩნეოდა და იქიდან მოყოლებული ითვლიდნენ: ერთი, ორი, სამი, ათი, ოცი, ასი წელიწადი და ასე მიყოლებით. 532 წელიწადი რომ გაივლიდა, ახალი ქორონიკონი იწყებოდა და თელას ერთიდან მოჰყვებოდნენ ხელახლა.

ამგვარი წელთაღრიცხვა ბევრად სჯობდა ისეთს, ამა თუ იმ ხელმწიფის გამეფების წლიდან რომ იწყებდა ანგარიშს. რადგან იმ ხელმწიფეს, დიდი-დიდი, ორმოც წელიწადს ემეფა. ჩვეულებრივ თხუთმეტ, ოც ან ოცდახუთ წლამდე მეფობდნენ ხოლმე, ზოგჯერ – თხუთმეტ წელზე ნაკლებსაც.

შემდეგ ტახტზე სხვა ადიოდა, წელთა აღრიცხვა ხელახლა იწყებოდა და, ახსნეულები რომ გაივლიდა, უკვე საკმაოდ ძნელი გამოსათვლელი ხდებოდა ამა თუ იმ ამბის, მოვლენის თარიღი.

ძველ რომაელებს თავისებური წელთაღრიცხვა ჰქონდათ. დასაწყისად მიჩნეული იყო ქალაქ რომის დაფუძნების წელი და იქიდან მოყოლებული ითვლიდნენ დროს. ამ წელთაღრიცხვას მარტოოდენ მანამდე ჰქონდა მნიშვნელობა, სანამ რომის სახელმწიფო არსებობდა. შემდეგ დაეიწყებას მიეცა.

მაჰმადიანურ ქვეყნებში სხვაგვარი წესი იყო და ზოგან დღესაც არის მიღებული. იქ წელთაღრიცხვას იმ წლიდან იწყებდნენ, როდესაც ისლამის დამფუძნებელი მაჰმადი ქალაქ მექადან ქალაქ მედინაში გადასახლდა. ეს მოხდა ახალი წელთაღრიცხვის 622 წელს. წელთაღრიცხვის ამ წესს „ჰიჯრა“ ეწოდება.

წელთაღრიცხვის კიდევ მრავალი წესი არსებობდა და დღესაც არსებობს ქვეყნიერებაზე. აქ ყველას ვერ ჩამოვთვლით. ერთადერთი ის ვთქვათ, რომ ოდესმე არსებულთაგან უმჯობესი ის წელთაღრიცხვაა, რომელსაც დღესდღეობით იყენებს კაცობრიობის უმრავლესობა და რომელიც დასაწყისად ქრისტეს შობის წელს მიიჩნევს. როგორც უკვე მრავალგზის ვთქვით, მას „ახალი წელთაღრიცხვა“ ან „ჩვენი წელთაღრიცხვა“ ჰქვია.

ახლა ის გავარკვიოთ, რას ჰქვია „ძველი წელთაღრიცხვა“, რატომ იხმარება გამოთქმები: „ძველი წელთაღრიცხვით“, „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“, „ქრისტეს შობამდე“, „ქრისტეს დაბადებამდე“, „ქრისტეს წინ“, „ჩვენს ვერამდე“.


ამ გამოთქმებით ის დრო იგულისხმება, რომელიც გავიდა უხსოვარი ხანიდან იესო ქრისტეს შობამდე. ამ დროის საანგარიშოდ ამნაირად ვიქცევით: ქრისტეს დაბადებამდე გასულ წლებს შებრუნებულად, უკულმა ვითვლით. თუ ახალი წელთაღრიცხვის პირველ წელს მეორე მოსდევს, მეორეს – მესამე, მესამეს – მეოთხე და ასე, ვთქვათ, 1995 წლამდე, ძველი წელთაღრიცხვის პირველ წელს მეორე წელი კი არ მოსდევს, პირიქით, მეორე წელი პირველს წინ უსწრებს, მეორეს მესამე უსწრებს წინ, მესამეს – მეოთხე და ასე უსასრულოდ.

ვთქვათ, ქრისტეს შობამდე ათი წლის წინათ რალაც ამბაუი მოხდა. ამ თარიღს ასე აღვნიშნავთ: ძველი წელთაღრიცხვის 10 წელი, ან 10 წელი ძველი წელთაღრიცხვით. შემდეგ ამას 11 წელი კი არ მოსდევს, არამედ – 9 წელი, ძველი წელთაღრიცხვის 9 წელი. შემდეგ? შემდეგ – ძველი წელთაღრიცხვის რვა, შეიღიწხუთი, ოთხი, სამი, ორი და, ბოლოს, ძველი წელთაღრიცხვის პირველი წელი, რასაც უკვე ახალი წელთაღრიცხვის პირველი წელი მოსდევს და წლის აღმნიშვნელი რიცხვები წაღმა მწკრივდება – ახალი წელთაღრიცხვის პირველი, ორი, სამი წელი და ასე მიყოლებით.

ძველი წელთაღრიცხვის თერთმეტი წელი ათის შემდეგ კი არ იქნება, ათის წინ იქნება. თერთმეტის წინ, თერთმეტამდე თორმეტი იქნება, თორმეტის წინ – ცამეტი, ცამეტის წინ – თოთხმეტი და ასე.

ძველი წელთაღრიცხვის აღნიშვნისას რიცხვები შებრუნებული რიგით, უკულმა მისდევს ერთიმეორეს.

დაუუკვირდეთ აქ წარმოდგენილ სქემას. ცენტრში წრე აღნიშნავს ქრისტეს შობის თარიღს. მის მარჯვნივ გამწკრივებული რიცხვები ახალ წელთაღრიცხვას აღნიშნავს, მარცხნივ გამწკრივებული რიცხვები – ძველ წელთაღრიცხვას. მარჯვნივაც და მარცხნივაც შეგვიძლია უხასრულოდ მივაშატოთ რიცხვები. ვთქვათ, ახალი წელთაღრიცხვის 1000 წლის შემდეგ დავეწროთ 2000, 3000 და ასე. იგივე შეგვიძლია გავაკეთოთ მარცხენა მხარეს, ძველი წელთაღრიცხვის მხარეს, ოღონდ იქ ორი ათასი ათასის შემდეგ კი არ დაიწერება, ათასის წინ დაიწერება. თავის მხრივ, ორი ათასის წინ სამი ათასი დაიწერება, სამი ათასის წინ – ოთხი ათასი და ასე უხასრულოდ.



ბნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ საუკუნეებზეც ზუსტად იგივე ითქმის, რაც წლების შესახებ ითქვა.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეს მეორე მოსდევს, მეორეს – მესამე და ასე, ვთქვათ, ჩვენს საუკუნემდე, მეოცე საუკუნემდე. ჩვენს საუკუნეს, მეოცე საუკუნეს, წინ მეცხრამეტე საუკუნე უსწრებდა, მეოცე სა-



უკუნეს ოცდამეერთე მოკცევა, ოცდამეერთეს – ოცდამეორე და მომდევნო.

მაგრამ ქრისტეს შობამდე გასული საუკუნეები შებრუნებულად, უკულმა მწკრივდება. ქრისტეს შობამდე გასულ ას წელიწადს ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე კქვია. ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეს წინ უსწრებს ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნე, მეორეს წინ უსწრებს მესამე, მესამეს – მეოთხე და ასე უსასრულოდ.

ზემოთ ითქვა, რომ „ძველი აღთქმის“ წიგნები ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე-პირველ საუკუნეებში იწერებოდაო. კიდევ ერთხელ დაუუკვირდეთ, რა არის ნათქვამი. ახალი წელთაღრიცხვა რომ ყოფილიყო, ვეტყვოდით – პირველ-მეცამეტე საუკუნეებში იწერებოდაო. მაგრამ რაკი ძველ წელთაღრიცხვასთან გვაქვს საქმე, შებრუნებულად, უკულმა ვამბობთ – ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე-პირველ საუკუნეებში იწერებოდაო. ეს იმას ნიშნავს, რომ „ძველი აღთქმის“ წიგნების წერა ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნეში დაიწვეს. ამას მოკცევა ძველი წელთაღრიცხვის მეთორმეტე საუკუნე, შემდეგ – ძველი წელთაღრიცხვის მეთერთმეტე, მეათე, მეცხრე, მერვე, მეშვიდე, მეექვსე, მეხუთე, მეოთხე, მესამე, მეორე საუკუნეები და ბოლოს მოვედით ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე, როდესაც დასრულდა „ძველი აღთქმის“ წიგნების შექმნა.

ყველას გვსმენია არგონავტების ლაშქრობის ამბავი. უსაჩინოესი ბერძენი ვაჟკაცები ჩასხდნენ ზომალდში, რომელსაც „არგო“ ერქვა, და შავი ზღვით მოაშურეს საქართველოს დასავლეთ მხარეს, სადაც იმ დროს ძლიერი, მდიდარი, აყვავებული, კულტურით განთქმული კოლხეთის სამეფო იყო. არავინ იცის, ზუსტად როდის მოხდა ეს ამბავი, დაახლოებით სამი ათას სამასი წლის წინათო, – ასე ითქმის ზოლმე.

შევეცადოთ გამოვთვალოთ, რომელი საუკუნე იქნებოდა სამი ათას სამასი წლის წინათ.

ქრისტეს შობიდან ჩვენს დრომდე ორი ათასი წელია გასული, ესე იგი, რაკი არგონავტების ლაშქრობა სამი ათას სამასი წლის წინათ შედგა, ახალი წელთაღრიცხვის ფარგლებში ვერ მოთავსდება ის ამბავი. სამი ათას სამასს ორი ათასი რომ გამოვაკლოთ, კიდევ ათას სამასი წელი დაგვრჩება

და ეს ათას სამასი წელიწადი ძველ წელთაღრიცხვას უნდა მივათვალოთ. მაშასადამე, არგონავტების ლაშქრობა მოეწყო ქრისტეს შობამდე დაახლოებით ათას სამასი წლის წინათ. რომელი საუკუნე იქნება ქრისტეს შობამდე ათას სამასი წელი? ამის გამოთვლა არ უნდა გაგვიძნეოდეს – ეს იქნება ქრისტეს შობამდე ანუ ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნის დასაწყისი.

ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნიდან ქრისტეს შობამდე ცამეტი საუკუნე გაიდა. ამის შემდეგ ახალი წელთაღრიცხვა იწყება, ახალი წელთაღრიცხვის პირველი, მეორე, მესამე და მომდევნო საუკუნეები ჩვენს დრომდე, მეოცე საუკუნის მიწურულამდე. სულ რამდენი საუკუნე გამოდის? ძველი წელთაღრიცხვის ცამეტი საუკუნე და ახალი წელთაღრიცხვის ოცი საუკუნე, ესე იგი სულ ოცდაცამეტი საუკუნე.

კოლხეთის ბრწყინვალე სამეფო დაახლოებით ოცდაცამეტი საუკუნის ანუ სამი ათას სამასი წლის წინათ არსებულა.

ისევე როგორც ახალი წელთაღრიცხვის წლები და საუკუნეები, ძველი წელთაღრიცხვის წლები და საუკუნეებიც ჩვეულებრივ შემოკლებულად იწერება ხოლმე. „ძვ. წ. 200 წ.“ ნიშნავს: „ძველი წელთაღრიცხვის 200 წელი“. „IV ს. ძვ. წ.“ ნიშნავს: „IV საუკუნე ძველი წელთაღრიცხვით“ და ასე.

აქვე უნდა ითქვას, რომ, როგორც ქრისტეს შობამდე, ისე ქრისტეს შობის შემდეგ გასული დროის აღსანიშნავად ალბათ უმჯობესია ვიხმაროთ გამოთქმები „ძველი წელთაღრიცხვა“ და „ახალი წელთაღრიცხვა“. ნაკლებ სასურველია გამოთქმები: „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“ და „ჩვენი წელთაღრიცხვით“, „ქრისტეს შობამდე“ და „ქრისტეს შობიდან“, „ქრისტეს წინ“ და „ქრისტეს შემდეგ“, „ძველი ერა“ და „ახალი ერა“. ამნაირ გამოთქმათა შემოკლების დროს უხერხულობას თუ გაუგებრობას გადავაწყვებით ხოლმე.

მაგალითად, როდესაც ვამოკლებთ გამოთქმებს: „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“ და „ჩვენი წელთაღრიცხვით“, ორივე შემთხვევაში ერთნაირ, განუსხვავებელ ფორმას ვღებულობთ – „ჩვ. წ.“, „IV ს. ჩვ. წ.“. რა უნდა ქნას ამის წამკითხველმა – „IV ს. ჩვ. წ.“ გაიგოს როგორც „მეოთხე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე“, თუ „მეოთხე საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვით“?



ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამგვარ დაწერილობას მიმართავენ ხოლმე: „IV ს. ჩვ. წ.-ალ-მდე“ და „IV ს. ჩვ. წ.-ალ-ით“. მაგრამ ეს უკვე შემოკლება კი არა, რალაც რებუსი გამოდის. ამასთან, ყოვლად უხერხული დასაწერია „ჩვ. წ.-ალ-მდე“.

ასევე უხერხულობას ქმნის შემოკლება „ქ. შ.“, „IV ს. ქ. შ.“. მკითხველი ვერ გაიგებს, რომელ დროს გულისხმობს ამის დაწერილი – მეოთხე საუკუნეს ქრისტეს შობამდე, თუ მეოთხე საუკუნეს ქრისტეს შობის შემდეგ?

შემოკლების დროს უფრო გასაგებია ამგვარი დაპირისპირება: „ქრისტეს წინ“ და „ქრისტეს შემდეგ“, შემოკლებით: „ქ. წ.“ და „ქ. შ.“. მაგრამ მხოლოდ მაშინ არის გასაგები, თუკი ერთიმეორის გვერდიგვერდ იხმარება ეს გამოთქმები. უამისოდ ცალკე აღებული „ქ. შ.-ს“ დანახვისას მკითხველი კვლავ დაიბნევა: „ქრისტეს შემდეგ“ იგულისხმება აქ, თუ „ქრისტეს შობამდე“?

ასე რომ, ალბათ თქვენც დაასკვნით: უმჯობესია ეიხმართ გამოთქმები „ძველი წელთაღრიცხვა“ და „ახალი წელთაღრიცხვა“, შემოკლებულად – „ძვ. წ.“ და „ახ. წ.“.

## ქართული ერის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი თარიღები

ძვ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეები – მეფე ფარნავაზმა დააარსა პირველი გაერთიანებული ქართული სახელმწიფო.

ახ. წ. მეორე საუკუნე – რომაელებმა, რომლებსაც იმდროინდელი კულტურული ქვეყნიერების დიდი ნაწილი ჰქონდათ დაპყრობილი, იბერიის ხელმწიფესთან ფარსმან მეორესთან ბრძოლას მასთან დამეგობრება ამჯობინეს, ფარსმანი თავისი ამალით რომში მიიწვიეს და სტუმართა ასპარეზობით მოხიბლულებმა რომში, მარსის მოედანზე, ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება აღმართეს.

მეოთხე საუკუნის პირველი ნახევარი – წმინდა ნინომ ქრისტეს რჯული გვიქადაგა. საქართველო გაქრისტიანდა. შეიქმნა ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძველი ქართული მწერლობისა – „ნინოს ცხოვრება“.

მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარი – ვახტანგ გორგასალმა დაიწყო ქალაქ თბილისის შენება.

411-491 (დაუზუსტებელი თარიღებია) – პეტრე იბერიელის ცხოვრების წლები. პეტრე იბერიელმა იერუსალიმში ააგო ქართული მონასტერი.

მეექვსე საუკუნე – საქართველოში ჩამოვიდნენ ასურელი მამები.

586-604 წლები – აიგო მცხეთის ჯვარი.

მეშვიდე საუკუნის 20-30-იანი წლები – აიგო წრომის ტაძარი.

759-861 – გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების წლები.

888 წელი – ქართლის სამეფო ტახტი ბაგრატიონთა დინასტიამ დაიკავა.

951 წელი – გიორგი მერჩულემ დაწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

978-988 წლები – მიქელ მოდრეკილმა შეადგინა კიმნოგრაფიული (სახულიერო ლექსების, საგალობლების) კრებული, რომელშიც შესულია მრავალი იმდროინდელი ბრწყინვალე პოეტის ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებებს

დართული აქვს მუსიკალური დამწერლობის ნიშნები.

975-1014 - ხელახლა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის - ბაგრატ მესამის ხელმწიფობის წლები.

980-983 წლები - საბერძნეთში, ათონის მთაზე, აშენდა დიდებული ქართული მონასტერი, სადაც მოღვაწეობდნენ იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელები ანუ მთაწმინდელები.

მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისი - აიგო სვეტიცხოველის, ალავერდის, ბაგრატიის ტაძრები.

1073-1125 - დავით აღმაშენებლის ცხოვრების წლები.

1089 - დავით აღმაშენებლის გამეფების წელი.

1103 წელი - გაიმართა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება.

1106 წელი - დაიწყო გელათის მონასტრის მშენებლობა.

1121 წელი - დიდგორის ბრძოლა.

1122 წელი - დავით აღმაშენებელმა საქართველოს დაუბრუნა ოთხი საუკუნის განმავლობაში მტრების მიერ პყრობილი დედაქალაქი თბილისი.

მეთორმეტე საუკუნის დამლევი - შოთა რუსთაველმა დაწერა „ვეფხისტყაოსანი“.

1160-1213 (დაუზუსტებელი თარიღებია) - თამარ მეფის ცხოვრების წლები.

1195 წელი - შამქორის ბრძოლა.

1203 წელი - ბასიანის ბრძოლა.

1225 წელი - გარნისის ბრძოლა, ჯალალედინის შემოჭრა. დაემხო დიდი საქართველო.

1235 წელი - საქართველოში შემოიჭრენ მონღოლები.

მეთოთხმეტე საუკუნე - დაიწერა „ქართლის ცხოვრების“ გამორჩეული თხზულება - ეგრეთ წოდებული მონღოლთა დროინდელი მატეიანე ფამთააღმწერელისა.

1314-1346 - გიორგი ბრწყინვალის მეფობის წლები.

1386-1403 წლები - თემურლენგის რვა გამანადგურებელი შემოსევა საქართველოში.

1412-1442 – ალექსანდრე დიდის მეფობის წლები.

მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარი – იწყება ერთიანი საქართველოს დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად.

1609 წელი – თევდორე მღვდლის თავდადება.

1614, 1616 წლები – შაჰ აბასის გამანადგურებელი შემოსევები ქართლსა და კახეთში.

1625 წელი – მარტყოფის ბრძოლა.

1658-1725 – სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების წლები.

1705-1792 – დავით გურამიშვილის ცხოვრების წლები.

1709 წელი – გაიმართა პირველი ქართული სტამბა და დაიბეჭდა „სახარება“, შემდეგ – „ვეფხისტყაოსანი“.

1762 წელი – ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანება.

1783 წელი – საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის თანახმადაც ამ ორ ქვეყანას მომავალში მეგობრობა დააკავშირებდა.

1795 წელი – კრწანისის ბრძოლა.

1801 წელი – რუსეთმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და დაიპყრო საქართველო.

1817-1845 – ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების წლები.

1825-1896 – გაბრიელ უპისკოპოსის ცხოვრების წლები.

1832 წელი – სოლომონ დოდაშვილმა გამოსცა პირველი ქართული ჟურნალი.

1837-1907 – ილია ჭავჭავაძის ცხოვრების წლები.

1840-1915 – აკაკი წერეთლის ცხოვრების წლები.

1849 წელი – საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ პროფესიულ თეატრს.

1851 წელი – თბილისში გაიხსნა ოპერის თეატრი.

1852-1853 და 1857-1875 წლები – გამოდიოდა სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“.

1857-1934 – ვასილ ბარნოვის (ბარნაველის) ცხოვრების წლები.

1861-1915 - ვაჟა-ფშაველას ცხოვრების წლები.

1863 წელი - ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა თერგდა-  
ლეულთა პირველი სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

1876-1940 - ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების წლები.

1877 წელი - ილია ჭავჭავაძემ დააარსა გაზეთი „ივერია“.

1880-1962 - გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების წლები.

1891-1959 - გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების წლები.

1891-1975 - კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების წლები.

1916 წელი - გამოვიდა ჟურნალი „ცისფერი ყანწები“.

1918 წელი - აღდგა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

## თავი მესამე

თუ გახსოვთ, ზემოთ ამგვარი რამ ვთქვით: ქართველები დაუდევარნი ვართ, ჩვენს კულტურას არ ვუფრთხილდებით, არ ვუვლით, იმისთვისაც კი არ ვიწუხებთ თავს, ხელნაწერთა ინსტიტუტში მივიდეთ და „ბიბლიის“ უძველესი და უმშვენიერესი ქართული ხელნაწერები ჩვენი თვალით ვიხილოთ.

ახლა ის ვიკითხოთ: რომც მივიდეთ და ვიხილოთ ის დიდებული ხელნაწერები, მათს წაკითხვას თუ შევძლებთ?

გულდაწყვეტილებმა უნდა ვთქვათ, რომ ალბათ ვერც ერთი თქვენგანი ვერ შეძლებს თუნდაც ერთი სტრიქონის წაკითხვას. რადგან ის წიგნები სხვაგვარი დამწერლობით ანუ სხვაგვარი ანბანით არის დაწერილი, იმგვარი დამწერლობით, რომელსაც ასომთავრული და ნუსხური ჰქვია.

ჩვენ რომ ახლა ანბანს ვიყენებთ, ის არის მხედრული დამწერლობა, მხედრული ანბანი. მხედრულს წინ უსწრებდა ნუსხური დამწერლობა, ნუსხურს – ასომთავრული.

პირველი ქართული ანბანი, პირველი ქართული დამწერლობა ასომთავრული იყო. ამ ანბანს კიდევ მრგვლოვანს ანდა მრგლოვანს უწოდებენ, რადგან მისი მოხაზულობა უმთავრესად მომრგვალებულია.

როდის შეიქმნა პირველი ქართული დამწერლობა ანუ ასომთავრული?

საქართველოს ძველი ისტორიის წიგნს „ქართლის ცხოვრებას“ ვინც წაიკითხავს, თითქოს ადვილად უნდა გასცეს პასუხი ამ შეკითხვას. „ქართლის ცხოვრების“ ერთ ადგილას მოთხრობილია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პირველი გაერთიანებული სამეფოს დამაარსებლის ფარნავაზის თავგადასავალი, სადაც ასეთი რამ წერია:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესაეთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქარ-

თული“.

„ქართლოსისა ნათესაეთაგანი“, „არღარა იზრახებოდა“ ან „თვინიერ“ რას ნიშნავს, ამის გაგებას კიდევ მოვესწრებით, „სიტყვათა სალაროში“ ამოვიკითხავთ. ამჯერად ჩვენთვის უმთავრესი ის არის, რომ მემკატანე გვამცნობს: მწიგნობრობა ქართული, ესე იგი ქართული დამწერლობა, ფარნავაზმა შექმნაო.

დიდი ხელმწიფე ფარნავაზი ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის მიწურულს და მესამე საუკუნის პირველ ნახევარში მეფობდა. ჩვენ უკვე ვიცით, რაც არის ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის მიწურული ანუ დასასრული: იმ დროიდან ქრისტეს შობამდე სამი საუკუნე გავიდა. აქეთ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის ოცი საუკუნეა. მამასადაძე ფარნავაზი გამეფებულა ოცდასამი საუკუნის ანუ ორი ათას სამასი წლის წინათ.

გამოდის, რომ ქართული დამწერლობა, ქართული ანბანი დაახლოებით ოცდასამი საუკუნის ანუ ორი ათას სამასი წლის წინათ შეუქმნიათ.

ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ სხვაგვარი შეხედულებაც არსებობს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ქართული ანბანი ფარნავაზს კი არ შეუქმნია, მანამდეც, ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნემდეც უკვე არსებობდა და ფარნავაზმა ეს არსებული ანბანი გაავრცელა, საყოველთაო ხმარებაში შემოიღო. არიან კიდევ სხვა მეცნიერები, რომლებიც ფიქრობენ – ქართული დამწერლობა ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე ან მეხუთე საუკუნეში შეიქმნაო.

რომელია ამ სამი თვალსაზრისიდან უფრო სწორი, მომავალში გაირკვევა. მანამდე ზოგიერთი რამ უნდა დავიმახსოვროთ.

ერთი ის, რომ ქართული ანბანი ძალიან ძველია, ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში.

მეორე ის, რომ დედამიწის ზურგზე ასეულობით ერი სახლობს, მაგრამ ვეღას კი არ აქვს საკუთარი ანბანი, დიდზე დიდი უმრავლესობა სხვის ანბანს იყენებს. ანბანი ანუ დამწერლობა სულ თოთხმეტია ქვეყნიერებაზე და ამ თოთხმეტიდან ერთი ქართული დამწერლობაა.

მესამე კიდევ ის, რომ პირველი ქართული ანბანი ასომთავრული იყო.

ასომთავრულისგან თანდათანობით განვითარდა ნუსხური დამწერლობა, ხოლო ნუსხურისგან — მხედრული, ის ანბანი, დღეს რომ ვიყენებთ ქართველები.

ახლა ის ვიკითხოთ, როგორი იყო ასომთავრული ანბანი?

დღევანდელი ჩვენი ანბანი, ესე გი — მხედრული, როგორია, ვველამ კარგად ვიცით: ლამაზი მოხაზულობა აქვს ჩვენს ასოებს, მსოფლიოში დღესდღეობით არსებული თოთხმეტე დამწერლობიდან ქართულსაც შეუძლია თავი მოიწონოს თავისი მოხდენილობით და სინატიფით, მწყობრი აღნაგობით.

ასომთავრული სხვაგვარია შესახედად, მაგრამ ისიც უმშვენიერესი ანბანია. ასომთავრულით ნაწერ სტრიქონებს რომ მოვკრავთ თვალს, შეუძლებელია არ მიგვიზიდოს ამ ნაწერმა და იმის სურვილი არ აღგვიძრას — ნეტავი წამაკითხა, რა წერიაო.

სად ვნახავთ ასომთავრულით შესრულებულ ნაწერებს? ვიდრე ხელნაწერთა ინსტიტუტს ვეწვეოდეთ და ძველ ეტრატებს გადავფურცლავედთ, მანამდე ალბათ ყოველ ჩვენგანს ისედაც მიეცემა შესაძლებლობა ასომთავრული წარწერები იხილოს რომელიმე ტაძრის გარე თუ შიდა კედლებზე ანდა ნაბეჭდ წიგნებში.

მერედა, ხილვა კმარა? სიცრხვილი და თავის მოჭრა არ არის ჩვენი, იმ ძველთაძველ უმშვენიერეს წარწერებს მივადგეთ და პირდაღებულნი შევაჩერედთ, რაკი ასომთავრულის ამოკითხვა, ქართული ანბანის ამოკითხვა არ შეგვიძლია?!

ზოგჯერ ეს სირცხვილი იქნებ გაგვიორკეცდეს კიდევ.

ეთქვათ, მოგვხედა ღმერთმა და გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი, ესპანელი ან იტალიელი კაცი გვესტუმრა, ან რომელიმე სხვა ერის შვილი. გვესტუმრა ის კაცი და ჩვენი ქვეყნის ახლოს გაცნობის სურვილი გაგვიმხილა. ჩვენც, რაღა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა ჩვენი სიმკვლეების მოსახილველად წაუუძღვებით სტუმარს.

ეთქვათ, თავდაპირველად მცხეთის ჯვარზე ავიყვანეთ. იქიდან რომ ხედი გადაგვეშლება თვალწინ, ისეთი მომხიბვლელია, შესაძლოა თავბრუ



დაგვეხვეს. მოვიხიბლეთ ჩვენც, მოიხიბლა ჩვენი სტუმარიც. მერე ტაძარი დავათვალიერეთ. ვისაც მშვენიერების სახილველად თვალი დაბრმავებული არ აქვს, ის მცხეთის ჯვარს გულგრილად ვერ შეხედავს ვერც შორიდან, ვერც ახლოდან. ამ მშვენიერებით გაოგნებულნი, სტუმარიც და მასპინძელიც, კიდევ უფრო მივუახლოვდით ტაძრის აღმოსავლეთის კედელს და აქ კი მართლაც თავი მოგვეჭრა. სტუმარს რას ვერჩით, ჩვენ მოგვეჭრა თავი იმიტომ, რომ იმ კედელზე ჩვენთვის უცნობი ასოებით წარწერაა ამოკვეთილი, აი, ეს წარწერა:

ՃԸ ԲԻԸԸԸԸԸԸԸԸ  
ՆԸԸԸԸԸԸԸԸԸԸԸԸԸ  
ՄԸԸԸԸԸԸԸԸԸԸԸԸԸ


რა წერიაო? – გკითხა უცხოელმა.

მტერს დაადგეს ის დღე, ჩვენ რომ დაგვაფგება. რას მივუგებთ იმ ჩვენს სტუმარს? არ ვიცი, რა წერიაო, – ამას ეეტყვით ჩვენდა სამარცხვინოდ, თუ კიდევ უფრო სამარცხვინო საქმეს ვიკადრებთ – სახელდახელოდ რაღაც არარსებულ ტექსტს შევთხზავთ და წაუკითხავთ, ვითომ ის ჩვენს მიერ მოგონილი სიტყვები ეწეროს კედელზე?

საუბარი რომ არ გაგვიგრძელდეს, შევთანხმდეთ: ყოველი ქართველი, ვისაც განთლებულ და ღირსეულ კაცად მიაჩნია თავისთავი, ასომთავრულსაც და ნუსხურსაც თავისუფლად უნდა კითხულობდეს.

სულ არ არის ძნელი არც ერთი, არც მეორე ანბანის სწავლა, რამდენიმე დღის მეტი არ დაგვეჭირდება. ვაჯობოთ ჩვენს თავს, დავძლიოთ ქართული დაუდევრობა და სიზარმაცე და შევწიროთ ასომთავრულისა და ნუსხურის სწავლას ის რამდენიმე დღე. თანაც სახეალოდ და საგაისოდ ნუ გადაუდებთ ამ საქმეს, ვახსენოთ ღმერთი და ახლავე შევუდგეთ სწავლას.

როსმე მუჟუ ფარნაეაჟი  
იკონებდა ქართულ ანბანს  
და წიგნები მოკვითხრობენ  
კარდახულთა დროთა ამბავს.



გალაკტიონ ტაბიძე

## თავი მეოთხე

ვიდრე ამ გაკვეთილის უმთავრეს სათქმელს ვიტყვოდეთ, რამდენიმე ქართული გვარი ჩამოვწეროთ. დაკვირვებით წაიკითხეთ, იქნებ თქვენი გვარიც აღმოჩნდეს ამ სიაში:

აბელაშვილი, აბელიშვილი, აბესაშვილი, აბესაძე, აბრამაშვილი, აბრამაძე, აბრამია, აბრამიშვილი, აბრამიძე, ადამაშვილი, ადამია, ადამიძე, აკობია, ამონაშვილი, ანანიაშვილი, არონია, არონიშვილი, ბარაბაძე, ბარნაბიშვილი, გაბრიელაშვილი, გედევანიშვილი, დავითაშვილი, დანელია, დანიელაშვილი, ელიაევა, ელიაშვილი, ელიაძე, ელისაბედაშვილი, ელისაშვილი, ენუქაშვილი, ენუქიძე, ესაიაშვილი, ეფრემაშვილი, ეფრემიძე, ზაქარეიშვილი, ზაქარიაძე, ზირბჭიშვილი, თამარაშვილი, თარიშვილი, თომაშვილი, თომაძე, იაკობაშვილი, იაკობიძე, ივანიშვილი, ივანიძე, იობაშვილი, იობიძე, იონათამიშვილი, იორამაშვილი, იოსებაშვილი, იოსებიძე, ისაკაძე, ლაზარაშვილი, ლაზარიაშვილი, ლიაძე, ლუკაშვილი, მათიაშვილი, მანველაშვილი, მანველიძე, მარიაშიძე, მარიაშვილი, მარკოზაშვილი, მარკოზია, მელქაძე, მიქაევა, მიქაია, მიქაშვილი, მიქაძე, მიქიაშვილი, მიქელაევა, მიქელაშვილი, მიქელაძე, მოსაშვილი, მოსეშვილი, მოსია, მოსიაშვილი, მოსიძე, ნაზარიშვილი, ონოფრიშვილი, პავლიაშვილი, პეტრიაშვილი, საბაშვილი, საბაძე, სამსონაძე, სამსონია, სარაშვილი, სიმონია, სიმონიშვილი, სოლომონია, სტეფანია, ქრისტესიაშვილი, ჯაკობია, ჯობაევა, ჯობაძე.

აღბათ ყოველ თქვენგანს აინტერესებს, საერთოდ საიდან გაჩნდა გვარები, ანდა საკუთრივ მისი გვარი საიდან მოდის, რას უკავშირდება.

კარგად თუ დაუუკვირდებით, მეტწილად შევძლებთ კიდევ ამოვიცნოთ ამა თუ იმ გვარის წარმოშობის საიდუმლო.

თუმცა ზოგჯერ საიდუმლოც აღარაა, ზოგჯერ გვარი თვითონვე მოგვითხრობს თავის ამბავს. მაგალითად, გვარი ახმეტელი. დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმის მიხედვრას, რომ ამ გვარის მქონეთა წინაპარი წარმოშობით ახმეტიდან ყოფილა. ახმეტა სად არის, ყოველმა თქვენგანმა იცის, რაღა

შეირება (11) - (აქ) დაწვრილებით

შეირება (12) - წიგნების შესახებ ადგილი ბიბლიოთეკა

შეირება (44) - ნაცვლად თ ვ ა ლ ი თ ვ ა ლ ი ს ა წ ი ლ - თვადლი  
ოვალის ნაცვლად

ქარსი (12) - ქედით ნაკეთი.

ქარსობა (13) - ქედით ვაკეთების სელოვნება.

ყაბანი (42) - მხდალი, შიშარა.

ყაზა (52) - დამქანცველი შრომა.

ყარსანაღ (12) - სთინადოდ<sup>1</sup>/როგორც საქაროა<sup>1</sup>/ისე.

კარსანი (13) - (აქ) ტანკნარი.

კრის (10) - არის.

კარსე (7) - თუდის მეფე იყო ამ ხანაში, როდესაც იესო ქრისტე იშვა.

თუდა სად იყო ამას ზემოთ ამოკითხათ, სიტყვა „თუდის“ განმარტებაში.

## „რომელმან შექმნა სამყარო“

თუ გახსოვთ, მესამე კლასში რელიგია და კულტურის სწავლა რომ დაეიწყეთ, პირველსავე გაკვეთილს სათაურად ჰქონდა „სამყარო ღმერთმა შექმნა“ და შიგ ეწერა: „სამყარო ღმერთმა შექმნა, რაც კი რამ არსებობს, ღმერთმა გააჩინა, ყოველივე, რაც არის ჩვენს ირგვლივ, — ზეცა და დედამიწა, მზე, მთვარე და ეარსკველავები, — ღმერთმა დაბადა“.

სწორედ ეს არის მოთხრობილი „ბიბლიის“ დასაწყისში, „დაბადების“ წიგნის პირველ თავში.

გადაეფურცლოთ „ბიბლია“ და წაეიკითხოთ დასაწყისის რამდენიმე მუხლი.

„1. თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა.

2. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იღო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ.

3. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი და იქმნა ნათელი.

4. დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი“.

ასე იკითხება „დაბადების“ პირველი თავის პირველი ოთხი მუხლი ახალი თარგმანით. ახლა ენახოთ, როგორ თარგმნიდნენ ამ ადგილს ჩვენი წინაპრები ძველად, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში. ოღონდ მანამდე იხიცი გაეითვალისწინოთ, რომ ამ წიგნს, „დაბადებას“, ძველ თარგმანებში ეწოდებოდა „შესაქმე“ ან „წიგნი შესაქმისაჲ“.

„1. დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა.

2. ხოლო ქუეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ. ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალთა.

3. და თქვა ღმერთმან: იქმენინ ნათელი! და იქმნა ნათელი.

4. და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ, და განწვალა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა“.

ვიდრე ამ სტრიქონებს ჩავუღრმავებოდეთ, ცოტა რამ ეთქვათ წინასწარ.

ერთი ის ეთქვათ, რომ ყველას გემართებს ეს სტრიქონები დაკვირვებით, თანაც მოკრძალებით წავიკითხოთ ხოლმე. რადგან ამ სტრიქონებით ისეთი რამ არის მოთხრობილი, ჩვენ, უბრალო მოკვდავი ადამიანები, თავს ბედნიერად უნდა მივიჩნევდეთ ამ მონათხრობის გაცნობისას. უხილავი და ხილული სამყაროების შექმნის ამბავია გადმოცემული აქ.

წარმოვიდგინოთ: ჩვენს წინაშე აღმართულია უმშვენიერესი ტაძარი, ეთქვათ, სვეტიცხოველი, ალავერდი ან სამთავეისი. ხომ ბედნიერი ვიქნებოდით, იმის შესაძლებლობა რომ მოგვეცემოდა, ჩვენი თვალთ გვეხილა, როგორ დაიწყო ამ ტაძრის აგება, როგორ ჩაიყარა საძირკველი, წამოიშართა კედლები, მერე გუმბათით როგორ დაგვირგვინდა დიდებული შენობა.

წარმოვიდგინოთ: მთაწმინდაზე ვდგავართ და თბილისს გადმოვყურებთ, ან ბაგრატიის ტაძართან ვდგავართ და ქუთაისს გადმოვცქერით, ან კიდევ ნადიკვარზე ვართ და თელავის სანახებით ვტყებებით. ხომ ბედნიერი ვიქნებოდით, იმის შესაძლებლობა რომ მოგვეცემოდა, ჩვენი თვალთ გვეხილა, როგორ დაედვა საფუძველი ამ ქალაქების მშენებლობას, როგორ დაიდგა კოხტა სახლები, გაიჭრა ქუჩები, დაირგო ხეები, ბაღები როგორ გაშენდა.

კიდევ წარმოვიდგინოთ: ქვიშხეთის თავს წამომდგარ მთაზე ავედით და იქედან ვჭვრეტთ მიდამოს, ტყით დაბურულ თვალწარმტაც მთებს, ხეობიდან გამოჭრილ და ბარად გაკლაკნილ მტკვარს, მდინარისპირა ჭალებს, ველ-მინდვრებს... რიონის პირას შევჩერდით და შევმხერთ კაკკასიონის მომხიბვლელ მწვერვალებს, მუდმივი თოვლით დაფარულ მთათა კალთებს, კლდეთა წახნაგებს. ხომ ბედნიერი ვიქნებოდით, იმის შესაძლებლობა რომ მოგვეცემოდა, ჩვენი თვალთ გვენახა, როგორ იქმნებოდა, როგორ გაჩნდა ეს ყოველივე.

აურაცხელი მსგავსი სურათის წარმოდგენა შეგვიძლია.

შორს რომ არ წავიდეთ, ისიც საინტერესოა, ჩვენი საკუთარი სახლი ან ჩვენი ბინა როგორ აშენდა, ოთახები როგორ გაიმართა, იატაკი დაიგო,

კედლები და ჭერი როგორ შეილესა, ყველაფერს ვინ მოთვლის!

ახლა კარგად დაუუკვირდეთ: თუკი იმასაც ბედნიერებად მივიჩნევდით, ჩვენი ბინის, ჩვენი სახლის, ქალაქის ან ლამაზი გარემოს შექმნა რომ გვეხადო, ~~ნა~~ უზარმაზარი და თვალმუუდგამი სამყაროს შესახებ რაღა გვეუქმის? სამყაროს გაჩენის მოწმე ხომ არავინ ყოფილა, სამყარო რომ იქმნებოდა, მაშინ, ცხადია, არც ერთი სულიერი არ არსებობდა ჯერ, ადამიანი არ არსებობდა. და, აი, რაღაც სასწაულის ძალით მაინც შესაძლებლობა გვეძლევა თვალი მივადევნოთ იმას, როგორ იქმნებოდა ჩვენი სამყარო. ეს იმის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ „ბიბლიის“ პირველი წიგნის „დაბადების“ ანუ „შესაქმის“ ავტორს თავად უფალმა ღმერთმა გადაუხსნა შინაგანი მზერა და ის ახილვინა, რის ხილვაც ძეხორციელს არ შეეძლო, – სამყაროს შექმნის გონების წამლები სურათი ახილვინა.

ოღონდ ამთავითვე უნდა გავითვალისწინოთ: „დაბადების“ ანუ „შესაქმის“ ავტორი იმას, რაც შინაგანი მზერით იხილა, ძალიან მოკლედ მოგვითხრობს, უკიდურესად დაწურულად, ლაკონური ფრაზებით, გინდაც ფორმულებს გვიწერდეს.

ამგვარია „დაბადების“ ანუ „შესაქმის“ წიგნის პირველივე წინადადება: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“. ძველი თარგმანით: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა“.

აქ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამ მონათხრობში არამცთუ ყოველი წინადადება, ყოველი სიტყვაც კი წარმოუდგენლად დიდი შინაარსის შემცველია, უამრავ რამეს გულისხმობს.

სახელდობრ, ამ წინადადებაში სიტყვა „ცა“ ხილულ ზეცას კი არ ნიშნავს, უხილავ სამყაროს ნიშნავს. „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა“, ესე იგი ღმერთმა ჯერ უხილავი სამყარო გააჩინა. მეოთხე კლასიდან ალბათ გახსოვთ, რომ იმ უხილავ, ღვთაებრივ სამყაროს ქართულად ზესთასოფელს ვუწოდებთ. უწინარეს ყოვლისა ღმერთმა დაბადა ზესთასოფელი და ზესთასოფლური არსებანი – ანგელოზები. ამას მოჰყვა მთელი ხილული სამყაროს გაჩენა, სოფლის გაჩენა. და ეს ხილული სამყარო, სოფელი ერთი სიტყვით არის მოხსენიებული – „მიწა“. ღმერთმა შექმნა ცა (უხილავი სა-

მყარო, ზესთასოფელი) და მიწა (ხილული სამყარო, სოფელი).

ამჯერად ჩვენ მოგვიწევს, ძალიან ღრმად დავფიქრდეთ. რა გაეწყობა, ისეთ ურთულეს საკითხს ვართ შეჭიდებულნი, თამამ-თამამით, ჰაიპარად არ ეგებების ამ ურთულესი საკითხის გამოძიება.

რადგან კი ვთქვით — ზესთასოფლის შექმნას სოფლის ანუ ხილული სამყაროს გაჩენა მოსდევსო, მაგრამ როგორ წარმოვიდგინოთ ეს „გაჩენა“?

დავუკვირდეთ: ჩვენ რომ ვიბადებით ამ ქვეყნად, უკვე სავსებით გამზადებულსა და მშვენიერად მოწყობილ სამყაროში მოვდივართ. ამ სამყაროში გვხვდებიან ახლობელი ადამიანები — დედ-მამა, და-ძმანი, ნათესაეები, მოკეთენი. ისედაც ჩვენს ირგვლივ მრავლის უმრავლესი სხვა ადამიანი იძვრის. ჩვენს ირგვლივ არის აგრეთვე ყოველივე, რაც ჩვენი არსებობისთვის აუცილებელია და რაც თან ახლავს ჩვენს ცხოვრებას: ოთახი, ავეჯი, ათასგვარი ნივთი, საკმელ-სასმელი, ტანისამოსი, ჩვენი სახლი, ქუჩა, ჩვენი ქალაქი თუ ჩვენი სოფელი, ჩვენი ქვეყანა, მთელი ქვეყნიერება. აქვე ვიხილავთ მთასა და ბარს, ზღვებსა და მდინარეებს, მცენარეებსა და ცხოველებს, ზეცას, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ყველაფერს, რასაც ხილულ სამყაროს ვუწოდებთ.

დაბადებიდანვე შეჩვეულნი ვართ ყოველსავე ამას და სრულიადაც არ გვიკვირს ყოველივე ამის არსებობა, არ ეკითხულობთ, რატომ არის, რომ ჩვენი ცხოვრების განმავლობაში დღეს ღამე ცვლის, ღამეს — დღე, ზამთარს გაზაფხული მოსდევს, გაზაფხულს — ზაფხული და შემოდგომა, მზე აცხუნებს, წვიმს, თოვლი ბარდნის, ყანებში ხორბალი, სიმინდი თუ ლობიო მოჰყავთ, საძოვრებზე ცხვარ-ძროხა ბალახობს, ეზოში წიწილები ჟივჭივებენ, ძალი ყფეს, კატა კნავის, ფრინველები ჭიკჭიკებენ, ქუჩებში მანქანები დაქპრის, რკინიგზაზე მატარებლები იძვრის და ასე უსასრულოდ.

ძნელზე ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მაინც შევეცადოთ და წარმოვიდგინოთ: უეცრად რომ გააქტრეს ეს ყოველივე, რაც ჩამოვთვალეთ და რაც არ ჩამოგვითვლია. ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ ადამიანებიც გააქტრენ, ცხოველებიც, მცენარეებიც, მიწაც და რაც ამ მიწაზე არის, სახლებიც, ქუჩებიც, სოფლები და ქალაქები, მთელი დედამიწა რომ გააქტრეს, ლაფვარდი ზეცაც, მზეც, მთვარეც, ვარსკვლავებიც, ჩვენი გრძნობებიც, ფიქრებიც, ოცნებაც,



ყველაფერი, სულ ყველაფერი რომ გააქრეს, სულ, სულ ყველაფერი, რის დანახვაც შეგვიძლია და რის დანახვაც არ შეგვიძლია.

რალა დარჩება? აღარაფერი აღარ დარჩება, სრულიად არაფერი, არარაობა, არყოფნა.

კვლავ ვთქვათ: ძნელზე ძნელია, თითქმის შეუძლებელია არარაობის, არყოფნის წარმოდგენა, იმის წარმოდგენა, რომ არაფერი არ არსებობს. და თუ მაინც შევძლებთ ამას, მომდევნო ნაბიჯის გადადგმასაც მოვახერხებთ: არაფერი რომ არ არსებობს, მეცვსეულად იწყება არსებობა, ყოფნა – ღმერთი ქმნის ცას, ანუ უხილავ სამყაროს, ზესთასოფელს, და ქმნის ხილულ სამყაროს, სოფელს.

აი, ეს არის ნათქვამი „დაბადების“ ანუ „შესაქმის“ წიგნში, ამ წიგნის პირველი თავის პირველსავე მუხლში: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“, „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა“.

ეს ისეა თქმული, თითქოს ამ სიტყვების ავტორი თვითონვე ესწრებოდა ამ ამბავს – ზესთასოფლისა და სოფლის გაჩენის საკვირველებას. იმიტომ რომ, ვთქვით უკვე, ამ სიტყვების დამწერს თავად უფალმა ღმერთმა გადაუხსნა შინაგანი მშერა და ის ახილვინა, რის ხილვაც ძეხორციელს არ შეეძლო – სამყაროს შექმნის გონების წამლები სურათი ახილვინა.

აქ აუცილებლად ერთი რამ უნდა დავსძინოთ ყოველსავე ზემოთქმულს: ჩვენ რომ ვამბობთ, უხილავი და ხილული სამყაროების შექმნამდე, ზესთასოფლისა და სოფლის შექმნამდე არაფერი, სრულიად არაფერი არ არსებობდა, მარტოოდენ არარაობა იყო, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ღმერთიც არ არსებობდა.

არ არსებობდა უხილავი და ხილული სამყაროები, ზესთასოფელი და სოფელი, მაგრამ არსებობდა ღმერთი.

სამყარო ღმერთმა შექმნა ოდესღაც, სამყარო აღარ იარსებებს ოდესმე, მაგრამ ღმერთი მუდამ იყო, ახლაც არის და მარად იქნება. ყველაფერს აქვს დასაბამი და დასასრული, გარდა ღმერთისა. ღმერთი მარადიული არსებაა.

ამ მარადიულმა არსებამ შექმნა უხილავი და ხილული სამყაროები, ზესთასოფელი და სოფელი.

ახლა შეგვიძლია „დაბადების“ მომდევნო მუხლებს მივყვით.

„მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“. „ხოლო ქუეყანა იყო უხილავ და განუძხადებელ. ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა“.

აქ საგულისხმო ის არის, რომ „დაბადების“ ავტორი „ცის“ ანუ უხილავი, სულიერი სამყაროს, ზესთასოფლის ამბავს აღარ გვიყვება, არც ამ მუხლში და არც ქვემოთ ზესთასოფელს აღარ ახსენებს, მხოლოდ ხილული, ნივთიერი სამყაროს, სოფლის შექმნის ამბავს მოგვითხრობს. აგრე იმიტომ ხდებაო, ფიქრობენ სწავლული კაცები, რომ ზესთასოფელი უკვე გასრულებული იყო, შემდგომი სრულყოფა აღარ სჭირდებოდა, ხოლო სოფელს საბოლოო სახე ჯერ მიცემული არ ჰქონდაო. ღმერთმა შექმნა „მიწა“ ანუ ხილული, ნივთიერი, მატერიალური სამყარო, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ქაოსს წარმოადგენდა.


რა არის ქაოსი? ქაოსი არის ნივთიერების იმგვარი მდგომარეობა, როცა ყოველივე მოუწესრიგებელია, ერთმანეთში აღრეული და ალუფხული.

ამნაირი იყო ნივთიერი სამყაროს თავდაპირველი სახე. და ეს არეულ-ღარეული, პირდაპინილი უფსკრულის მსგავსი სამყარო წყვილიაღმში იყო დანთქმული.

მაგრამ ღმერთს უპატრონოდ არ მიუტოვებია ეს უკიდევანო ქაოსი – „სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“. ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთის სული აწესრიგებდა შექმნილ ნივთიერებას, მწყობრ, დალაგებულ, მშვენიერ სამყაროდ აქცევდა მას. ღვთის სულის მოქმედება რომ არა, პირველქმნილი ნივთიერება უსახურ და გაუფორმებელ ქაოსად დარჩებოდა სამუდამოდ.

და, აი, „თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი“.

დაუუკვირდეთ, რომ ეს არის ღმერთის პირველი აზრი ანუ პირველი სიტყვა ანუ პირველი მოქმედება ნივთიერი სამყაროს გაჩენის შემდეგ. ეს არის ნათელის შექმნა. არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ ვიტყვით, რომ ნათელი იგივე მშვენიერებაა, რომ ნათელის გარეშე მშვენიერება არ არსებობს. მაშა-



სადამე, ქაოსად მყოფი ნიუთონების მოწესრიგება, გაფორმება რომ იწყება, მას მშვენიერი სახეც ეძლევა.

ეს რომ მართლაც ასეა, ამას „დაბადების“ მომდევნო მუხლიც გვიდასტურებს: „დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაკყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი“.

ხომ ვთქვით ზემოთ, რომ „დაბადების“ ანუ „შესაქმის“ ავტორი ერთობ მოკლედ, დაწურული ფრაზებით გადმოგვცემს თავის სათქმელს, მის მონათხრობში ყოველი სიტყვა წარმოდგენილად დიდ შინაარსს გულისხმობს. ასეა ამჯერადაც, ორიოდე სიტყვით არის გადმოცემული უდიდესი რამ: ღმერთს მოსწონს ის, რაც შექმნა, მშვენიერად მიიჩნევს მას. ნათელი მშვენიერია.

„დაბადების“ მეხუთე მუხლი გვაუწყებს, რომ ყოველივე, რაც აქამდე იყო მოთხრობილი ოთხი თუ ხუთი მოკლე-მოკლე წინადადებით, – ნიუთონიერი სამყაროს გაჩენა, უსახურ ნიუთონებზე ღვთის სულის ზემოქმედება, ღმერთის პირველი სიტყვა ანუ პირველი ქმედება ნიუთონების გაჩენის შემდეგ და ნათელის შექმნა, – სამყაროს შესაქმის პირველ დღეს მოხდა. ამას მოჰყვა მეორე დღე, შემდეგ – მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე. ხილული, ნიუთონიერი სამყარო, სოფელი ღმერთმა ექვს დღეში გააჩინა, მოაწესრიგა და მშვენიერ რაიმედ აქცია, იმ დიდებულ სამყაროდ, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ახლა გვმართებს ცოტა რამ ვთქვათ ამ ექვსი დღის თაობაზე.

ეს ექვსი დღე არ არის ის დღეები, ჩვენ რომ დღეს ვუწოდებთ, ჩვენ რომ შეჩვეულნი ვართ. სოფლის შესაქმის ყოველი „დღე“ ერთობ ხანგრძლივ დროს, ვრცელ პერიოდს გულისხმობს, შესაძლოა მილიონ წლებსაც. სამყარო მილიონობით წლების განმავლობაში იქმნებოდა და წესრიგდებოდა ღმერთის მიერ. ასე რომ არა, ყოველადიღიერ ღმერთს შეეძლო ერთ წაშში გაეჩინა იმგვარი სამყარო, იმთავითვე დასრულებული სახე რომ ექნებოდა. მაგრამ უფალმა ისე ინება, რომ სამყარო თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, გასრულებულიყო, იმ კანონებისა და კანონზომიერების მიხედვით, რომლებსაც ჩვენ ბუნებრივ კანონებსა და კანონზომიერებას ვუწოდებთ და რომლე-

ბიც ღმერთის მიერ არის დაწესებული.

შესაქმის მ ე ო რ ე ღ ღ ე ს სამყაროს ჯერ კიდევ უწესრიგოდ მიმო-  
ბნეული ნივთიერების გამოცალკეება და ციურ სხეულებად გაფორმება და-  
იწყო. გაჩნდა ცის თალი და ის ატმოსფერო, დედამიწას გარს რომ აკრავს და  
ჩვენს ხილულ ზეცას ლურჯად, უკეთ რომ ვთქვათ, ცისფრად ფერავს.


აქ „დაბადების“ ავტორი მუორედ ხმარობს სიტყვა „ცას“. პირველად  
ნახსენები „ცა“, ზემოთაც ითქვა, უზილაე სამყაროს, ზესთასოფელს ნიშნავ-  
და. ამჯერად „ცა“ უკვე იმ მნიშვნელობით იხმარება, როგორსაც ჩვენ ვართ  
შეჩვეულნი – ხილულ ცას ნიშნავს.

შესაქმის მ ე ს ა მ ე ღ ღ ე ს ღმერთმა ბრძანა: „შეგროვდეს ერთგან  
ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი. და იქმნა ასე“.

ერთ საგულისხმო რამეს მივაპყროთ ყურადღება: მცენიერებმა კარგა  
ზანია დაადგინეს, რომ ჩვენი დედამიწა ოდესღაც ერთიანად წყლით იყო და-  
ფარული. შემდეგში ამ წყლიდან თანდათანობით ამოიზიდა ხმელეთი. ისიც  
უნდა ვიცოდეთ, რომ დედამიწის ორი მესამედი დღესაც წყალს უჭირავს,  
ზღვებსა და ოკეანებს. დედამიწის მხოლოდ ერთი მესამედი არის ხმელეთი.  
„დაბადების“ ანუ „შესაქმის“ წიგნის მონათხრობიც სწორედ ამას გვა-  
მცნობს: ერთიანად წყლით დაფარულ დედამიწაზე ხმელეთი ჩნდება. ეს  
ვერც ერთსა და ორ დღეში მოხდებოდა, ვერც ერთსა და ორ წელიწადში, სა-  
უკუნეები დასჭირდებოდა ამას. ამიტომ ვთქვით აქვე ზემოთ: „დაბადებაში“  
ნახსენები ყოველი დღე შესაქმისა ერთობ ვრცელ დროის მონაკვეთს, დიდ  
პერიოდს აღნიშნავს.

ამ პერიოდის განმავლობაში, ანუ შესაქმის მესამე დღეს, ღმერთმა  
წყალი და ხმელეთი გააყო, შემდეგ კი მისივე ბრძანებით გაჩნდა პირველი  
სიცოცხლე დედამიწაზე – მცენარეულობა.

ამ ამბავს განსაკუთრებით უნდა ჩაუუკვირდეთ. სიცოცხლის გაჩენა  
მართლაც სასწაულია. და ეს სასწაული შემოქმედი ღმერთის ნებით, ღვთის  
სულის წყალობით მოხდა. ასე რომ არა, მილიონობით და მილიარდობით წე-  
ლიწადს იარსებებდა ჩვენი დედამიწა, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალიც  
არსად გაიჭაჭანებდა. ეს იქნებოდა უსიცოცხლო, ხრიოკი, უდაბნოსებური



პლანეტა, რომლის ზედაპირს არაფერი გაამშვენებდა, ისევე, როგორც არაფერი ამშვენებს დედამიწის თანამგზავრის – მთვარის ზედაპირს.

სიცოცხლის გაჩენა სასწაულია. კარგად უნდა დავძაბოთ გონება, რათა ჩაეწედეთ ამ სასწაულის სიდიადეს.

წარმოვიდგინოთ: მოტიტვლებული მიწის პირი, ქვები, ღორღი, ქვიშა, სილა, შიშვლად მდგარი მთები, პირქუში კლდეები. მეტი არაფერი. მკვდარი ბუნება. და ამ ჩამკვდარ გარემოში ჩნდება ისეთი რამ, რასაც თან ახლავს ამოძრავება, ზრდა, გამრავლება, კვლავ და კვლავ აღმოცენება – ჩნდება სიცოცხლე, ჩნდება მცენარეულობა, ხრიოკი და გადაღლეტილი მიწის პირი მწვანით იმოსება და მშვენდება.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მცენარეულობა მარტოოდენ გარემოს გასამშვენებლად არ შექმნილა.

მცენარეები წარმოქმნიან ჟანგბადს, ურომლისოდაც ვერც ცხოველები და ვერც ადამიანები ვერ ისუნთქებდნენ. გაკონილი გექნებათ უფროსების ნათქვამი: პირდაპირ სუნთქვა არ შეიძლება ამ ქალაქში, ჟანგბადი აღარ დარჩა, ბავშვები სასწრაფოდ სოფელში უნდა წავიყვანო. დახუთული ქალაქიდან სოფელში იმიტომ მიყავხართ, რომ იქ უზვად არის მცენარეულობა, რომელიც ჟანგბადს წარმოშობს და ამით წმენდს ჩვენს სასუნთქ ჰაერს.

გარდა ამისა, მცენარეულობა რომ არ იყოს, ცხოველებიც და ადამიანებიც უსაკვებოდ დაერჩებოდით.

აბა დაეფიქრდეთ.

გარეული ცხოველების ერთი ნაწილი (ლომი, ვეფხვი, ფოცხვერი, მგელი, მელა...) ზორციტ იკვებება, მეორე ნაწილი (ირემი, შველი, ნიაბორი, კურდღელი, ციყვი...) მცენარეულობით საზრდობს. ირემმა, შველმა და მათნაირებმა ბალახი თუ არ მოძოვეს, მცენარე თუ არ შეჭამეს, შიმშილით ამოწყდებიან და გადაშენდებიან. ესენი და ამნაირები თუ გადაშენდნენ, აღარც ლომს, მგელს თუ მათნაირებს ექნებათ საკვები და ისინიც გაქრებიან ამ ქვეყნიდან.

ახლა ჩვენს კარმიდამოშიც მიმოვიხედოთ. ძროხამაც ბალახი უნდა მოძოვოს, თივით თუ ჩალით გაიძლოს კუჭი, ცხვარმაც, სხვა შინაურმა ცხოველებმაც. ქათამმა, ინდაურმა, იხვმა ან ბატმა ზორბალი, ქერი თუ სიმინდი

უნდა აკენკონ, ბალახბულახსაც უნდა გაკრან ზოლმე ნისკარტი, სხვაგვარად ვერ იარსებებენ. ესენი თუ არ იარსებებენ და მცენარეულობაც არ იქნა, ადამიანმა რილათი უნდა ისაზრდოს? არადა, საზრდელი ანუ საჭმელი თუ ვერსად მოიძია, რაღა დაარჩენს ადამიანს?

ერთი სიტყვით, დაუასკენათ: უმცენარეობოდ აღარც სიცოცხლე იქნებოდა დედამიწაზე, ცხოველებიც გადაშენდებოდნენ და კაცთა მოდგმაც ამოწყდებოდა.

თუმცა ჩვენ ჯერ ისიც არ გვითქვამს, ცხოველები და ადამიანი როგორ გააჩინა ღმერთმა.

შესაქმის მ ე ო თ ხ ე დ ღ ე ს „თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე...“ ამ დღეს ანუ ამ პერიოდში გამოჩნდა ცაზე მზე, მთვარე, ვარსკვლავები, რომლებმაც მშვენიერი სანახავე გახადეს ჩვენი ზეცა. რაც მთავარია, მზემ უნდა უგზავნოს დედამიწას სითბოც და სინათლეც. გარდა ამისა, უმზეოდ, უმთვარეოდ და უვარსკვლავებოდ ჩვენ არ გვეცოდინებოდა, რა არის წამი, წუთი, საათი, დღე-ღამე, კვირა, თვე, წელიწადი და საუკუნე, ერთი სიტყვით, დროის მსვლელობას ვერ გამოვითვისდით.

შესაქმის მ ე ხ უ თ ე დ ღ ე ს ღმერთმა თევზები და წყალში მცხოვრები სხვა სულდგუმლი, აგრეთვე ცის ფრინველები გააჩინა, მ ე ე ქ ე ს ე დ ღ ე ს – ხმელეთზე მცხოვრები ყოველნაირი ცხოველები და ქვეწარმავლები.

მეექვსე დღე შესაქმისა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ ამ დღეს, შესაქმის მეექვსე დღეს, ღმერთმა შექმნა კაცი.

„დაბადების“ ეს ადგილი საგულდაგულოდ უნდა წავიკითხოთ:

„თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელ დედამიწას...“

შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.

აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს... დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აჰა, ძალიან კარგი იყო“. (დაბ. 1,26-28, 1,31).

რომელმან შექმნა ხაშკარო  
ძალითა მით ძლიერითა,  
შეცნარდმო არსნი ხულითა  
გუნა ზეჯით მონაბურითა,  
ხუნ, კაცთა მოგვჯა ქვეუნა,  
კვაქეს უთუაღაუი ფურითა.

შოთა რუსთაველი

## სიტყვათა სარკო

აღუშვასუნი (77) - ერთმანეთში უწესრიგოდ არეულ-დარეულა

აქოიძეა (79) - (აქ) ამოიწია ქვემოდან ზემოთ ამოვიდა

არ ვხედავ (75) - არ შეიძლება

არაფერა (76) - არაფერი რომ არ არსებობს

აბრუსუბირა (79) - დედამისის ირგვლივ შემოგარსული პატრა

ახლა (74) - ანახა

გადაღვებულა (80) - მოშეშლებულია

განსვალა (72) - გაეცა

განსვალა (78) - სრულად დამთავრებულად ქცეულიყო

გონების შარბი (74) - ტყუის დამკარგვინებელი ისეთი მშენებელი თითქოს

გონებას დაევაკარგვინებს

დასაბავსა (72) - დასაწყისში ხელ პირველად

ზეპარდო (82) - ზემოდან

იხივს (72) - იქნას იყოს

იხივსა (72) - (იქ) ბრუნავდა იხროდა

ბიძელი (72) - (ბქ) კარგა

ლავონები შარბი (74) - მოკლე-მოკლე წინადადებები

მეხსენება (76) - უკვამლო ერთბაშად

მხარი (მის მხარი) (81) - დღეებ-დღეებისგან განსხვავებით ძველად მიიწვედნენ,

რომ ცის უმაღლესი თაღი მყარი, მგებრი რამ იყო

შაშაშვილი (77) - (აქ) კარგად მოწესრიგებული

მამაშვილი (80) - ელური ოსა

მამაშვილი (76) - როდისმე

მამაშვილი (76) - როდისმე/ერთ დროს

მამაშვილი (78) - დროის მონაცემი

მამაშვილი (77) - პირველად შექმნილი

პლანეტა (80) - შიის ირგვლივ მშრებული ცოცხალი სხეულის პლანეტის საკეთილშინაობა არ აქვს, შიის სხეულებს ირგვლივ და ამის წყალობით ვარსკვლავით ანათებს. ალბათ ვეგეტონიათ, იქნებ დაგინახეთ კიდევ მარსი, ვენერა, უპიტერი და ზოგიერთი სხვა პლანეტა კიდევ/ჩვენი დედამიწაც ერთ-ერთი პლანეტაა პლანეტის ქართულად ცდომილი ეწოდება.

მამაშვილი (80) - პერიის შემადგენელი ნაწილი

მამაშვილი (75) - (აქ) ფრინველის ჩუმი სმინობა, ელურტულის მსგავსი

მამაშვილი (77) - თვალგადაუწვდენელი უზარმაზარი ისეთი რომელსაც თითქოს არ აქვს კიდევ/განა, საზღვარი

მამაშვილი (77) - (აქ) ცუდი შესახედა უფორმო

მამა (72) - შექმნა

მამაშვილი (72) - (აქ) მიწა

მამაშვილი (80) - ქვის ნამსხვრევები გროვა-გროვად

მამა (82) - შექმნა

გაქორწინებული (75) - ისეთ ურთულეს საქმეს ვართ შექვილებულნი - ისეთი ურთულესი საკითხის გამოძიებას ვარჯჯვას შეუდექით.

შინაგანი შინაა (74) - ეს ისეთი შინაა, როდესაც კაცი თვალთ კ არ უშვრის თვალთ კ არ უჯერებს რაიმეს მისი სული სქერვებს, სული სედაებს თვალის გარეშე.

ჩაქურდავებულნი (73) -- ღრმად დაწერილებით, გამოწვლილებით გამოვიძიებდეთ გათავსებდეთ.

წახსნამი (73) - ვერდი/კოდე

სატი (81) - (აქ) ვარჯჯნობა სასე/ადამიანი შექმნა ღმერთის სატად ანუ ღმერთის სასე მიეცა მას.

სამოში (79) - მოტიტვლებული უმცნარეო შინა.

კავარად (75) - ნაქარევად/ნაუცბათევად/დაუკვრეებლად.

## თავი პირველი

მაშასადამე, „ღაინაზა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აჰა, ძაღლიან კარგი იყო“. ძველი თარგმანით: „და იხილნა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნა, და აჰა, კეთილ ფრიალ“.

„ღაბადების“ ანუ „შესაქმის“ წიგნის ავტორი ყოველ სიტყვას, ყოველ გამოთქმას, ყოველ წინადადებას დიდი დაკვირვებით, მოზომილად წერს. მის მიერ მოკლედ ნათქვამი – რაც ღმერთმა გააჩინა, ყოველივე ძაღლიან კარგი იყო, იმას ნიშნავს, რომ რაც კი ღმერთმა შექმნა, ყოველივე დიდად, დიდად მშვენიერია და მომხიბვლელი. არაფერი არ არსებობდა და ღმერთის ნებით და ღმერთის გონებით შეიქმნა უმშვენიერესი რამ – ყოველმხრივ შემკული ჩვენი ხილული სამყარო. და ამ სამყაროს გვირგვინად უფალმა გააჩინა საკვირველი არსება – კაცი, ადამიანი.

წინა გაკვეთილზე ჩვენ წავეიკითხეთ „ღაბადების“ სტრიქონები:

„თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად... შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი“.

ეს „ღაბადების“ პირველი თავის 26-27-ე მუხლებში წერია. მეორე თავის მე-7 მუხლი კი გვამცნობს:

„გამოსახა უფალმა ღმერთმა კაცი მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა“.

ესე იგი, დავიმახსოვროთ: ერთი რომ, კაცი თვით ღმერთის ხატად და მსგავსად შეიქმნა, მეორეც, ღმერთმა <sup>გონიერი და უწყვეტი</sup> ღმერთმა <sup>ღმერთისაგან</sup> სული შთაბერა მას.

მიწის მტვერისაგან გამოსახაო, – ნათქვამი რომ არის, იმას ნიშნავს, რომ კაცის სხეული იმავე ნივთიერებისგან ანუ იმავე მატერიისგან შექმნილა, რისგანაც შეიქმნა ჩვენი ხილული სამყარო, სოფელი. სიცოცხლის სულის შთაბერვა კი იმას ნიშნავს, რომ ~~ღმერთი~~ <sup>ღმერთისაგან</sup> გონიერი, უკვდავი

სული ებოძა კაცს.

კაცის სხეული ხილულ სამყაროს, სოფელს ეკუთვნის და მისსავე წიგნებს ემორჩილება: იბადება, იზრდება, შემდეგ ბერდება და კვდება, იგივე ემართება, რაც მცენარეებსა და ცხოველებს.

კაცის სული უხილავ სამყაროს, ზესთასოფელს ეკუთვნის. ნიეთიერი სამყაროს ნაწილის – სხეულის სიკვდილთან ერთად სული არ კვდება, სული უკვდავი აქვს ადამიანს. ამით არის იგი ღმერთის მსგავსი.

არც ერთ სხვა ქმნილებას არ რგებია წილად ამნაირი პატივი.

ამიტომ დაადგინა უფალმა კაცი ქვეყნიერების პატრონად: „ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელ დედამიწას“, – წავიკითხეთ წინა გაკვეთილზე „დაბადების“ პირველი თავის 26-ე მუხლში.

მაგრამ მთელი დედამიწის მოვლა-პატრონობა ერთობ, ერთობ ძნელი საქმეა. ეს რომ შეძლო, მართლაც მაღალი ღმერთის მსგავსი უნდა იყო – ბრძენის გონება უნდა გქონდეს და მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული და სიკეთე გამოქმედებდეს, უსაზღვრო სიყვარული და უსაზღვრო სიკეთე. რადგან ჩვენი დედამიწაც და მთელი სამყაროც, ამ სამყაროს ყველა ქმნილება სიყვარულისა და სიკეთის ძალით, სიყვარულისა და სიკეთისთვის გააჩინა ღმერთმა.

ასე რომ, დიდი პატივი კი ხვდა წილად კაცს, მაგრამ ვალიც დიდი დაეკისრა, ჭეშმარიტი კაცობის ვალი, ღვთაებრივი სულის მქონე არსების ვალი.

ამ ვალის გარდახდა მართებს ყოველ ადამიანს. ყოველ კაცს მართებს მუდამ ახსოვდეს, რომ ღვთაებრივი სული უდგას და ეს სული არ უნდა შებიღწოს უკეთური გრძნობებით, უღირსი აზრებით და საძრახისი მოქმედებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გრძნობები, მისი აზრები და მისი მოქმედება ღმერთის ნებას, მარად სიკეთისკენ მიმართულ ნებას უნდა ეთანადებოდეს.

კაცის სულის ღვთაებრივობა იმასაც ნიშნავს, რომ მას, ერთადერთს ამქვეყნიურ ქმნილებათაგან, თავისუფალი ნებისყოფა ანუ ნება აქვს მინიჭებული. ყოველ ცხოვრებისეულ ვითარებაში კაცი თვითონ აკეთებს არჩევანს – ასე მოიქცეს თუ ისე. როგორ არჩევანსაც გააკეთებს, როგორც თვითონ

გადაწყვეტს, მოქმედებაც ისეთი მოჰყვება მის გადაწყვეტილებას და მის ცხოვრებას სწორედ ამ მოქმედების შედეგები განსაზღვრავენ.

ერთობ, ერთობ ხშირად გვაეიწყდება ეს ამბავი. ჩვენივე არჩევანის, ჩვენივე გადაწყვეტილების მიხედვით ჩავიდნით რასმე და მერე, შედეგი თუ არ მოგვეწონა, ან სხვებს გადავაბრალვით ყველაფერს, ანდა იმდენად გააკადნიერდებით ხოლმე, თავად მაღალ ღმერთს შევლალადებთ უკმაყოფილონი — ასეთი ავი ბედი რატომ დამატეხელ!

დიდი უგუნურებაა ეს.

ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ, ვთქვათ, კუჭის წყლული აქვს კაცს, ან გული აწუხებს, ან კიდევ ღვიძლი აქვს დაავადებული. ამნაირი ავადმყოფობის დროს ღვინის დაღვევა არასგზით არ შეიძლება. არადა, მოხვდა ასეთი კაცი წვეულებაზე, გაშლილ სუფრასთან. მისი მენახენი ილხენენ, სადღეგრძელოებს წარმოთქვამენ, ღვინოს მიირთმევენ. მასაც გულით სწადა და ღვინის შესმა. ახლა ყველაფერი მის არჩევანზეა დამოკიდებული. მას შეუძლია თავს უთხრას: „ძალიან დამწყდება გული, მაგრამ არ უნდა დავლიო ღვინო, არ შეიძლება ჩემთვის, მორჩა და გათავდა!“ მაგრამ შესაძლოა სხვა რამეც უთხრას თავის თავს: „რა მოხდება ბოლოს და ბოლოს, მოდი ამ ერთხელაც დაველე და მერე ყოველთვის თავს შევიკავებ“.

აი, ეს მისი არჩევანი, მისი გადაწყვეტილება განსაზღვრავს მისსავე მოქმედებას. პირველი არჩევანი თუ გააკეთა, ამ არჩევანს ის მოქმედება მოჰყვება, რომ არ დაღვევს და არ გაიმწყვავებს ავადმყოფობას. მეორე არჩევანი თუ გააკეთა, ღვინოს შეექცევა და ამ მოქმედების შედეგად ავადმყოფობა გაურთულდება — კუჭის წყლული იქნება, ღვიძლი თუ გული დიდად შეაწუხებს, თავებდს აწყველინებს.

და, აი, ასეთ შავ ღღეში ჩავარდნილი კაცი ტკივილებისგან იკრუნჩხება და უაზროდ გაიძახის:

— ღმერთო, რა დაგიშავე, ღმერთო! რატომ დამსაჯე ასე, ღმერთო!

ის აღარ ახსენდება იმ უბედურ ღღეში ჩავარდნილს, რომ მის თავს დატეხილი ჭირი ღმერთის მოვლენილი კი არ არის, თავად მისივე მოქმედების შედეგია, მისივე არჩევანის შედეგი.

რალა თქმა უნდა, განსაცდელში მყოფ კაცს ვერ ვეტყვით ამას, ვერ და-  
ვაყვედრებთ — რაც მოგიუა, დაეითაო, ყველა შენი თავითაო. განსაცდელში  
მყოფი ადამიანი უნდა გვებრალებოდეს და ყოველმხრივ უნდა ვცდილობდეთ  
მის ნუგეშისცემას და შეძლებისდაგვარად დახმარებასაც. მაგრამ ამჟერად  
მთავარი ჩვენი დამოკიდებულება კი არ არის, მთავარი ის არის, რომ ის გან-  
საცდელი, ის ჭირი თვითონვე დაიტეხა თავს იმ უბედურმა.

სხვა შემთხვევა ვთქვათ: ახალგაზრდა დედას შვილი ჰყავს მწარე ავად-  
მყოფი, საგულდაგულო მოვლა სჭირდება ბავშვს, წამისწამ უნდა მიხედვა.  
ამ დროს დედას ნაცნობმა მანდილოსანმა მოაკითხა და თეატრში წასვლა  
შესთავაზა — დღეს პრემიერაა, მთელი ქალაქი იქ იქნება, რა მოხდება ბო-  
ლოს და ბოლოს, სამ-ოთხ საათში დაბრუნდები, მანამდე ბავშვს სხვებიც მი-  
ხედავენო.

გადაუბრუნდა ჭკუა იმ დედას, დარჩენას წასვლა არჩია. შინ რომ და-  
ბრუნდა, შვილი უმძიმეს დღეში დაუხვდა, ბეწვზელა ჰქიდა მისი სიცო-  
ცხლე.

და, აი, მტერს რომ არ ეუსურვებთ, ისეთ დღეში ჩაეარდნელი ქალი თი-  
თებს იმტერვებს და უაზროდ გაიძახის:

— ღმერთო, რა დაგიშავე, ღმერთო! რატომ დამსაჯე ასე, ღმერთო!

არც ამ ქალს ახსენდება, რომ მის თავს დატეხილი უბედურება ღმერ-  
თის მოვლენილი კი არ არის, თავად მისივე მოქმედების შედეგია, მისივე  
არჩევანის შედეგი.

რადგან იმ კაცსაც, მძიმე სენი რომ აწუხებდა და მაინც შეექცა ღვი-  
ნოს, და იმ ახალგაზრდა ქალსაც, ავადმყოფი შვილი რომ მიატოვა და თე-  
ატრში გაინავარდა, შეეძლოთ სხვაგვარი არჩევანი გაეკეთებინათ და ჭირი  
არ აეტეხათ სათავისოდ. ორივეს თავისუფალი ნება ჰქონდა ბოძებული  
ღვთისაგან.

ეს თავისუფალი ნება ყოველ ადამიანს აქვს ბოძებული და მხოლოდ მას-  
ზე, მის გონებაზე, შეგნებასა და სულის სიმტკიცეზე არის დამოკიდებული,  
როგორ მოიხმარს ამ თავისუფალ ნებას, არჩევანის გაკეთების შესაძლებ-  
ლობას — სიკეთისკენ მიმართავს მას, თუ მრუდე გზაზე დააყენებს.

\*\*\*

ასეთივე თავისუფალი ნება, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ჰქონდათ ქვეყნად მოვლენილ სულ პირველ ადამიანებსაც. თქვენ, რაღა თქმა უნდა, ამ წიგნის წაკითხვამდეც გსმენიათ, რომ ის პირველი ადამიანები იყვნენ ადამი და მისი ცოლი ევა. ედემში ანუ სამოთხეში დაამკვიდრა ისინი უფალმა.

ედემი ანუ სამოთხე იყო მშვენიერი ბაღი, სადაც ათასგვარი მცენარე ხარობდა და ათასნაირი ცხოველი ბინადრობდა. ამ საოცნებო ბაღში ყველანი ერთმანეთის სიყვარულით სულდგმულობდნენ, ერთიმეორეს არ მტრობდნენ, ხიფათი არავის ემუქრებოდა, არც სნეულება იყო იქ, არც სიკვდილი, ადამს და ევას თავის სარჩენად გარჯა არ სჭირდებოდათ, ნაირნაირი ხეხილის ნაყოფით იკვებებოდნენო, — ასე მოგვითხრობს „ბიბლია“.

სამოთხის შუაგულში ერთი ხე მდგარა, ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა. უფალს ნაბრძანები ჰქონდა ადამისა და ევასთვის: რომელი ხის ნაყოფსაც მოისურვებთ, შეგიძლიათ შეჭამოთ, ოღონდ ამ ერთი ხის ნაყოფს არ გაეკაროთო.

ეს იყო ერთადერთი, რაც აუკრძალა ღმერთმა პირველ ადამიანებს — ამ ხის ნაყოფი არ შეჭამოთო. ყოველმხრივ თავისუფალნი იყვნენ ისინი, ნეტარი ცხოვრებით ტკებოდნენ, ღმერთის მიერ სიყვარულით შექმნილებს თვითონაც უყვარდათ თავიანთი შემოქმედი და მისი ერთგულნი იყვნენ. მაგრამ ღმერთს სურდა გამოეცადა, რამდენად ძლიერი იყო მათი სიყვარული და ბოლომდე მისი ერთგულნი დარჩებოდნენ თუ ვერა. იმიტომ, რომ უკვდავი, გონიერი, ღვთაებრივი სულის მქონე ადამიანს ისიც მოეთხოვება, რომ ღვთაებრივადვე ძლიერი და წმინდა იყოს უფლისადმი მისი სიყვარული და ერთგულება.

და, აი, პირველმა ადამიანებმა — ადამმა და ევამ ვერ გაუძლეს ამ თითქოსდა უბრალო გამოცდას და ამას საბედისწერო შედეგები მოჰყვა.

ეს ასე მოხდა.

მეოთხე კლასში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, თუ ვინ არის ეშმაკი ანუ სატანა, დაცემული ანგელოზი, ოდესღაც უფლის ერთგული მსახური და შემდგომში თავისი ამპარტაუნების გამო ბოროტ ძალად, უფლის მტრად ქცეული სული. ისიც ვთქვით მეოთხე კლასში: რა არის ამ ბოროტი სულის მისწრაფება, რას მოქმედებს ან რა საფრთხეს უმზადებს ადამიანს, ამის თაობაზე მერე ვისაუბრებთო.

ეშმაკს შეშურდა ადამისა და ევას ბედნიერი ყოფა, სამოთხეში დამკვიდრებული ნეტარი ცხოვრება და მათი შეცდენა განიზრახა. საამისოდ ბოროტმა სულმა ყველაზე ცბიერი ცხოველის – გველის სხეულში დაიბუდა და ის აამეტყველა. ევას მიმართა გველმა:

მართლა გითხრათ ღმერთმა – ბაღის არც ერთი ხის ნაყოფი არ შეჭამოთ?

დაუუკვირდეთ სატანის ვერაგობას: საქმე ისე დასახა, თითქოს უფალს ყველა ხის ნაყოფის შეჭმა აეკრძალოს ადამიანებისთვის. ამით ის სურდა, ეჭვის პირველი მარცვალი ჩაეგდო ევას გულში, ვითომ – ხომ ზედაეთ, თქვენი უფალი როგორი უწყალო არისო!

მართალია, ევა ამ საცდურს არ დაჰყვა, ალაღად უპასუხა: ყველა ხის ნაყოფის ჭამა არ აუკრძალავს, მარტო ერთი ხის ნაყოფის შეჭმა აღგვიკვეთათო. მაგრამ სულ მცირე ეჭვის ჭია, ეტყობა, მაინც გაჩნდა მის გულში.

იმიტომ, რომ ამის შემდეგ გველმა რომ უთხრა: აკრძალულ ხილს როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეზილებათ, ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი გახდებით და ღმერთს სწორედ ეს არ სურსო, – გველის სხეულში დაბუდებულმა ეშმაკმა ეს რომ უთხრა, ევამ ზურგი კი არ შეაქცია საცდურს ან ის კი არ უპასუხა – როგორ ბედავ, უფალს ცილს რომ სწამებო! ნაცვლად ამისა, იმ ხის ნაყოფი შეათვალიერა და დაინახა, რომ „კარგი იყო საჭმელად, თვალწარმტაცი და საამური სანახაეი იყო“.

მაშასადამე, ევამ მაინც მისცა ეჭვს უფლება მის გულში გაედგა ფესვი, წამიერად შეყოყმანდა – უფალი ღმერთი უსაზღვროდ კეთილი და მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის მოქმედი მართლა თუ არისო. ასე რომ არა, იმ ხის ნაყოფს მუშტრის თვალით კი არ დაუწყებდა ყურებას, ზედაც არ შეხედავდა



ებრივ კანონთა დარღვევა იქნებოდა.

პირველი არჩევანის წინაშე მაშინ დადგა ევა, გველის სახით გამოცხადებულმა სატანამ რომ უთხრა: იმ ხის ნაყოფს თუ შეჭამო, ღმერთით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი გახდებითო. ერთი მხრივ, ღმერთს მათთვის აკრძალული ჰქონდა იმ ნაყოფის ჭამა, მეორე მხრივ, ეშმაკი ნართაულად იმას ეუბნებოდა – ღმერთი გატყუებთ, ის ნაყოფი მშვენიერია და მისი შეჭმა სიკეთის მეტს არაფერს მოგიტანთო.

აი, აქ უნდა მოეხდინა ევას არჩევანი: ვისი ესმინა – მათი შემქმნელი უსაზღვროდ მოყვარული, უსაზღვროდ კეთილი ღმერთისთვის, თუ გველის სახით გამოცხადებული უცხო სულისთვის. და თავისუფალი ნებით გაკეთებული არჩევანი მცდარი გამოდგა, ევამ უფლის მცნებას ყური აღარ ათხოვა და ინტერესით შეათვალიერა ნაყოფი, ესე იგი, კვლავაც ვთქვათ, თუნდაც წამიერად დაეჭვდა – მართლა მხოლოდ სიკეთე სურდა თუ არა მათთვის უფალს.

მეორე არჩევანი პირველს უმაღლეს მოსკვამ: ნაყოფმა დიდად რომ მოხიბლა ევა, მას მაინც კიდევ შეეძლო მოეწყვიტა ან არ მოეწყვიტა, შეეჭამა ან არ შეეჭამა. მისი ნება ამჟამადაც თავისუფალი იყო, არჩევანის გაკეთებას არავინ უშლიდა. თუკი უფლისადმი მოუშლელ სიყვარულს, დიდ სიყვარულს, უფლის სამუდამო ერთგულებას აირჩევდა, შეეძლო არ მოეწყვიტა და არ შეეჭამა ის ნაყოფი; თუკი, ეშმაკის ცდუნებას ანუ თავისი თვალისა და გულის ნდომას მიჰყვებოდა (ნაყოფი მომხიბვლელი და გემრიელი ჩანდა), შეეძლო მოეწყვიტა და შეეჭამა.

იმავე არჩევანის წინაშე შემდეგ ადამიც აღმოჩნდა, როცა ევამ მასაც შესთავაზა ის მომხიბვლელი ნაყოფი.

ცოლმაც და ქმარმაც უფლის სიყვარულს, მის ერთგულებას წამიერი სურვილის დაკმაყოფილება არჩიეს.

ასეთია პირველ ადამიანთა პირველი შეცოდების, პირველცდვის, ცოდვით დაცემის გულისდამწყვეტი, დღემდე სანანებელი ამბავი.

ამ ცოდვის გამო ღმერთმა სამოთხიდან გამოასხა ადამი და ევა.

კმარავენ ტირილი და ცრუმღობა ჭრჭკუა,  
სტიროდე, ადამ, სტიროდე, ჟა!  
დახსნათ, დახდაკეთ იფხვების ფურფლი,  
ბიაროტი გველის მსხვერპლი ხარო, მსხვერპლი!

გალაკტიონ ტაბიძე

## თავი მეორე

დასრულდა კაცის ცხოვრების უზრუნველი და ნეტარი ხანა.

თუკი სამოთხეში მყოფ პირველ ადამიანებს ის საფიქრალი სულ არ ჰქონდათ, თავი რით ვირჩინოთ, რით გამოვიკვებოთო, სამოთხიდან განდევნისას ღმერთმა ადამს უთხრა:

„რაკი შენს ღელაკაცს დაუჯერე და შეჭამე იმ ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყველოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე... პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე“ (დაბ. 3,17-19).

მიწის დამუშავება, პიროფლიანი ჭამა პურისა ანუ თავის სარჩენად შრომა, მოგეხსენებათ, იოლი არ არის. ადამს კი მიმართა უფალმა, მაგრამ მისი სიტყვები ადამის მთელ მოდგმას, მთელ მომავალ კაცობრიობას გულისხმობდა. და ჩვენ ვიცით, რარიგ საქმელაო კაცთა მოდგმის ეს ხვედრი, რამდენი ტანჯვა უნდა გამოსცადოს ადამიანმა, რათა „პური არსობისა“ მოიპოვოს, თავი დაირჩინოს და ოჯახი არჩინოს. ამაზეც არის დამოკიდებული მრავალგვარი უსიამოვნება, შფოთი და შეხლა-შემოხლა ადამიანთა შორის. უმთავრესად აქედან მოდის არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა, მთელ სახელმწიფოთა დაპირისპირებაც, მათ შორის ჩამოვარდნილი მტრობა და სისხლისმღვრელი ომები.

აი, ასეთი მძიმე შედეგები მოჰყვა პირველცოდვას.

მაგრამ ამაზე გაცილებით უარესი სხვა რამ იყო მაინც. პირველცოდვამდე ადამიანებს უშუალო კავშირი ჰქონდათ გამჩენ ღმერთთან, ნიადაგ გრძნობდნენ ღვთის სიახლოვეს, მის მამობრივ მზრუნველობას, უსაზღვრო სიყვარულს, რადგან მათი სულები ცოდვით არ იყო დამძიმებული. ცოდვის შემდეგაც უფალს არ გაუწირავს კაცობრიობა, კვლავ მზრუნველ, უსაზღვროდ მოყვარულ მამად დარჩა. მაგრამ ცრდვის შედეგად ადამიანები თვითონვე დაშორდნენ შემოქმედს, თვითონვე გამოერიდნენ ზესთანსოფლურ ყოფას და მიწიერ, ნიეთიერ სამყაროს მიაპყრეს მეტი ყურადღება. და დიდზე

დიდი დრო გაჟიდა, ვიდრე უფალსა და კაცთა მოდგმას შორის ამ დარღვეულ ცვაწვირს აღადგენდა განკაცებული ღმერთი — ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე.

ცოდვით დაცემამდე კაცის სული ზესთასოფლურ არსებათა მსგავსად ცხოვრობდა, ამქვეყნიური, სოფლიური საზრუნავი არ აწუხებდა და ღვთაებრივი ყოფის უშუალო მოზიარე იყო. მაგრამ რა რომ მიწიერისკენ, ნიეთიერისკენ გაექცა თვალი, რა რომ გულმაც იმისკენ გაუწია და შემდეგ მძიმე ცოდვაც იტვირთა, კაცის სულმა დაკარგა ის პირველქმნილი სიწმინდე და ნათელი, ურომლებისოდაც არავის ძალუმს ღვთაებრივთან მიახლოება. ეს პირველი ადამიანების შთამომავალთა ცხოვრებითაც დადასტურდა.

ადამსა და ევას შვილები ეყოლათ: ჯერ პირმშო — კაენი, შემდეგ მომდევნო — აბელი. „ბიბლია“ მოგვითხრობს, რომ კაენი მიწის მუშა იყო, აბელი — მწყემსი.

ზემოთაც ვნახეთ, რომ საღვთო წერილი ერთობ მოკლედ, შეკუმშულად გადმოგვცემს სათქმელს, ყოველ წინადადებაში მთელი ეპოქები და აურაცხელი ფაქტი და მოვლენა იფარება. ასე იყო, თუ გახსოვთ, როდესაც სამყაროს შექმნის ამბავს მოგვითხრობდა „დაბადების“ ავტორი. აქაც იგივე სურათია. რადგან კი ითქვა ამ წუთას — კაენი მიწის მუშა იყო და აბელი მწყემსი, მაგრამ ამ მარტივად ნათქვამს მიღმა მრავალი რამ იგულისხმება.

მიწის მუშა ანუ მიწისმოქმედი იმას ჰქვია, ვინც მიწას ამუშავებს, მოსავალი მოჰყავს და თავს იმით ირჩენს. მაგრამ მიწა რომ დაამუშაო, რაღაც ხელსაწყო, იარაღი უნდა გქონდეს, როგორც ითქმის ხოლმე — სასოფლო-სამეურნეო იარაღები. უამისოდ მიწას ვერც მოხნავ, ვერც გათოხნი, ერთი სიტყვით, ვერც ხორბალს მოიწვე, ვერც სიმინდს, ვერც ქერს, ფეტვს, ჭვავს და სხვა ამდაგვარებს, ვერც ბოსტნეულს, ვერც ვაზსა და ხეხილს გაახარებ.

მწყემსის საქმიანობაც იმგვარია, მრავალნაირი იარაღი, ხელსაწყო და ჭურჭელი უნდა მოჰყვეს ხელში. აბა წარმოვიდგინოთ: კომბალი რომ კომბალია, ყოველი მწყემსის განუშორებელი სულ უბრალო ხელკეტი, იმასაც ზომ გამოთლა სჭირდება, სხვა თუ არაფერი, დანა შაინჯ უნდა ჰქონდეს

მწყემსს კომბალის გამოსაკოპიტებლად. ძროხას თუ ცხვარს რომ მოწვე-  
ლის, ჭურჭელი ზომ სჭირდება რძის მოსაკავეებლად, შემდეგ ყველის  
ამოსაყვანად თუ კარაქის შესადღებლად.

გარდა ამისა, ვერც მიწის მუშასა და ვერც მწყემსს ვერ გაეძლება, ბინა  
თუ არ ექნა, ტანისამოსი, ფეხსაცმელი. ჩვენ ისე ვცხოვრობთ, არც ვუფიქ-  
რდებით ხოლმე, საიდან ჩნდება, როგორ კეთდება ის ტანსაცმელი ან ფეხ-  
საცმელი, ჩვენ რომ გემოსავს, ან ჩვენი საცხოვრებელი სახლი როგორ შენ-  
დება, რამდენი რამ არის საჭირო, ან შარვალი რომ შეიკეროს, ან კაბა, ან  
სახლის კედლები რომ წამოიმართოს და მერე გადაიხუროს ის სახლი. ახლა  
მცირე ხნით მაინც ჩაუფიქრდეთ ამ ამბებს.

წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ ჩვენ პირველყოფილი ადამიანები  
ვართ, დედიშობილა დავიარებით მინდორ-ველად თუ ტყე-ღრეში. სანამ მზე  
გვაცხუნებს, არა გვიშავს, კარგად ვგრძნობთ თავს. მაგრამ რა რომ დაღამ-  
დება, სიცივე მოუჭერს და აგვაძაგძაგებს. დღისითაც შეიძლება აცივდეს –  
მზეს ღრუბელი გადაეფარება, წვიმა წამოუშენს, ქარი დაუბერავს და შე-  
გვცივდება. ზამთრობით ზომ ისედაც ცივა დღისითაც და ღამითაც. რა გვე-  
შველება, რა უნდა ვიღონოთ?

ჯერ ის ვთქვათ, ცხოველები და ფრინველები რა დღეში არიან ასეთ  
ღროს. ერთი რომ, ცხოველებს ბეწვი იფარავს სიცივისგან, ფრინველებს –  
ბუმბული. სიცივეში, ავდარში ისინი თავთავიანთ ბუნაგებსა და ბუდეებს მი-  
აშურებენ ხოლმე, ან ხის ფოთლებს თუ ბუჩქებს შეეფარებიან. მეტი არა-  
ფერი შეუძლიათ. მაგრამ ძალიან თუ აცივდა, მაგარი ყინვები დაიჭირა, შესა-  
ძლოა დაიღუპონ კიდევ.

სწორედ ამაზე აქვს დაწერილი დიდ პოეტს ვაჟა-ფშაველას ლექსი  
„ნიბლიას ანდერძი“:

ქარი უბერავს, მოაქვს ნამქერი,

ჩიტი ნიბლია ატირდა მთაზე.

– სულ მუდამ ლაღო და მზიარულო

ჩიტო ნიბლიავ, ცრემლს აფრქვევ რაზე?

– უსახლკარო ვარ, განა არ იცი,

ყინვამ მომიწწრო, ძმობილო, გზაზე,  
დამკრა სიცივემ, გული დამიღბო  
და მიმიყინა ფრთებიცა ტანზე.  
წადი, უთხარი ჩემსა ობლებსა  
და გადასძახე მალლიდან თავზე:  
აქ გამითხარონ ცივი სამარე,  
აქვე დამმარხონ ამ მაღალ მთაზე.  
ნაზის იისა კუბო შემიკრან,  
გულს დამაყარონ ტურფა კესანე,  
არ დაივიწყო, თუ გწამს უფალი,  
არ დაივიწყო, შენი კენესამე!

ასეა ფრინველებისა და ცხოველების ამბავი.

ადამიანის საქმე სხვაგვარადაა.

დაეუბრუნდეთ ჩვენს წარმოსახულ სურათს, ვითომ პირველყოფილი ადამიანები ვართ და დედისობილა დავდივართ ქვეყნად. როგორ მოვიქცევით?

აგერ, კოცონთან აგდია ჩვენს მიერ მოკლული ნადირის ტყავი. გვიჩნდება პირველი აზრი: ეს ტყავი რომ მოვისხა, გამათბობს. მოვისხით ის ტყავი, მაგრამ ზურგის მხარე გაგვითბა მხოლოდ, მკერდის არე კვლავ ცივია. მაშინ მეორე აზრიც ჩნდება: ეს ტყავი შეიძლება დაიჭრას და მერე სხეულს ისე მოერგოს, მისი ყველა მხარე დაიფაროს სიცივისგან. დაჭრილი ტყავი თავისთავად ვერ მოგვერგება ტანზე, დაჭრილი ნაწილები ერთიმეორეს უნდა დაუკავშირდეს, რათა ერთიან სამოსად იქცეს. აქ გვებადება აზრი, რომ დაჭრილი ტყავის ნაწილების დასაკავშირებლად საჭიროა რაღაც მასალა, ისეთი რამ, რასაც დღეს ძაფს ვუწოდებთ. მოვიპოვეთ ამგვარი მასალა და შევიკერეთ ტანისამოსი, გადავურჩით სიცივეს.

ჩვენ არ ვიცით და ალბათ ვერც ვერასოდეს შევიტყობთ, ზუსტად ასე იქცეოდა თუ არა პირველყოფილი კაცი, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ დაახლოებით ასე იქცეოდა.

რის წყალობით, რა ძალის მეოხებით იქცეოდა ასე? პასუხი ერთადერ-

თია: გონების წყალობით. მხოლოდ გონიერ არსებას ძალუძს ერდმანეთს დაუკავშიროს სულ სხვადასხვა საგნები (მაგალითად, ტყავი, ტყავის დაჭრა, ძაფი) და შემდეგ მათგან ახალი საგანი (მაგალითად, ტანისამოსი) შექმნას. მილიონი და მილიარდი წლები იცოცხლებენ ქვეყნად ცხოველები, ფრინველები, ქვეწარმავალნი, თევზები, საერთოდ, ყველა სულდგმული, მაგრამ ამდაგვარ რამეს ვერასოდეს მოიმოქმედებენ.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ დანის, თოხის, ბარის, სახნისის, ქვაბის, ქოთნის, ბორბალის და ადამიანის მიერ გაკეთებული აურაცხელი სხვა ნივთის შესახებ. მხოლოდ გონების წყალობით, გონების მეოხებით ქმნის ყოველსავე ამას კაცი.

ვინც წინა გაკვეთილი კარგად ისწავლა, გაახსენდება, რომ ადამიანს გონება ღმერთმა უბოძა, უკვდავი და გონიერი სული შთაბერა მას. ხილულ არსებათაგან მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს აქვს გონება. მაშასადამე გონება ღვთაებრივი რამ არის, ღვთაებრივი ბუნების გამოვლინებაა. გონების მეშვეობით სწავლობს ადამიანი გარესამყაროს, უელის და პატრონობს მას, სულ ახალსა და ახალ საგნებს, ნივთებს ქმნის და მერე მათ ცხოვრებაში იყენებს. ამავე დროს, ამ საგნებისა და ნივთების შექმნისას თვით გონება ადამიანისა იწაფება, ვითარდება, მდიდრდება, უფრო და უფრო მძლავრი ხდება. წარმოვიდგინოთ, როგორ უნდა განვითარებულიყო კაცის გონება, რომ უბრალო კომბალის თუ თოხის შემქმნელ კაცს ბოლოს თვითმფრინავი, ტელევიზორი ან კომპიუტერი გამოეგონებინა. ამით აღსრულდება უფლის ბრძანება. ხომ გახსოვთ, კაცის შემოქმედმა ღმერთმა რომ თქვა — გამრავლდით და მთელ დედამიწას დაეპატრონეთო. ღვთაებრივი გონება რომ არ კქონოდა ადამიანს, ამ ბრძანებას ვერ შეასრულებდა.

ახლა კარგად დაეფიქრდეთ. და იმასაც მივხედებით, რომ, რაკი ადამიანის გონება ღვთაებრივია, გონების მოქმედება სწორედ ღმერთის მოქმედების გამოხატულებაა, გონების მოქმედებისას თავად მაღალი ღმერთი მონაწილეობს კაცის ცხოვრებაში, ეხმარება მას. ყოველივე კარგი და სასარგებლო, რაც გონების მოქმედებით მოიპოვა და დაიმკვიდრა ადამიანმა, ღმერთის ნამოქმედარიც არის. კარგი და სასარგებლო, იმიტომ ითქვა აქ, რომ, რო-



დესაც კაცის გონების მოქმედება უფლის ნებას არ ეთანადება, მისი საწინააღმდეგოა, მაშინ გონებას ღმერთი კი აღარ განაგებს, ეშმაკი განაგებს. ამ ამბავს ყოველი ჩვენგანი კარგად უნდა ჩაუღრმავდეს. სიკეთისკენ, ღვთაებრივისკენ მიმართულ გონებას სასწაულების მოხდენა შეუძლია, რადგან უფალი ღმერთია მისი წარმმართველი. ბოროტებისკენ მიდრეკილი გონება სატანის ნებას მიჰყვება და მხოლოდ უბედურება მრავალს კაცთა მოდგმისთვის.

ეს ყოველივე იმიტომ ითქვა, რომ უკეთ გაგვეგო კენისა და აბელის ამბავი. ერთი მიწის მუშა იყო და მეორე მწყემსიო, მოკლედ რომ გვამცნობს „დაბადების“ ავტორი, აქ იგულისხმება, რომ სამოთხიდან გამოსვლის შემდეგ კაცთა მოდგმად დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო და მოვალე შეიქნა გონება ძალუმად აემოქმედებინა თავის დასარჩენად, საარსებო პირობების შესაქმნელად. მაგრამ ყოველივე ზემოთქმული იმასაც მიგვახვედრებს, რომ, რაგინდ დიდ წარმატებებსაც უნდა მიაღწიოს ადამიანმა თავისი გონების მეოხებით, რაგინდ გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები, შემოქმედი ღმერთი თუ დაივიწყა, უფლის სიყვარული თუ ამოიგდო გულიდან, საბოლოოდ მაინც ასცდება სიკეთის გზას და უბედურებას ვერ გადაურჩება. კენისა და აბელის თავგადასავალი გვიდასტურებს ამას.

კენსა და აბელს ღმერთისთვის მსხვერპლი უნდა შეეწირათ.

ამჯერადაც მოგვიწევს მცირე ხნით შევეწყვიტოთ თხრობა და ის ვთქვათ მოკლედ, მსხვერპლშეწირვა რას ჰქვია.

ღმერთისთვის მსხვერპლის შეწირვის ჩვეულება უხსოვარი დროიდან დაწესდა. ვისაც რა მოეძვეებოდა საუკეთესო, იმას სწირავდა მსხვერპლად ღმერთს: თაეთუნებს, პურს, ღვინოს, თაფლს, ცხვარს, ბატკანს, კრავს, ხარს, ხბოს და მისთანებს. თავისი ქონების გამორჩეულ, უმჯობეს ნაწილს უძღვნიდა კაცი უფალს და ამით გამოხატავდა სიყვარულსა და მაღლიერებას მისდამი. მსხვერპლი, ჩვეულებრივ, ცეცხლით იწვებოდა სამსხვერპლოზე. უძველეს ხანაში სამსხვერპლო მარტივად ეწყობოდა: შემადლებული ადგილი, მიწაყრილი, ქვების გროვა ან სულაც ერთი ქვა გამოიყენებოდა სამსხვერპლოდ, ესე იგი ისეთ ადგილად, სადაც მსხვერპლად შეწი-

რული მცენარე ან ცხოველი უნდა დამწვარიყო. შედგომ და შემდგომ მდიდარულად გაწყობილი სამსხვერპლოების აგებას მიჰყვებ ხელი, ტაძრებში აგებდნენ სპილენძისა და ოქროს სამსხვერპლოებს. ქრისტიანულ ეკლესიაში სამსხვერპლო საკურთხეველმა შეცვალა, ამასთან, ჩვენს საკურთხეველზე უსისხლო მსხვერპლი შეიწირება.

ერთი სიტყვით, კაენსა და აბელს ღმერთისთვის მსხვერპლი უნდა შეეწირათ. წაეიკითხოთ „ბიბლიაში“ ეს ადგილი:

„გამოხდა ხანი და მიართვა კაენმა უფალს ძღვენი, მიწის ნაყოფი. აბელმაც მიართვა თავისი ფარის ნათაური და რჩეული პირუტყვი“ (დაბ. 4,3-4).

კაენი მიწის მუშა იყო და სწორედ ამიტომ მის მიერ მოწეული მიწის ნაყოფი უძღვნა უფალს. აბელი მეცხვარე იყო და ცხვრის ფარიდან საუკეთესო პირუტყვი გამოარჩია საუფლო მსხვერპლად.

მაგრამ მოხდა ერთი შეხედვით თითქოსდა მოულოდნელი რამ: უფალმა აბელის მსხვერპლი შეიწირა, ხოლო კაენის მსხვერპლი არ მიიღო.

რატომ მოხდა აგრე, ამის თაობაზე „დაბადების“ ავტორი არას გვეუბნება. სწავლული კაცები ამ ამბავს შემდეგნაირად განმარტავენ: მსხვერპლის შეწირვა მხოლოდ გარეგნული გამოხატულებაა კაცის სულის მდგომარეობისა. თუკი ღვთისადმი უსაზღვრო რწმენა და უზომო სიყვარული არ ღვივის სულში, უამისოდ მსხვერპლშეწირვა ფორმალური ვალის მოხდაა და მეტი არაფერი, ამგვარ მსხვერპლს არავითარი ფასი არ აქვს. გულთამხილავმა ღმერთმა იხილა, რომ აბელი წრფელი გულით, დიდი რწმენითა და სიყვარულით სწირავდა მსხვერპლს, ხოლო კაენს უფლის სიყვარული კი არ ამოქმედებდა, ვალს იხდიდა უგულოდ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ აბელის შესახებ ნათქვამია – საუკეთესო, გამორჩეული პირუტყვი შეწირა ღმერთს, ხოლო კაენის შესახებ უბრალოდ არის თქმული – უფალს მიწის ნაყოფი მიართვაო, ესე იგი, რაც ხელში მოჰყვა, ის მიართვა, საგულდაგულოდ არ შეურჩევია მსხვერპლი.

გაივლის დიდზე დიდი ხანი და იესო ქრისტეს მოციქული პავლე იტყვის:

„კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ

არა მაქვს, მხოლოდ რეალი ვარ მოფლრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი.

წინასწარმეტყველების მაღლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა, ისე რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ.

მთელი ჩემი ქონება რომ გავიღო გლახაკათოეის, და დასაწვავად მიგეე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია“ (1 კორ. 13,1-3).

ბევრად უკეთესნი ვიქნებოდით ადამიანები, კაენის მსხვერპლმეწირეის ამბავს და პავლე მოციქულის ამ სიტყვებს ხშირად რომ ვიხსენებდეთ. რადგან ჩვენს ცხოვრებაში ხდება ხოლმე: გულზე ჯვარიც გეკიდია, პირჯვარსაც მალ-მალე ვიწერთ, ელოცულობთ კიდეც, ეკლესიაშიც დაედივართ, შესაწირავსაც ვწირავთ, მაგრამ ჩვენი სული არ არის ანთებული წრფელი სიყვარულით, გულს გარეთ ვიქმთ ყოველსავე ამას, ვალის მოსახდელად. ანდა თითქოს სათნოდ ვექცევით სხვა ადამიანებს, თითქოს ვიზიარებთ მათს ჭირსა და ვარამს, მხარშიც ამოვუდგებით, დახმარების ხელსაც ვუწვდით, მაგრამ ცივი გულით ვიქმთ ამას, სიყვარული კი არ გვამოქმედებს, სხვათა დასანახად და თავმოსაწონებლად ვაკეთებთ საქველმოქმედო საქმეს.

და, აი, ყველას გემართებს იმის დამახსოვრება, რომ არანაირი მოჩვენებითი ღვთისმოსაობა, არანაირი ვითომცდა კეთილი საქციელი არაფრად არ ღირს, არაფრად ფასობს უფლის ყოელისმხილველ თვალთა წინაშე, თუკი ღვთისა და კაცის უნაპირო სიყვარული არ ღვივის ჩვენს სულში.

ძნელი მოსასმენია ეს სიტყვები, მაგრამ ასეა მაინც და ვისაც სურს ჭეშმარიტი მორწმუნე, ჭეშმარიტი ქრისტიანი იყოს, ეს არასდროს არ უნდა დაშვიწყდეს.

აბელისა და კაენის თავგადასაყვალს დავუბრუნდეთ.

იმას რა მიხვდა – უფალმა ჩემი მსხვერპლი არ შეიწირაო, „ძალზე გამწარდა კაენი და თავი ჩაღუნა“ (დაბ. 4,4).

ამ მოკლე წინადადებაშიც მრავალი რამ არის ნაგულისხმევი. ერთი ის, რომ კაენი მომხდარ ამბავს კი არ ჩაუფიქრდა, საკუთარი გული და საკუთარი საქციელი კარგად კი არ გაჩხრიკა და მონანიება კი არ ისურვა, არამედ გამწარდა, ძალზე გამწარდა, სხვები დასახა ბრალეულად – უმცროსი ძმაც და თავად მაღალი ღმერთიც. სწორედ ამის გამო ჩაღუნა თავი. ვისაც

გული წმინდა აქვს, ვისაც უკეთური აზრები და გრძობები არ ეძალება, სული არ ამღვრევია, ნაქმნარი ან მოსახდენი ცოდვა არ აწუხებს, თავის ჩასაქინდრი არაფერი სჭირს. მისი ფსიქიკა გაწონასწორებული, მშვიდი იქნება და მზერა – ნათელი. ხოლო კაენმა თითქოს ვიღაცას მოარიდა მზერა.

„უთხრა უფალმა კაენს: რად გამწარდი, რად ჩაღუნე თავი? თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ღტოლვა, შენ კი იბატონე მასზე“ (დაბ. 4,6-7).

კარგად დაუკვირდეთ ყოვლისმხილველი, უსახდეროდ კეთილი ღმერთის ნათქვამს: მის წინაშე ხელისგულივით იყო გადაშლილი აფორიაქებული და გამწარებული კაენის სული, ხედავდა უფალი, რომ ცოდვის ჩასადენად შეიმართა კაენი და ამიტომ გააფრთხილა – ცოდვაზე იბატონეო, ესე იგი ავი საქმის ჩადენის საცდურს შენ თვითონვე სძლიეო. რაღა თქმა უნდა, უფალს თვალის დახამხამებაში შეეძლო დაეცხრო კაენის გულისწყრომა და გაექარწყლებინა მისი ავი ზრახვები. მაგრამ ჩვენ ზომ ვიცით უკვე, რომ, რაკი თავისუფალი ნება უბოძა ღმერთმა ადამიანს, ღვთაებრივე და თავისუფალი სულის მქონეს, თავის ნებასურვილს აღარ მოახვევს მას, არჩევანის სრულ დამოუკიდებლობას აძლევს. ზომ გახსოვთ, ასე იყო ადამისა და ევას შეცოდებისას. ამჯერადაც ასე მოხდა. უფალმა მხოლოდ გააფრთხილა კაენი – ცოდვას მოერიე, ცოდვა განიშორეო.

მაგრამ კაენმა ეს გაფრთხილება არად ჩააგდო. „უთხრა კაენმა თავის ძმას, აბელს: გავიდეთ ველად. და როცა ველად იფენენ, დაეცა კაენი აბელს და მოკლა“ (დაბ. 4,8).

ამით არ დასრულებულა კაენის ცოდვა.

„უთხრა უფალმა კაენს: სად არის შენი ძმა აბელი? მიუგო: არ ვიცი, ჩემი ძმის დარაჯი ზომ არა ვარ?“ (დაბ. 4,9).

უსინდისოდ რომ ცრუობს კაენი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს – არ ვიცი, სად არისო, ამბობს თავის მიერვე მოკლულ ძმაზე. მაგრამ მისი ნათქვამის მეორე ნაწილსაც უნდა მივაპყროთ ყურადღება – ჩემი ძმის დარაჯი ზომ არა ვარო!

საშინელმა ცოდვამ დაუბნელა გონება კაენს, თორემ ზომ უნდა სცოდნოდა, ყოვლისმხილველ უფალს რომ ვერ მოაჩყუებდა და მომხდარს ვერ




დაუძალადედა. ასევე გაოგნებულმა თქვა – ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარო?  
ამგვარი უკმეხი, უდიერი პასუხი აკადრა გამჩენ ღმერთს.

ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ სინანულის ნატამალიც არ აღძრულა  
მის სულში, რომ უფლის წინაშე რიდი და კრძალვა, მისი სიფეარული არ  
პქონდა.

კაინ ჰრქვა აბელს: შენ ღმერთსა  
რად უძღვენ სემზედ მუტია? —  
მოუქნივა და დანარტვა  
უფერად თაუში კურთია.  
აბელის საუთს ნახეთიქი  
ცან მოხვდა ანახსლუტია,  
მიხკან ცის მშვილდ ზედ სისხლი სწევას,  
ჯურაცა არ შესწვეტია.

დავით გურამიშვილი



## თავი მესამე

უსაზღვროდ კეთილმა ღმერთმა მშვენიერი სამყარო შექმნა და ამ მშვენიერი სამყაროს გვირგვინად ადამიანი გააჩინა. სიყვარულისა და სიკეთისათვის დაბადა კაცი უფალმა, ღვთაებრივი, გონიერი სული და თავისუფალი ნება უბოძა მას. ყოველი ადამიანი, ამა სოფლად მოვლენილი, სიყვარულისა და სიკეთის დამკვიდრებისთვის უნდა იღვწოდეს. ამგვარია შემოქმედის მიერ დადგენილი წესი ანუ კანონი.

ჩვენი სამყარო იმიტომაცაა მშვენიერი, რომ გონივრულად, ბრძნულად არის შექმნილი და მოწესრიგებული. ამ სამყაროში შემთხვევით არაფერი ხდება, ყოველივე უფლის ნებას ემორჩილება. ის, რასაც ჩვენ ბუნების კანონებს ვუწოდებთ, სინამდვილეში ყოვლადძლიერი და ყოვლადბრძენი ღმერთის მიერ დადგენილი წესები და კანონებია.

აბა დაუკვირდეთ. რატომ არის, რომ ამ ჩვენს დედამიწაზე დღეს დამეცვლის და ღამეს — დღე? იმიტომ, რომ დედამიწა თავისი ღერძის ირგვლივ ბრუნავს ბზრიალასავით და ხან ერთი მხრიდან შეხედავს მზეს, ხან მეორე მხრიდან. რატომ არის, რომ ამ ჩვენს დედამიწაზე ხან ზაფხულია და ხან ზამთარი? იმიტომ, რომ დედამიწა, გარდა იმისა, რომ თავისი ღერძის ირგვლივ ტრიალებს ბზრიალასავით, კიდევ მზის გარშემო ბრუნავს და ამ ბრუნვის დროს დედამიწის სხვადასხვა მხარეს მზის სხივები ხან უფრო შვეულად ეფინება, ხან — უფრო აღმაცერად.

საგულისხმო ის არის, რომ დედამიწა თავისი ღერძის ირგვლივაც და მზის გარშემოც საოცრად ზუსტად ბრუნავს. თავისი ღერძის ირგვლივ ერთხელ რომ შემოტრიალდება დედამიწა, ზუსტად ერთი დღე-ღამე გაივლის, მზის გარშემო რომ შემობრუნდება, ზუსტად ერთი წელიწადი გაივლის. ასე გრძელდება წლიდან წლამდე.

დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს, დედამიწის ირგვლივ მთვარე ტრიალებს. ყოველ თქვენგანს შენიშნული ექნება, როგორ გამჯაშუქებს ხოლმე საღამო ხანს ახალი მთვარე, ნამგალივით მორკალული (ნამგალა მთვარეო,



– სწორედ ასე უწოდებს ხალხი). მერე ეს რკალი თანდათანობით ივსება, მთვარე მრგვალდება და ბოლოს საფხე მთვარე ჩანს ცაზე. შემდგომ სავსე მთვარე მოკლებას იწყებს, ნელ-ნელა შიილევა, მცხრალ მთვარედ იქცევა, რათა ხელახლა ახალ მთვარედ გამობრწყინდეს. ასე გრძელდება თვიდან თვემდე.

სხვა ციურ სხეულთა ამბავიც ასეა. საოცარი სიზუსტით ამოდის და ჩადის ჩვენი ცის გუმბათზე ვარსკვლავებიც და სხვა მნათობებიც – ჰლანეტები ანუ ცლომილნი.

ახლა ის ეთქვას, რომ დღე, სინაძლე იმიტომ არის დედამიწაზე, რომ მზე გვიგზავნის თავის სხივებს. მთვარეც გვინათებს ხოლმე, მცირედენ შუქს ვარსკვლავებიც გვაფენენ, მაგრამ ჩვენი უმთავრესი მნათობელი მზეა მაინც. მზიდან გამონაშუქი სხივი წარმოუდგენელი სისწრაფით მოქპრის ჩვენსკენ – წამში სამასი ათას კილომეტრს გადის სინათლის სხივი. ვარსკვლავთაგან გამოსული სხივებიც ასეთივე თავბრუდამხვევი სისწრაფით მოექანება.

ამგვარია ჩვენი ხილული სამყარო, რომელსაც კოსმოსსაც უწოდებენ. „კოსმოსი“ ბერძნული სიტყვაა და წესრიგს ნიშნავს. მართლაც დიდებული წესრიგი სუფევს სამყაროში. პარმონია სუფევსო, – ასეც იტყვიან ხოლმე. პარმონია იმას ეთქმის, რისიმე ნაწილები ერთიმეორეს კარგად რომ არის შეწყობილი, შეთანხმებული, შეხმატკბილებული. ასეა, მაგალითად, სიმღერის დროს: პირველი ხმა, მეორე ხმა და ბანი ერთიერთმანეთს თუ არ შეეწყობა, სიმღერა არ გამოვა. პარმონია დაირღვაო, – ამბობენ ხოლმე ასეთ დროს. სამყაროს ანუ კოსმოსის ამბავიც ასეა: ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ წესრიგი, პარმონია რომ დაირღვეს სამყაროში, ყოველივე აირდაირევა და ბოლოს ქაოსად იქცევა. ქაოსი რასაც ნიშნავს, ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ ერთ წინა გაკვეთილზე.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ სამყაროს წესრიგი და პარმონია არ ირღვევა, მილიარდობით და მილიარდობით ციური სხეული იძვრის სამყაროში, ოღონდ ისე იძვრის, ისე ბრუნავს, ერთიმეორეს ხელს არ უშლის, ყველა მათგანი – მილიარდი მნათობი – თავთავის გზას მიუყვება და სამყა-


როს დიდებულ საერთო პარმონიას ქმნის. რის წყალობით ზდება ასე? იმ მარადიული კანონების წყალობით, რომლებიც ღმერთის მიერ არის დადგენილი და რომლებსაც ბუნების კანონებს ვუწოდებთ ზოლმე ჩვეულებრივ.

აეილოთ ერთი ასეთი კანონი, ყოველი ჩვენგანისთვის ადვილად შესამჩნევი და გასაგები მიზიდულობის კანონი. ამ კანონის უმარტივესი გამოხატულება ის არის, რომ ხის ტოტს მომწყვდარი რომელიმე ნაყოფი, ვთქვათ, ვაშლი, ჰაერში კი არ ჩერდება, უეჭველად მიწაზე ეცემა. სხვათა შორის, ამბობენ, რომ სწორედ ამ მაგალითით მიაკვლიაო მიზიდულობის კანონს მისმა აღმომჩენმა — ისააკ ნიუტონმა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ცხოვრობდა ეს გენიოსი მეცნიერი. ერთ მშვენიერ დღეს ამგვარი კითხვა აღეძრა: რატომ ვარდება მიწაზე ვაშლი? იმიტომ, რომ მიწა, დედამიწა იზიდავს ვაშლსაც და ყველა სხვა სხეულსაც. ასე რომ არ ყოფილიყო, დედამიწა სხეულებს, საგნებს რომ არ იზიდავდეს, თავბრუდამხვევი სისწრაფით მბრუნავი დედამიწიდან ყველა საგანი, ყველა სხეული ჰაერში გაფრიალდებოდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ჰაერიც აღარ შერჩებოდა დედამიწას, ისიც უსაზღვრო კოსმოსში მიმოიფანტებოდა, მიზიდულობის ძალით რომ არ იყოს დედამიწას შემოგარსული.

მიზიდულობის კანონის გამოვლინებაა ისიც, რომ ჩვენ თვითონაც რაგინდ მალლა შევხტეთ, მაინც უეჭველად უკანვე მიწაზე ვეცემით ზოლმე — მიზიდულობის ძალა გვექაჩება მიწისკენ. რაც უნდა მალლა ავისროლოთ რაიმე საგანი, — ქვა იქნება, ბურთი, თუ სხვა რამ, — ისიც უეჭველად ძირს ჩამოვარდება.

მიზიდულობის ძალა აბრუნებს მთვარეს დედამიწის ირგვლივ. ეს ძალა რომ არ ყოფილიყო, დედამიწა რომ არ იზიდავდეს, მთვარეც უგზოუკელოდ გადაიკარგებოდა თვალშეუდგამი სამყაროს შორეულ სივრცეებში. თავის მხრივ დედამიწას მთვარიანად მზე იზიდავს და ამიტომ ბრუნავს ჩვენი პლანეტა მზის გარშემო. სხვა პლანეტებიც ანუ სხვა ცდომილებიც ამიტომ უკლიან გარს მზეს — ვენერა (იგივე ცისკარი), მარსი, იუპიტერი თუ სხვანი.

ამავე კანონის ძალით მზესაც თავისი პლანეტებიანად (ანუ, როგორც ითქმის ზოლმე — მთლიანად მზის სისტემას) საკუთარი ადგილი და საკუ-



თარი გზა აქვს მიჩენილი უსაზღვრო კოსმოსში და ღმერთმა დაიფაროს, ოღნავ მაინც გადასცდეს ამ გზას – სულ მცირე ხანში ჩვენი დედამიწისგან აღარათფერი დარჩებოდა. თავად ჩვენ რა დაგვემართებოდა, ამას ნულარც ვიკითხავთ.

ერთი სიტყვით, კვლავაც ვთქვათ: ჩვენი ხილული სამყარო, ჩვენი კოსმოსი იმიტომ არის მწყობრი, წესრიგიანი და ქარმონიული, იმიტომ არის მშვენიერი, რომ მისთვის დაწესებული კანონების მიხედვით არსებობს. ეს კანონები თუ დაირღვა, სამყაროს დიდი უბედურება დაემუქრება.

ახლა გავიხსენოთ, რაც მეოთხე კლასში ვისწავლეთ: ხილული, ნიუთონის სამყაროს გარდა არის კიდევ უხილავი, სულიერი სამყარო. მაშინ ისიც ვთქვით, რომ იმ უხილავ სამყაროს ეკუთვნის ჩვენი გრძნობები, გონება, ნებისყოფა, ჩვენი სული. ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ, თუკი ხილული სამყარო ვერ იარსებებს ღმერთის მიერ დაწესებულ კანონთა გარეშე, სულიერი სამყაროც უეჭველად რაღაც წესებსა და კანონებს უნდა ემორჩილებოდეს. სწორედ ამ წესებსა და კანონებს აცნობს ადამიანს რელიგია.

მეოთხე კლასის სახელმძღვანელოში ჩვენ გავეცანით ზოგიერთ ამდაგვარ კანონს, სულიერი სამყაროსთვის, კაცის სულისთვის დაწესებულ კანონებს. გავიხსენოთ:

ადამიანმა სული სიკეთის გზით უნდა ატაროს და ბოროტებას მოარიდოს.

სიკეთე არის საკუთარი თავისთვისაც და სხვისთვისაც კარგის გაკეთება.

ბოროტება არის საკუთარი თავისთვისაც და სხვისთვისაც ცუდის გაკეთება.

კაცი თავისთვის კარგს რომ იკეთებს, თუ სხვისთვისაც კარგი არ იქნა და მარტოოდენ მისთვის იქნა კარგი, ეს უკვე აღარ არის სიკეთე. ვისაც სიკეთის გზით სიარული სურს, მხოლოდ საკუთარ თავზე კი არ უნდა ფიქრობდეს და ზრუნავდეს, სხვებზეც მართებს ფიქრი და ზრუნვა.

სხვათა სიკეთეზე რომ ვიფიქროთ და ვიზრუნოთ, უნდა გვიყვარდნენ ის

სხვა ადამიანები. უსიყვარულოდ სიკეთე ვერ იარსებებს, სიკეთის-საყუძ-  
კელი სიყვარულია. უსიყვარულოდ სიკეთის გზას ავცდებით, ზოლო სიკე-  
თის გზას აცდენილი სული ბოლოს უეჭველად ბოროტების გზას დაადგება.

ბოროტების სათავე არის ცუდი, უკეთური გრძნობები, ცუდი, უკეთური  
აზრები და ცუდი, უკეთური საქციელი, ანუ ის, რასაც **ცოდვა** ეწოდება.  
ცოდვა არის უფლის მიერ დადგენილ კანონთა დარღვევა.

მეოთხე კლასში, თუ გახსოვთ, ზოგიერთი ცოდვის შესახებაც ვისა-  
უბრეთ, სახელდობრ, სიცრუისა და შურის შესახებ.

ამათ გარდა კიდევ მრავალგვარი ცოდვა არსებობს. უცოდველი კაცი  
დედამიწის ზურგზე არ დადისო, — ნათქვამია. ყოველი ჩვენგანი სჩადის  
დიდსა თუ მცირე ცოდვას. ამათგან ზოგიერთს ჩვენ თვითონვე ვამჩნევთ,  
ზოგიერთს ვერც კი ვამჩნევთ, ვერც კი ვხვდებით, ცუდი, უკეთური გრძნობა  
რომ გაგვივლია გულში, ცუდი, უკეთური აზრი რომ გაგვჩენია, ცუდი, უკე-  
თური საქციელი ჩაგვიდენია. ამიტომაც ყოველ კაცს დიდი სიფრთხილე  
მართებს: შესაძლოა ისე შემოგვეპაროს საძრახისი გრძნობები და აზრები,  
ისე ჩავიდინოთ უკადრისი საქციელი, ვერც კი შევნიშნოთ. არადა, ამდაგვარ  
გრძნობას, აზრს, საქციელს ღვთაებრივი კანონების დარღვევისკენ, ცოდვის-  
კენ და, მაშასადამე, ბოროტებისკენ მივყვართ.

წარმოვიდგინოთ: ქუჩაში მიმავალმა მათხოვარს ეკიდე თვალი. დგას  
საცოდავი ხელგამოწვდილი, მოწყალეების მომლოდინე. ცოტაოდენი ფული  
კი მიდევს ჯიბეში, მაგრამ ვერ გავიმეტე — კევი უნდა ვიყიდო, აი, ის, „ფაჩ-  
კას“ რომ ეძახიან ჩვენში რატომღაც. ჩაუუარე მათხოვარს გულგრილად და  
განვაგრძე გზა.

ან კიდევ: ქუჩაში მიმავალმა მიხრწნილი მანდილოსანი დავინახე, ხეს  
მიყრდნობილი, ძალაგამოლეული. ვინ იცის, რა გასაჭირი ადგას, — ან თავ-  
ბრუ დაეხვა, ან გული გაუხდა ცუდად, იქნებ მუხლებმა უმტყუნეს. იმასაც  
გულგრილად ჩაუუარე და ჩემი გზით წავედი.

უგულო არისო, — ჩემნაირზე ითქმის სწორედ. უგულო ის არის, ვისაც  
სხვისი გასაჭირი გულთან არ მიაქვს, სხვისი უბედურება არ ედარდება, მის  
დასახმარებლად არაფერს იღონებს. დიდი ცოდვაა უგულობა.



წარმოვიდგინოთ: ახალთახალი ლამაზი ტანისამოსი მაცვია და შეამაყება ეს ამბავი, გაკეთილები კარგად ვიცი და შეამაყება, მასწავლებლის კითხვებს სხვებზე უკეთ უუპასუხე – შეამაყება, მასწავლებელმა შემაქო – შეამაყება, ვილაცამ თქვა ჩემზე, რა კარგი შესახედავი არისო – შეამაყება, რა კარგი ბიჭი (გოგო) არისო – შეამაყება, ნეტავი მაგის მშობლებსო – შეამაყება... ბოლოს სიამაყე ისე მომეძალა, ჩემზე უკეთესი აღარაეინ მგონია ქვეყნად, მეგობრებსა და ამხანაგებს აღარაფრად ვაგდებ, მედიდურად ვექცევი, ვედიდგულები.

ამპარტავენი არისო, – ჩემნაირზე ითქმის სწორედ. სიტყვა „ამპარტავენი“ მრავალი სინონიმი აქვს ქართულში: ამაყი, გულზეიადი, ქედმაღალი, გოროზი, მწვაობარი, ყოყლოჩინა, გაბღენძილი და მისთანანი. ამპარტავენებაც დიდი ცოდებაა.

კიდევ წარმოვიდგინოთ: მასწავლებელი შემოვიდა და გამოგვიცხადა: ჩვენი სკოლიდან რამდენიმე მოსწავლე იგზავნება გერმანიაში თითო წლით სასწავლად, ჩვენს კლასში ერთი მოსწავლე უნდა შევარჩიოთ, თქვენ ვის დაასახელებთო?

აღბათ ყოველმა ჩვენგანმა ის იფიქრა იმ წუთას – ლაშა უნდა დავასახელოთო. იმიტომ, რომ ლაშა ყველას გეჯობია ჩვენს კლასში – სხვებზე უკეთაც სწავლობს, სხვებზე ნაკითხიცაა, სხვებზე გონიერიც, თან სულ იმას ოცნებობს – ნეტავი თუ ველირსები როდისმე, გერმანიაში მოვხედე და იქ ვისწავლო! ოღონდ ლაშას ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობს, უცხოეთში გამგზავრება კი არა, ხეირიანი ტანისამოსიც არ აცვია ლაშას.

ღიას, აღბათ ყოველმა ჩვენგანმა ის იფიქრა იმ წუთას – თუ ვინმე წავა ჩვენი კლასიდან, ლაშა უნდა წავიდესო. მაგრამ მე ავდექი და ვთქვი:

– ნიკა უნდა წავიდეს გერმანიაში, მასწავლებელი.

იმიტომ, რომ ნიკაა ჩემი მეგობარი და არა ლაშა.

არადა, ნიკას მდიდარი მშობლები ჰყავს, მამამისს ბევრი ფული აქვს და უკვე ორჯერ გაასეირნა ევროპაში ნიკა. თანაც ნიკას გერმანულისა და ინგლისურის მასწავლებლები ოჯახში დაუდიან.

უსამართლო არისო, – ჩემნაირზე ითქმის სწორედ.

დიდი ცოდვაა უსამართლობა.

სიცრუე, შური, უგულობა, ამპარტავნება, უსამართლობა... ამ ცოდვათა შესახებ უკვე ვისაუბრეთ. მაგრამ ცოდვა იმდენია, ყველას ვინ ჩამოთვლის.

მანც მოვიხსენიოთ რამდენიმე ცოდვა, ჩვენი ასაკის გოგონებისა და ბიჭებისთვის სხვებზე მეტად ნაცნობი: სიზარმაცე, უქნარობა, დაუდევრობა, გემოთმოყვარეობა ანუ მუცელმერთობა ანუ ღორმუცელობა, სიხარბე, თვალის სიხარბე, სიძუნწე, ქურდობა, უპატიოსნება, დალატი, ორგულობა, ორპირობა, ფიცის გატეხა, პირმოთნეობა, პირში ქება, ზურგს უკან ძაგება, თვითმოყვარეობა (არ აგვერიოს: თავმოყვარეობა სხვა რამ არის, თვითმოყვარეობა – სხვა), თავის მოტყუება, სიმხდალე, თავხედობა, მოუთმენლობა ანუ სულსწრაფობა, გულფიცხელობა, გულისწყრომა, სიძულელი, შუღლი, მტრობა, სხვისი განსაცდელის სიხარული, სხვათა კილეა და ძრახვა, ბეზლობა, ცილისწამება, ბილწსიტყვაობა...

ხედაეთ, რამდენია?!

ისიც გავითვალისწინოთ: აქ უმთავრესად ისეთი ცოდვები ჩამოვთვალეთ, რომელთა ჩადენა ჩვენი ხნის ბავშვსაც შეუძლია. ცოდვათა ეს ნუსხა დიდად გაიზრდებოდა, ასაკოვან ადამიანთა მიერ ჩადენილი ცოდვებიც რომ დაგვეერთო. მრავლის უმრავლესია ცოდვა. ამიტომაც არის ნათქვამი: კაცი ერთ ამოსუნთქვაზე მადლს რომ იქმს, მეორე ამოსუნთქვაზე უკვე ცოდვას სჩადისო. და ამიტომაც მართებს ადამიანს, სულმუდამ ფხიზლად იყოს, შეძლებისდაგვარად გაერიდოს უკეთურ გრძნობებს, აზრებსა და საქციელს.

ეს რა გამოდისო, – იტყვის ალბათ მრავალი თქვენგანი, – სულ იმაზე თუ ვიფიქრე, ცოდვა არაფერი ჩავიდინო, როდისღა ვითამაშო, როდისღა ვისწავლო ან ვიცხოვროო?!

საქმეც ის არის, ამთავითვე, აღრიდანვე თუ შევაჩვიეთ თავი სულიერი წესებისა და კანონების დაცვას, შემდგომში მრავალ ცოდვას უფიქრელადაც ავიცილებთ.

ჩაუხედოთ ცოდვათა ზემოთ ჩამოთვლილ ნუსხას, თავშივე დასახელებულ რამდენსამე ცოდვას მივაპყროთ ყურადღება: სიზარმაცე, უქნარობა, დაუდევრობა, გემოთმოყვარეობა, სიხარბე, თვალის სიხარბე, სიძუნწე, ქურ-

დობა...

სიზარმაცე, უქნარობა, დაუღვერობა ისეთი სენია, თუ შევიჩვიეთ, დაგვძალავს და მოგვერევა, თუ შევებრძოლეთ, იშვიათადღა შეგვახსენებს თავს.

წარმოვიდგინოთ: დილით გავიღვიძე, ადგომა მეზარება, წამოვდგები და პირის დაბანა მეზარება, ტანსაცმლის გაწმენდა მეზარება, ფეხსაცმლის გაკრიალება მეზარება, სკოლაში ფეხით წასვლა მეზარება, მასწავლებლის მოსმენა მეზარება, მერე, შინ რომ დაებრუნდები, გაკეთილების სწავლა მეზარება, ჩემი წიგნებისა და ნივთების წესიერად დალაგება მეზარება და ასე უსასრულოდ. ნებას თუ მიეუშვი ეს სენი, რა რომ გავიზრდები, მით უფრო ვეღარ მოვერევი, ზარმაცი, უქნარა, დაუღვევარი კაცი დაედგები, ხოლო სიზარმაცეს, უქნარობასა და დაუღვევრობას სიკეთე რომ არავისთვის მოუტანია, ყველამ ვიცით ალბათ.

მაგრამ თუ თავიდანვე შევაჩვიე და ვაიძულე თავი, რომ, რაც კი ჩემი გასაკეთებელია, არაფერზე წელი არ ავითრიო და დროულად გაეაკეთო, ეს ჩვევა ისე გამიჯდება მთელ არსებაში, აღარაფრის გაკეთება არ დამეზარება და უქმადაც არასოდეს დავკარგავ დროს. მაშინ სიზარმაცეც, უქნარობაც, დაუღვევრობაც იმდენად უცხო იქნება ჩემთვის, ყოველ წუთს ფიქრი და ზრუნვა სულ აღარ მომიწევს – არიქა, ზარმაცი არ ვიყო, უქნარა არ ვიყო, დაუღვევარი არ ვიყო! თავისთავად ვერ ვიქნები ზარმაცი, უქნარა თუ დაუღვევარი.

გემოთმოფარების გამოც ვთქვათ ცოტა რამ. საგულისხმო ის არის, ამ სიტყვის სინონიმები – მუცელღმერთობა, ღორმუცელობა – თვითონვე მიგვანიშნებენ, რა საძრახისი და უკადრისია ეს სენი ანუ ცოდვა. აბა რა კაცია ის კაცი, ვისაც საკუთარი სტომაქი ღმერთად გაუხდია და მის ნება-სურვილს დაჰყვება უმწეოდ, ვინც ღორმუცელაა ანუ ღორივით გაუმაძღარი!

არადა, ამ სენის მოშორება ანუ ამ ცოდვის არიდება არც ისე ძნელია. ამთავითვე შევაჩვიოთ თავი იმას, რომ მუცელს არ დავემონოთ, გაუმაძღრად არ ვჭამოთ, თავი შევიკავოთ ხოლმე. მშვენიერი ნათქვამი აქვთ ევროპელებს: სუფრიდან რომ ადგები, ცოტათი კიდევ უნდა გშიოდესო. არც ქართული

ანდაზაა ურიგო: მუცელს აღორებ – ღორია, აქორებ – ქორიაო, ამთავითვე თუ ეძლიეთ სტომაქს, შემდგომშიც არ გაგვიძნელდება ზომიერების დაცვა და, უკაცრავად პასუხია, ღორად აღარ გადავიქცევით. ამასთან, ყოველ წუთს იმის ფიქრი არ დაგვჭირდება, – არიქა, გემთმომოყვარების ცოდვაში არ ჩავევარდეთო! თავისთავად ვერ ვიქნებით მუცელღმერთანი.

ახლა სიხარბე. ხომ ყველამ ისედაც კარგად ვიცით, რა სათაკილო თვისებაა სიხარბე, ხომ არავის უყვარს ხარბი კაცი. არ უნდა შევაჩვიოთ თავი ამ სენს, რამე რომ შეგვეხარბება, საკუთარი თავი სასტიკად უნდა დაეტუქსოთ – არ გაბედო, სხვისი არაფერი შეგეხარბოსო! ერთხელ, ორჯერ, ათჯერ და შევეჩვევით.

დაუუკვირდეთ: ჩემს ამხანაგს ლამაზი ფეხსაცმელი დაეუნახე და შემეხარბა – მეც მომიწინა იმნაირი ფეხსაცმელი. მეორეს პალტო დაეუნახე მშვენიერი და ისიც საჩემოდ მომესურვა. ვიღაცის კაშნე შემეხარბა, ვიღაცის – ქული, იმისი – მანქანა, სხვისი – ბინა. მაღაზიის ვიტრინასთან გაეჩერდი და რაც იქ ნაირ-ნაირი ძვირფასი საქონელი აწყვია, სულ ჩემთვის მოვიწადინე... სად წავალ ასე? ისიც ხომ არ ვინატრო – რაც დედამიწის ზურგზე კარგი ფეხსაცმელი ან ტანსაცმელია, ან კარგი მანქანა, ანდა სხვა რამ ძვირფასი ნივთი, სულ ჩემი იფოსო?!

მაგრამ ერთხელ, ორჯერ, ათჯერ თუ ვაჯობე ჩემს სიხარბეს, მერე და მერე ახლოსაც აღარ გავიკარებ და ყოველ წუთს იმაზე ფიქრი აღარ დამჭირდება – არიქა, არაფერი შემეხარბოს-მეთქი! თავისთავად არ ვიქნები ხარბი.

სიძუნწის ამბავიც ასეა, ქურდობისაც. წესიერსა და პატიოსან კაცს სულ მუდამ იმაზე ფიქრით კი არ უსკდება თავი – სულმა არ წამძლიოს, არაფერი მოვიპაროო. თავისთავად იგულისხმება, რომ წესიერი და პატიოსანი ადამიანი არ იქურდება.

ოღონდ რაც აქამდე ითქვა, იმას სულაც არ ნიშნავს, ერთხელ თუ მოვიშორეთ თავიდან ესა თუ ის ცული თვისება ან ჩვევა, შემდეგ სამუდამოდ ვიქნებით მისგან განთავისუფლებულნი. აქ მხოლოდ ის იგულისხმებოდა, რომ ამგვარი ცოდვების ასაცილებლად გამუდმებულად ფიქრი აღარ დაგვჭირდება, თორემ ცოდვა კიდევ ბევრჯერ წამოყოფს თავს ჩვენს სიცოცხლეში.

აზლადე მაგალითი დაგვანახებს, როგორც არის საქმე.

ეთქვით, ბავშვობაშივე ვძლიე სიზარმაცეს, ასაკოვანი კაცი ისე გავხდი, ზარმაცი აღარ მეთქმის. მაგრამ შესაძლოა ამგვარი რამ შემემთხვეს: გზაზე მანქანას მივაქროლებ. საღამოვდება. გავიხედე და — ვიღაც კაცს თავისი მანქანა გზის კიდეზე გაუჩერებია და ხელს მიწვევს, სახე შეწუხებული აქვს. გაუჩერე. დომკრატს ხომ ვერ მათხოვებთო, — მითხრა, — საბურავმა დაუშვარო. დომკრატი კი მიღვევს საბარგულში, მაგრამ ზედ იმდენი რამ აწყვია, ჩემი ხაბაკუზბაკი, იმის გადმოლაგებას და მერე უკან ჩაწყობას კარგა ხანი დასჭირდება. არ მაქვს-მეთქი, — მიუვრე და დაუძარი მანქანა. საერთოდ ხომ არ ვარ ზარმაცი, მაგრამ ამგვერად დაეიზარე გაჭირებულ დღეში ჩავარდნილის დახმარება.

არადა, კაცმა არ იცის, რა საძაგელი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ან იქნებ მოჰყვა კიდეც ჩემს წამიერ სიზარმაცეს. იქნებ სხვა მანქანას აღარ ჩამოუვლია და შუა გზაზე შემოაღამდა იმ კაცს, ტრიალ მინდორში მოუწია ღამის გათევა, იქნებ სასწრაფო საქმეზე აგვიანდებოდა, იქნებ ოჯახში ელოდებოდნენ მოუთმენლად... ათასგვარი რამ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

სხვა მაგალითი: გემოთმოყვარობას ბავშვობაშივე ვძლიე, ასაკოვანი კაცი ისე გავხდი, მუცელმწერთა აღარ მეთქმის. მაგრამ ერთხელ ერთ ოჯახში სუფრაზე იმდენი გემრიელი საჭმელი დაახეავეს, თავი ველარ შევიკავე და მაღიანად მივაძეხი ყველაფერს, ზედმეტი მომივიდა. ზედმეტმა გაძლომამ სიზანტე იცის. იმ საღამოს ავადმყოფი მეგობრის სანახავად ვაპირებდი. წასვლას, ველარ წავედი, ნაყროვანების მსხვერპლი გავხდი. ნაყროვანებარას ჰქვია, ამას სულხან-საბა ორბელიანი განგვიმარტავს თავის განთქმულ ლექსიკონში: „ნაყროვანება — უწესო სიძაძრე“.

სხვა მაგალითების მოხშობა ალბათ აღარც არის საჭირო, სათქმელი უკვე გამოიკვეთებოდა: თუკი ბავშვობიდანვე შევაჩვიეთ ჩვენი თავი სულიერი წესებისა და კანონების დაცვას, საკუთარი თავის მუდმივ კონტროლს, შემდგომში მრავალგვარ ცოდვას უფიქრელადაც ავირიდებთ. მაგრამ ერთხელ ძლეული ცუდი ჩვევა, თვისება, ერთხელ ძლეული ცოდვა სამუდამოდ მაინც ვერ დაიძლევა და, შემთხვევა მიეცემა თუ არა, ხელახლა წამო-

ცელყელავდება უხსენებელივით. ამასთან, ჩვენს მიერ ძლეულ ცოდვათა გარდა მრავალგვარი სხვა ცოდვაც არსებობს. ასე რომ, გონიერ კაცს მართებს სიფხიზლე არასოდეს დაკარგოს და რაც კი გაეწყობა, განერიდოს ცოდვებს.

მით უფრო, რომ ზოგიერთი ცოდვა იმგვარი ბუნებისაა, სიზარმაცესა-ვით, გემოთმოყვარეობასავეთ, სიზარბესავეთ შედარებით იოლად ვერ მოვე-რევით. ამგვარი ცოდვებია, მაგალითად, თვითმოყვარეობა, თავის მოტყუება, ამპარტაუნება, სხვათა კილეა და ძრახვა, გულფიცხელობა, სულსწრაფობა და სხვანი.

თავისთავი ყოველ ადამიანს უყვარს. ეს ბუნებრივია და საძრახისიც არ არის. მაგრამ როდესაც კაცს მხოლოდ თავისთავი უყვარს და სხვები არა, ეს აღარც ბუნებრივია და აღარც შესაწყნარებელი, ეს ღიდი, ღიღზე ღიდი ცოდ-ვაა. არადა, ამ ცოდვის დაძლევა ძნელია ერთობ.

ამასთან, შესაძლოა ეს ავი სენი სჭირდეს კაცს და ვერც ამჩნევდეს, ან კიდევ შესაძლოა თვალს იბრმავებდეს, თავს იტყუებდეს – როგორ არა, სხვებიც მიყვარსო. ხდება ზოლმე ასე. ამნაირ ადამიანს თითქოს მართლაც უყვარს, ეთქვათ, მშობლები, მეუღლე, შვილები, ახლო ნათესავეები, მეგობ-რები, მაგრამ სინამდვილეში ეს მისი გრძნობა მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარულია და სხვა არაფერი. მშობლები იმიტომ უყვარს, რომ კარგად უვლიან მას, ზედ აკვდებიან, თავისას იკლებენ, ოღონდ კი გული არაფერზე დასწყვიტონ. მეუღლეს იმიტომ უყვარს, ან შვილები, ან მეგობრები, რომ თა-ვის საკუთრებად მიიჩნევს მათ, ან კიდევ გარკვეულ სარგებელს გამოულის მათგან. საკმარისია მოუჩვენოს – ჩემმა მეუღლემ, შვილებმა, ახლობლებმა, მეგობრებმა კუთვნილი პატივი არ მომაგესო, უმაღლეს ფაღვზე დადგება და მისი სიყვარულისგანაც აღარაფერი დარჩება: მე გარჩენთ, მე გაჭმევთ და გასმევთ, თქვენ კიდე არ მათასებთო! მე რომ არ გყავდეთ, რა გეშველებო-დათო! მე უნდა გიპატრონოთ ყველას, გული გამიწყალეთო! ჩემზე რატომ არავეინ ზრუნავსო! ჩემი ოთახის კარის გაღება ვინ გაბედაო! ჩემი სახლი სასტუმრო ზომ არ არის, ამდენი ხალხი რომ მიდი-მოდისო!

მე, მე, მე! ჩემი, ჩემი, ჩემი!..

არადა, სადაც ჭეშმარიტი სიყვარულია, იქ შენ-ჩემობამ ვერ უნდა გა-

იხაროს.

მეთავისე არისო, — ამგვარ კაცზე ითქმის ზოლმე.

ანდაზებიც არის მოგონებული ამნაირი ხალხის შესახებ: ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო; მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზე დადუღებულაო. ეს ანდაზები ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს მისი მთქმელები ჩვენც მოგვიწოდებდნენ — არ გაბრიყვდეთ, სხვებზე არ იზრუნოთ, მარტოდენ საკუთარ თავზე იზრუნეთ! არა, აქ შეფარული ირონიაა, გაკილვა მეთავისე ადამიანებისა.

ამპარტავენბაც ძნელად მოსაშორებელი ცოდვია, გულფიცხელობაც, სულსწრაფობაც... ამდაგვარ ცოდვებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში თუ არ ვებრძოლეთ, სულიერი ცხოვრებისთვის დაწესებულ ღვთაებრივ კანონებს დაეარღვევთ. ზოლო ღვთაებრივ კანონთა დარღვევას ხილულ სამყაროშიც და სულიერ სამყაროშიც უბედურების მეტი არაფერი მოსდევს. როგორც მიზიდულობის კანონის დამრღვევი უეჭველად ჭირს აიტეხავს სათავისოდ, თუკი ამ კანონს არაფრად ჩააგდებს და, ვთქვათ, მეორე ან მესამე სართულიდან გადმოეშვება, იგივე და ბევრად უარესიც ემართება სულიერი კანონების დამრღვევ უგუნურ ადამიანს.

როგორც უკვე ვნახეთ, სწორედ ასწვევს აიტეხა სათავისოდ ჭირი კაენმა.

მაგრამ მარტო კაენმა არა. კაცობრიობის გამრავლებასთან ერთად ღვთაებრივ კანონთა არაფრად ჩამგდები, ღვთისგან განდგომილი ხალხიც მრავლდებოდა.

ნუქი ამ ცქცქს უმუჯოფ, აქვე  
უნდა მოქცეულ.

— ფეხი დამადგიით,  
 გულზე დამადგიით ფეხი უოველმან,  
 წუალობა ჭეაქით!  
 საქართველოის უოველის მპურობელმან  
 ვიხურვე — დაუით...  
 ფეხქვეშ კაცითეთ საფლავის ლოდი  
 უურმინს მტვენებით!..  
 — ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფუო,  
 მიუტყეები?  
 ღირსშესახურებდი ქართულ მიწა-წყალს,  
 რაი ვადარდებხ?  
 გასწიე იგი ნიკოფსიითვან  
 დარუბანდამდე.  
 თუ ეს მაღალთა თავმდაბლობაა  
 ოდიით და ოდიით?  
 თუ ცოდვილი ხარ, მამინ, მეფუო,  
 რაღა ქნან ცოდვილთ,  
 სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის  
 ვერსით მოველთა?  
 — გულზე დამადგიით, ფეხი დამადგიით  
 გულზე უოველთა!..

ანა კალანდაძე

## თავი მეოთხე

სულ უფრო და უფრო იმძლავრა ცოდვამ, ქვეყნად მოკლენილმა ახალ-ახალმა თაობებმა თანდათანობით დაივიწყეს ის სასჯელი, პირველ ადამიანებს – ადამსა და ევას ღმერთისგან განდგომისთვის რომ დაატყდათ თავს.

„დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამ ქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამყვამს მათი ყოველი გულისთქმა“ (დაბ. 6,5); „წაირყვნა ქვეყანა ღმერთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით. გაღმობედა ღმერთმა ქვეყანას და, აჰა, წარყვნილიყო იგი, რადგან გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი ზნე ამ ქვეყანაზე“ (დაბ. 6,11-12).

ასე გადაგვარდა მაშინდელი კაცობრიობა. და, როგორც „ბიბლია“ მოგვითხრობს, გამჩენმა ღმერთმა მას საშინელი სასჯელი მოუვლინა – საყოველთაო წარღვნა.

ეს სიტყვა – „წარღვნა“ – ყოველ თქვენგანს ისედაც გაგონილი ექნება. ნამდვილი წარღვნა არისო, – იტყვიან ხოლმე, მაგალითად, გადაუღებელი თავსხმა წვიმების დროს, როცა ქალაქის ქუჩებშიც კი მოდგანდგარებს გააყვებული ნიაღვრები, როცა აღიდებული მდინარეები ნაპირებს გაღმობადავს და არემიდამოს დატბორავს.

მაგრამ ყველაზე შემზარავი წყალდიდობის წარმოდგენაც კი ვერ მიგვახვედრებს, როგორი იყო სინამდვილეში ის წარღვნა, „დაბადების“ წიგნში რომ არის აღწერილი: „ამ დღეს მოსკდნენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნენ ცათა სარკმლები. აწვიმდა ქვეყანას ორმოცი დღე და ორმოცი ღამე... გაძლიერდა წყალი და მეტისმეტად აღიდდა ქვეყნად... მეტისმეტად მომძლავრდა წყალი ქვეყანაზე და დაიფარა მაღალი მთები, რაც კი იყო მთელს ცისქვეშეთში. თხუთმეტი წყრთის სიმაღლეზე აიწია წყალმა მათ ზემოთ და დაიფარა მთები. მოისპო ყოველი ხორციელი, რაც კი იძვროდა ამ ქვეყნად, ფრინველი, პირუტყვი, მხეცი და ყოველი ქვეწარმავალი, მიწაზე მძრომელი, და ყოველი ადამიანი. ყველაფერი, რასაც სიცოცხლის სუნთქვა

ჰქონდა ნესტოებში, ყველაფერი, რაც ხმელეთზე იყო, მოკვდა“ (დაბ. 7,12-22).  
 ღმერთმა ნურავის ანახოს ამნაირი ზარდამცემი სურათი!

საგულისხმო ის არის, მარტოოდენ „ბიბლია“ როდი მოგვითხრობს წარ-  
 ლენის ამბავს. მრავალი ზალხის თქმულებებშია შემონახული კაცობრიობის  
 თავს დამტყდარი ამ საზარელი კატასტროფის ხსოვნა. შუამდინარული,  
 ბერძნული, ჩრდილოევროპული, ეგვიპტური, ინდური, ჩინური, იაპონური,  
 ჩრდილო და სამხრეთამერიკული თუ დედამიწის სხვა კუთხეების ასეულო-  
 ბით თქმულება გვიმოწმებს, რომ უხსოვარ ხანაში მართლაც მომხდარა  
 ამგვარი კატასტროფა.

იმის ცოდნაც გვმართებს, რომ ზოგიერთი მეცნიერი ამ თქმულებებს  
 ატლანტისის დაღუპვას უკავშირებს. არსებობს ძველისძველი გადმოცემა,  
 რომლის თანახმადაც ატლანტის ოკეანეში, ევროპასა და ამერიკას შორის,  
 ოდესღაც გადაჭიმული იყო ვრცელი კუნძული ატლანტისი, სადაც დიდი  
 კულტურა ჰყვოდა. გადმოცემის მიხედვით, კუნძული ატლანტისი წარ-  
 ლენის საზარელი კატასტროფის შედეგად ზღვის უფსკრულში დანთქმულა  
 და გაუჩინარებულა. ეს გადმოცემა პირველად მოხსენიებული აქვს დიდ  
 ფილოსოფოსს პლატონს თავის თხზულებებში „ტიმეოსსა“ და „კრიტი-  
 ასში“. მას შემდეგ, ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის შემდეგ,  
 ატლანტისის შესახებ უამრავი რამ დაიწერა, ოცდახუთი ათასზე მეტი  
 ნაშრომი გამოქვეყნდა, თუმცა დღემდე მაინც ვერ მოხერხდა იმის საბო-  
 ლოოდ დადგენა, მართლა არსებობდა ვრცელი და აყვავებული კუნძული  
 ატლანტისი, თუ ლეგენდაა მისი ამბავი.

ისიც ფრიად საგულისხმოა, რომ წარლენის შესახებ შემორჩენილ  
 თქმულებათა უმეტესობა გვამცნობს – იმ საშინელ წარლენას ადამიანთა  
 მხოლოდ ერთი წყვილი გადაურჩაო.

ამგვარი ცნობა დიდად უახლოვდება „ბიბლიის“ მონათხრობს, რომლის  
 მიხედვითაც წარლენას კაცთაგან არავინ გადარჩენია, ნოეს და მისი სახლე-  
 ულის გარდა.

ეს ასე მომხდარა: ქვეყნიერებაზე მცხოვრებთაგან ერთადერთ მართალსა  
 და ღვთისნიერ კაცს – ნოეს წარლენამდე ღმერთმა უბრძანა დიდი კიდობანი



ანუ ხომალდი აეგო და შიგ შეეყვანა თავისი ცოლი, სამი ვაფიშვილი და მათი მეუღლეები, აგრეთვე ყოველი ცხოველისა და ფრინველის შვიდ-შვიდი წყვილი, დედალ-მამალი. მხოლოდ ესენი უნდა გადარჩენოდნენ საყოველთაო წარღვნას და მათგან უნდა გამრავლებულიყო შემდგომში როგორც კაცთა, ისე ცხოველთა და ფრინველთა ახალი მოდგმა.

ნოემ გულმოდგინედ აღასრულა უფლის ბრძანება. წარღვნა რომ დაიწყო და წყალმა იმატა, ყოველი მხრივ დაგმანული კიდობანი ატივტივდა და ას ორმოცდაათ დღეს დაცურავდა აქეთ-იქით. ამის შემდეგ წყალმა თანდათანობით მოიკლო, ბოლოს ხმელეთიც გამოჩნდა და წარღვნას უვნებლად გადარჩენილი კიდობანის ბინადარნი სამშუოზე გამოვიდნენ არარატის მთებთან. ეს მთებში დღევანდელ თურქეთშია, ჩვენგან არც ისე შორს, სამხრეთით, თბილისიდან პირდაპირი ხაზით სამას კილომეტრზე არც იქნება. ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს – სომხეთის დედაქალაქ ერევნიდან სულ ახლოს მოჩანს.

ვიდრე თხრობას განვაგრძობდეთ, ერთი თავშესაქცევი ამბავი გავიხსენოთ.

საქართველოში წინათ მრავლად იყო კამეჩი – საყვარელი შესახედი, შავი, თვალეზბრიალა, დინჯი, ღონიერი ცხოველი, რომელსაც უღელში აბამდნენ ხარვიით. გულდასაწყვეტია, რომ დღესდღეობით კამეჩი თითქმის გადაშენებულია ჩვენში, ქართლ-კახეთისა და სამეგრელოს ზოგიერთ სოფელში თულა შეხვდებით, ასე რომ თქვენგან უმრავლესობას შესაძლოა ნანახიც არ ჰყავდეს. ვისაც უნახავს კამეჩი და მისი ბლავილიც სმენია, ალბათ შენიშნავდა: ბლავილისას კამეჩი თითქოს ერთ სიტყვას აღმოთქვამს – „ნოე-ე-ე!“. ამიტომ არის, რომ ქართველ ხალხში გავრცელებულია სახუმარო თქმულება: ნოემ ყველა ცხოველი როცა შესხა კიდობანში, კამეჩის შეყვანა დაავიწყდა და მას შემდეგ კამეჩი სულ „ნოე-ნოეს“ იმაზის, ნოეს თავი რომ შეახსენოსო.

ეს სახუმარო თქმულება იმდენად გავრცელებული ყოფილა, დიდი პოეტი დავით გურამიშვილიც კი შეუცდენია. დავით გურამიშვილს აქვს მშვენიერი პოემა „მხიარული ზაფხული“, რომელშიც, სხვა ამბავთა შორის, წარ-

ლენის ამბავიც არის მოთხრობილი ლექსად. იქ ვკითხულობთ:

ქართული  
ლიტერატურა

ნოეს კამბეჩი დაეიწყებოდა,  
სადღაც სიცხითა ლაფში წკებოდა,  
კიღობანს გარეთა ყვიროდა მწარეთა  
დიდისა ხმითა.

სახელს უძახდა ნოეს კამბეჩი:  
რასათვის ვრჩები სულ უკან ბეჩი,  
რასათვის მაგდებო და არ შემაგდებო  
მეც კიღობანში?

ნოემ პრქვა კამბეჩს: ეეჭობ, კამბეჩი  
მაგისტვის გერქვას, – ყოფილხარ ბეჩი,  
რღენის შიშით გაქვს ძრწოლა, ლაფშიგან ჩაწოლა  
რა დროსი იყო?

კინალარ დარჩი მაგ კარგის ბანით,  
მალე ამოდი, ჩამოძვერ ბანით! –  
თვისი ენა კამბეჩს დაეიწყდა მას ბეჩს  
ნოეს ძახილით.

ამად იძახის კამბეჩი „ნოეს“,  
თუ შენ გეგონოს არ სარწმუნო ეს,  
როცა მას ნახევდე, შენ მე დამძრახევდე,  
თუ მე ვტყუოდე.

დიდად საგულისხმოა, რომ დავით გურამიშვილს ჯერ ჩაუწერია თავის ხელნაწერში ეს სტრიქონები, მაგრამ შემდეგ გადაუხაზავს და გვერდზე ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „ეს კამბეჩის ამბავი წიგნში წერილში ვერცადა“



ენახე და ისევ მოეშალე. ვინც ეს წიგნი გადასწეროს, ნულარ დასწერს, ამისთვის რომე სჯულად არ დაიდვას ტყუილი”.

რალა თქმა უნდა, კამეჩის ამბავი „ბიბლიაში“ არსად წერია...

მიწაზე ფეხი დაადგა თუ არა ნოემ, პირველი ის მოიძოქმედა, რომ უფალს სამსხვერპლო აუგო და მსხვერპლი შესწირა ნიშნად მაღლიერებისა.

ამის შემდეგ მშვიდობიანად ცხოვრობდა ნოე და მისი ოჯახი. ნოემ მიწის დამუშავებას მიჰყო ხელი, ვაზიც გააშენა, ღვინო დაწურა. ეს ამბავი ჩვენთვის იმითაც არის საგულისხმო, რომ საქართველო უხსოვარი დროიდან ღვინის ქვეყანაა.

„აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი შვილები და უთხრა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა“ (დაბ. 9,1).

\*\*\*

სამი ვაჟიშვილი ჰყავდა ნოეს — სემი, ქამი და იაფეტი. „დაბადების“ მიხედვით, სწორედ ნოეს ძეთაგან გამრავლდა კაცობრიობა.

სემის შთამომავლებად მიჩნეულნი არიან ებრაელები, არაბები, ასურელები, ბაბილონელები, ფინიკიელები, სირიელები და მათი მონათესავე სხვა ხალხები, რომლებსაც სემიტებს უწოდებენ. ზოგიერთ თქვენგანს იქნებ გაგონილიც აქვს ტერმინი „სემიტური ენები“, რაც გულისხმობს იმ ენებს, რომლებზეც სემიტები (მაგალითად, ებრაელები, არაბები) მეტყველებენ.

სემიტური მოდგმის ხალხებს დიდი როლი აქვთ შესრულებული კაცობრიობის ისტორიაში.

ამ ხალხთაგან პირველად ებრაელები ვახსენოთ, სემიტთაგან ჩვენთვის ყველაზე ახლოს ნაცნობი ერის შვილები. ეს ახლო ნაცნობობა ძალიან ძველ დროს უნდა დაწყებულიყო, როდესაც ზოგიერთი ქართული ტომის წინაპრები გაცილებით სამხრეთით სახლობდნენ. გარდა ამისა, გადმოცემის თანახმად, ოცდაექვსი საუკუნის წინათ მტერთაგან შევიწროებულ ებრაელთა ერთი ნაწილი პალესტინიდან საქართველოში გადმოსახლებულა. აი, რამდენი ხანია ებრაელები ცხოვრობენ ჩვენში. აქ მათ მეორე სამშობლო პო-

ეეს. ქართველებს, მრავალი ხალხისგან განსხვავებით, არასოდეს შეუქიწროვებიათ ებრაელები, მუდამ მოყვარულად და მეგობრულად ექცეოდნენ. და ებრაელებმა დიდად დააფასეს ეს სიკეთე. როდესაც დადგა უამი და საქართველოში მცხოვრები ებრაელები თავიანთ განახლებულ სამშობლოს – ისრაელის სახელმწიფოს დაუბრუნდნენ, იქ საქართველოსა და ქართველების სიყვარული წაიფლიეს. ისინი არ ივიწყებენ მეორე სამშობლოს, ენატრებათ აქაურობა, მოსტირიან ჩვენს ბუნებას, ხალხს, ცხოვრების წესს. არც ქართულ ენას ივიწყებენ, ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს ბეჭდავენ ქართულად, ჩვენებურ სიმღერებსა და ცეკვებს მღერიან და ცეკვავენ, კაეშირს არ წყვეტენ ქართველ მეგობრებთან.

ჩვენც გვმართებს არ დავივიწყოთ, რომ პატივი უნდა მივაგოთ ამ მრავალტანჯული ერის შეიღებს, რომელთა ისტორია ჩვენსას იმით ჰკავს, რომ, ჯერ ერთი, ებრაელებიც და ქართველებიც ორი უძველესი ერია და, მეორეც, ორივეს ათეული საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა ყოველი მხრიდან შემოსეული მრავლის უმრავლესი მტრის მოგერიება. მართალია, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ებრაელებმა საკუთარი სამშობლო დაკარგეს და მთელ ქვეყნიერებაზე მიმოიფანტნენ, მაგრამ მანამდე მათ ძველთაძველი კულტურა ჰქონდათ შექმნილი და, რაც მთავარია, მათი შექმნილი იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მშვენიერი, საკვირველი წიგნი – „ძველი აღთქმა“ (თქვენ უკვე იცით, რომ ეს არის „ბიბლიის“ პირველი ნაწილი, ებრაულად დაწერილი). ესეც არ იყოს, ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეში მიმოფანტულმა ებრაელებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს საკაცობრიო კულტურის საგანძურში. მათ წარმოშვეს მსოფლიო მნიშვნელობის აურაცხელი ხელოვანი, მწერალი, მეცნიერი, მოაზროვნე. საერთოდ, ებრაელთა ნიჭიერება, საზრიანობა, შრომისმოყვარეობა და ამტანობა ხომ საქვეყნოდ არის განთქმული.

სემიტური მოდგმის სხვა ხალხს – არაბებს ქართველები გაცილებით უფრო გვიან გავეცანით, ახალი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეში. მაშინ დამპყრობლებად მოგვევლინენ არაბები, მრავალგზის ააოხრეს და გაანადგურეს ჩვენი ქვეყანა. განსაკუთრებით მწვავედ დარჩა ქართველთა მეხსი-



ერებაში მურვან ყრუს ლაშქრობა (735-736 წლებში) და ბულა თურქის ლაშქრობა (853 წელს). თბილისიცი აიღეს არაბებმა და ოთხ საუკუნეს ეპყრათ, ვიდრე დიდმა დავით აღმაშენებელმა არ გაათავისუფლა ჩვენი დედაქალაქი 1122 წელს.

მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული არაბებმა მრავალი სხვა ქვეყანაც დაიპყრეს – შუა აზია, ირანი, სომხეთი, ჩრდილო აფრიკა, ესპანეთი, ხმელთაშუა ზღვის კუნძულები – კრეტა, მალტა, სიცილია. მათი უზარმაზარი სახალიფო ინდოეთიდან ატლანტის ოკეანემდე იყო გადაჭიმული.

მაგრამ ძალიან საინტერესოა, რომ ეს დამპყრობელი, ნახევრად ველური ერი შემდგომ და შემდგომ დიდ საკაცობრიო კულტურას ეზიარა (თავის მიერვე დაპყრობილი ქვეყნების კულტურასაც), ხოლო მეცხრე-მეათე საუკუნეებიდან თვითონაც შექმნა ისეთი მაღალი კულტურა, რომელმაც გაკლენა მოახდინა არა მარტო აზიისა და აფრიკის, არამედ თვით ევროპის ქვეყნებზეც. არაბებმა დიდად წახწიეს წინ ფილოფოსია, მათემატიკა, ასტრონომია, გეოგრაფია, ქიმია, მედიცინა და სხვა მეცნიერებები, აგრეთვე მწერლობა. საგულისხმოა, რომ ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა მრავალი თხზულება დასაუღეთ ევროპაში არაბული თარგმანების მეშვეობით გაიცნეს. ქართველებიც ბევრ რასმე თარგმნიდნენ არაბულიდან. ფართოდ გავრცელდა არაბული დამწერლობა. მაკმადიანურ ქვეყნებში დღესაც უმთავრესად არაბულ ანბანს იყენებენ.

უფრო მნიშვნელოვანია არაბული ციფრების ამბავი. თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ მთელი მსოფლიო დღესდღეობით ორგვარ ციფრებს იყენებს: რომაულს (I, II, III... X, XX, XXX...) და არაბულს (1, 2, 3... 10, 20, 30...). ამთვან რომაული უკვე ერთობ იშვიათად იხმარება, ყველანი, ჩვეულებრივ, არაბულ ციფრებს კვითხულობთ და ეწერთ ყოველდღიურად. ამთავითვე გემართებს ვიცოდეთ, რომ ეს ციფრები სინამდვილეში ინდურია და არა არაბული, ინდოელებმა შექმნეს ეს ციფრები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაგრამ ისე მოხდა, რომ დანარჩენმა კაცობრიობამ ეს ციფრები არაბების მეშვეობით გაიცნო, კერძოდ, ევროპაში არაბებმა გაავრცელეს მათე-მეთორმეტე საუკუნეებში, და ამის გამო არაბული შეერქვა. წარმოვიდგინოთ, რო-

გორ გაგვიძნებოდა ცხოვრება, ეს ციფრები რომ არ არსებულყო.


არაბული კულტურის არნახულმა აყვავებამ თანდათანობით შეცვალა არაბებისადმი სხვა ხალხთა დამოკიდებულება. თავად ჩვენთვის, ქართველებისთვის უკვე მეთუ-მეთურთმეტე საუკუნეებიდან არაბები ველურსა და სისხლისმღვრელ დამპყრობლებს კი აღარ ნიშნავდნენ, არამედ შემპართებელ, კულტურულ, პატივსაცემ ხალხს. გაეიხსენოთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში შექმნილი ჩვენი მშვენიერი სარაინდო რომანის „ამირანდარეჯანიანის“ მთავარი პერსონაჟი ამირან დარეჯანისძე სწორედ არაბია, ბაღდადელი. ასევე არაბია „ვეფხისტყაოსნის“ აუთანდილი. ორივე ნაწარმოებში არაბები და არაბეთი საუკეთესო ხალხისა და საუკეთესო ქვეყნის სინონიმებია.

დღესდღეობით არაბები ას მილიონზე მეტნი არიან. არაბული სახელმწიფოებია: სირია, ლიბანი, იორდანია, ერაყი, ქუვეითი, საუდის არაბეთი, იემენი, ომანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ეგვიპტე, ტუნისი, ალჟირი, მაროკო და ზოგიერთი სხვა ქვეყანა.

სემიტური მოდგმის სხვა ხალხებზეც ვთქვათ ცოტა რამ.

ასურელები და ბაბილონელები ის ხალხები იყვნენ, რომლებიც შეენაცვლენ შუამდინარეთში ანუ მესოპოტამიაში უხსოვარი ხნიდან მოსახლე შემერებს, მათი მაღალგანვითარებული კულტურა იმეკვიდრეს და უძლიერესი სახელმწიფოები შექმნეს ძველი წელთაღრიცხვის მეორე და პირველ ათასწლეულებში. მათი გავლენა დასავლეთით შორს გადმოსცდა შუამდინარეთს. სხვათა შორის, ამიტომაც იყო, რომ ძველად ქართველები სირიას ასურეთს უწოდებდნენ. ეტყობა, დიდხანს შემოგვრჩა ხსოვნა იმ ეპოქისა, როდესაც ძლევამოსილი ასურეთი ჩვენს წინაპარ ტომებს ეომებოდა წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. შეგახსენებთ: მეოთხე კლასში ასურელ მამათა ამბავს რომ გავეცანით, ის ასურელი მამები ანუ ბერები სწორედ სირიიდან მოვევლინენ საქართველოს.

ფინიკიელები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბინადრობდნენ, დღევანდელი ლიბანისა და სირიის მიდამოებში. ოდითგანვე, ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულიდან, სახელგანთქმული გულადი ზღვაოსნები იყვნენ, დიდი კულტურის ხალხი. პირველად მათ შემოუარეს



ზომადღით აფრიკას ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეში. სააკაობრიო კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი იმით აქვთ შესრულებული, რომ მათ პირველებმა გამოიგონეს ანბანური დამწერლობა. ამის თაობაზე დაწერილებით <sup>უჩინო კლასებში</sup> მეშვიდე კლასში ვისაუბროთ, ამჟამად ის ვთქვათ მხოლოდ, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, უძველესი ქართული ანბანი – ასომთავრული სწორედ ფინიკიური ანბანის მიხედვით არის შექმნილი.

აისორებიც მოვიხსენიოთ. ესენი იგივე სირიელები ანუ ასურელები არიან, „აისორებს“ ჩვენ ეუწოდებთ შეცდომით. ეს სახელწოდება ყველა თქვენგანს გაგონილი არც ექნება. უმთავრესად თბილისის ძველ უბნებში სახლობენ აისორები, რბილი ხასიათით და კოლორიტული გარეგნობითა და ჩაცმულობით გამოირჩევიან. ზოგი თბილისელი აისორებსა და ქურთებს ვერ ასხვავებს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, სხვადასხვა წარმომავლობისა არიან ისინი.

ამგვარია ზოგიერთი სემიტური მოდგმის ხალხის – ნოეს ძის, სემის შთამომავალთა – ძალიან მოკლედ თქმული ამბავი.

ნოეს მეორე ვაჟიშვილს ქამი ერქვაო, – ვთქვით უკვე. მისგან წარმომდგარან ეგვიპტელები, ეთიოპელები, ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ზოგიერთი სხვა ხალხი, აგრეთვე ქანაანელები, ანუ ის ხალხები, პალესტინაში რომ სახლობდნენ ებრაელებამდე. ქამის შთამომავლებს, იგივე ქამიტებს, „დაბადება“ მოიხსენიებს, ვითარცა სხვა ხალხების მორჩილთ. იმიტომ, რომ ერთხელ ნოემ დაწყველა თავისი ვაჟის ქამის შთამომავლობა ქამის უხამსი, უდიერი საქციელის გამო. სხვათა შორის, გინც რუსულ ენაში გაწაფულია, ეცოდინება, რომ რუსები სხვათა გასაკიცხად არცთუ იშვიათად ხმარობენ სიტყვას ХАМ („ხამ“), რაც უღირს, თავხედ, უზრდელ კაცს ნიშნავს. ეს გამოთქმა რუსულ ენაში „ბიბლიიდან“ შევიდა (ნოეს ძის ქამის უხამს საქციელთან დაკავშირებით). სახელი „ქამი“ რუსულად გამოითქმის „ხამ“. რუსულის გავლენით ზოგჯერ ქართველნიც იტყვიან ხოლმე უზრდელ კაცზე – ნამდვილი ხამი არისო. ვინც იცის, რომ ნოეს ვაჟს ქართულად ქამი ეწოდება და არა ხამი, მაშინვე მიხვდება ამ შეცდომას.


უმცროსი ვაჟი, გვახსოვს ალბათ, იაფეტი გახლდათ. ნოეს დალოცვის

თანახმად, იაფეტის შთამომავლობა უნდა განერცობილიყო, ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეს მოჰყენოდა. და მართლაც, ფიქრობენ „ბიბლიის“ განმმარტებელნი, იაფეტის შთამომავალნი იყვნენ ის ხალხები, რომლებიც ინდოეთში, დასავლეთ აზიასა და ევროპაში, შემდგომ კი ევროპიდან ამერიკაშიც დაემკვიდრნენ. ამ ხალხებს ინდოევროპელებსაც უწოდებენ (ინდოელები და ევროპელები საერთო წარმომავლობისანი არიან). ინდოელებმა და ირანელებმა (სპარსელებმა), ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულიდან მოყოლებული, უმდიდრესი კულტურები შექმნეს. ოდნავ მოგვიანებით საკაცობრიო კულტურის ასპარეზზე ბერძნები გამობრწყინდნენ, შემდეგ — რომაელები და მათი მემკვიდრე იტალიელები, გერმანელები, ფრანგები, ესპანელები, ინგლისელები, სხვანი და სხვანი — მსოფლიოში სახელგანთქმული ევროპელი ერები. უკანასკნელი ორი ათას ხუთასი წლის განმავლობაში საკაცობრიო კულტურა ყველაზე მეტად სწორედ ამ ერებმა განავითარეს და კაცობრიობა მანამდე არნახულ საფეხურზე აიყვანეს. ყველა ესენი შთამომავალნი არიან იაფეტის შვიდი ვაჟიშვილისა, რომელთა სახელებია: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი (მოსოქი) და თირასი.

ამ შვიდი სახელიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მეხუთე და მეექვსე — თუბალი და მეშექი. რადგან, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ეს არის ქართველ ტომთა წინაპრების სახელები. სიტყვა „თუბალი“ შემდგომში თანდათან შეიცვალა და მისგან მივიღეთ „იბერი“. გაგონილი გეჭნებათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთ ძველად „იბერებს“ უწოდებდნენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს იბერია ერქვა. სიტყვა „მეშექი“ (მოსოქი) არის იგივე „მესხი“, სამხრეთ საქართველოში დღესაც მოხინადრე ტომის — მესხების სახელწოდება. მაშასადამე, „დაბადების“ ავტორი ქართველ ტომებს უძველეს ხალხად მიიჩნევს, ნოეს ძის იაფეტის უშუალო შთამომავლებად, ევროპელთა ღვიძლ ძმებად.

\*\*\*

ნოეს შთამომავალთაგან გამრავლებული კაცთა მოდგმა თავდაპირველად ერთიმეორის გვერდიგვერდ მჭიდროდ სახლობდა და ერთ ენაზე მე-



ტყველებდა. წარღვნის შემდეგ ხანი გავიდა და ადამიანთა ერთ ნაწილს კელავ გაუჩნდა ცოდვისკენ მიდრეკილება.

ამჯერად ეს უმთავრესად ამპარტავენება იყო, ის ცოდვა, რომელიც ერთობ მწელად დასაძლევეია (ამის თაობაზე ზემოთაც გვექონდა საუბარი). ამ ცოდვით შეპყრობილებმა გადაწყვიტეს ქალაქ ბაბილონში იმგვარი გოდოლი ანუ კომპი აეგოთ, ცხად რომ მისწვდებოდა სიმაღლით. ამით თითქოს უფალ-თან მოიწადინეს შეტოქება. დაიწვეს კიდევ გოდოლის შენება. მაშინ ღმერთმა მანამდე ერთ ენაზე მეტყველ ხალხებს ენები აურიო, ხალხი სხვადასხვა ენაზე აღაპარაკდა და ერთიმეორეს ველარაფერს აგებინებდნენ. გოდოლის მშენებლობა მარცხით დამთავრდა. სხვადასხვა ენებზე ამეტყველებული ხალხები ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ. ასე დაიწყო კაცობრიობის ცხოვრების ახალი ხანა.


ბაბილონის გოდოლის ამბავი უსიამოვნო, ოღონდ ჭკუის სასწაველ მოგონებადღა შემორჩა ჩვენს ხსოვნას.

ცახ რომ შეზდებს, ნახვს ვარსკლავნი,  
ხელნი აწოდნეს, არ შესწვდა მკლავნი.  
თქვეს ცოდლის აგება, — მით ესწვდეთთა აგება  
შეცოერს ხაქმებ.  
მკერბენ ერთსმოობით აღსაშენებლად,  
რომლითაც აღხელა შეჯახ ენებათ.  
აქენდათ ვრთი ენა, მათ სიტყვა და სმენა  
კანუყოფელი...  
რა რომ კანიუნენ მრავლად ენებად,  
ველარ შეუძლეს ცოდლის შენებად,  
ცალ-ცალკე არესა, სხვადასხვა მხარესა  
კანთესულ იქმნენ.

დავით გურამიშვილი

## სიტყვათა სარაო

- აგება (128) - (აქ) ვება იქება  
 ალაღაშ (91) - გულახდილად გულწრფელად გულმართლად  
 აღზარდა (105) - დასრულდა ირბადა  
 ანახლები (104) - ახსლავდა  
 ანაპრობანი ანაპრობანი (111) - ისეთ ვინმეზე ითქმის ვინც ბავშვი მოზარდი ქა-  
 ბუკი ან ქალიშვილი კი აღარ არის უკვე დიდია ისაკმაო შესული  
 ანაპრობანი (92) - შეაჩერა, არ შეასრულებინა  
 ანაპრობანი „საღი ანაპრობანი“ (128) - ხელუბი გაიწვინეს  
 ანაპრობანი (125) - (აქ) დასაგლეით აზიის ის ნაწილი სადაც დღეს  
 არის თურქეთი ხარია ღობანი  
  
 ბანი (121) - შტერი ვაშტერებული  
 ბილსობა (111) - ცუდი უხამსი სიტყვების თქმა უწამური ღაბარაკა  
 ბრალუბანი (102) - დამნაშავე  
  
 ბაპრობანი (111) - მოერიდოს, მოშორდეს  
 ბაპრობანი (92) - მოესპო, შეეწყვიტა ვაუწყებინა  
 ბაპრობანი (88) - შეტისშეტად გაეთამაშდებით გაეთაყუდდებით  
 ბაპრობანი (89) - (აქ) წაბრძინდა ვაიკურუმა (დაცინეთ არის ნათქვამი)  
 ბაპრობანი (95) - მოშორდნენ  
 ბაპრობანი (86) - (აქ) შექნა  
 ბაპრობანი (115) - იყოფა რაც იგაერდოს<sup>4</sup>  
 ბაპრობანი (127) - გაერცვლებულიყო  
 ბაპრობანი (128) - მიმოიფანტენ  
 ბაპრობანი (89) - დიდი ვახაქარი  
 ბაპრობანი (87) - გადახდა



- გაზრდადგომა (107) - ფრიად-ფრიადით წაყვლიდა
- გაზრდა (102) - (აქ) გულმოდგინედ შეამოსმა
- გაზრდა (107) - უწყულოდ მუტისმუტდ ნიქიური და ქვეიანი
- გაზრდა (97) - გეაცვია
- გაზრდა (103) - რისხვა გაჯავრება: გაგულისება
- გაზრდა (111) - ფიცხობა, მოთმინების მალე დაქარგვა, ადვილად გაგულისება


- გაზრდა (112) - მოგვერევა
- გაზრდა (120) - (აქ) ყოველმხრივ მკიდროდ ამოქოლილი
- გაზრდა (103) - (აქ) დაუშოშინებინა, დაუშეფიებინა
- გაზრდა (88) - შემამოსევი წილად მარგუნე.
- გაზრდა (104) - დაარტყა
- გაზრდა (119) - ჩაძირულია
- გაზრდა, თავის დასარჩენად (100) - თავის ხარჭინად
- გაზრდა (94) - ფეცვა რაც „დაწვი“.
- გაზრდა (97) - ტიტველი, უტანსაცემლო, შეუქმნა
- გაზრდა (114) - სიმძიმის ასაწევი სელოსაწეო მანქანას ხაზურავს რომ უკვლიან, დომკრატით აწევენ სოღით

- გაზრდა (100) - ესამება, ეთანხება, შეესატყვისება
- გაზრდა (106) - ჰქვია
- გაზრდა (128) - უნდობათ, ეწადათ

გაზრდა (102) - ვაკეობით

- გაზრდა (116) - შეფარული დაცინება
- გაზრდა (99) - იწვრონება

- ატასტრინა (119) - უბედურების მომტანი დამღუბელი რამე რომ მოხდება.
- ბანანი (98) - ამ მცენარეს წვრილ-წვრილი ცისფერი ყვავილები ასხია ცის-  
ნაც ქვია.
- ბანანი (98) - ეს სიტყვა ასე <sup>ანება;</sup> ცილკე არ ისმუნაბ იოქის - შენი კენესამე.  
თუ დაუკვირდებით, ადვილად მიგხედებით, რომ შენი კენესამე არის შენი კენესა მე.  
ესე იგი - შენის კენესა, შენი ქირო, შენი უბედურება მე შერგოს, მე დამატყდესო.  
ზუსტად ასევეა მიღებული გამოთქმა შენი ქირომე/ესე იგი - შენი ქირო მე შერგოს  
მე შემბოსხეეს მე დამატყდესო.
- ბანანი (121) - კანალია
- ბანანი (104) - რიდი, მორიდება.
- ბანანი (119) - (აქ) გამოგონებული აზბაფა.
- ბანანი (114) - მაგალითების დასახელება.
- ბანანი (102) - (აქ) ნიქო, უნარი.
- ბანანი (116) - ისეთ კაცს ქვია ვინც მხოლოდ თავისთავზე ფიქრობს და  
ზრუნავს სხვები არ ენადღელება.
- ბანანი (114) - მქვია.
- ბანანი (88) - ის ვინც სხვებთან ერთად უზის სუფრას.
- ბანანი (100) - დაერილი მიწით შემადგენელი ადგილი.
- ბანანი (109) - მეტისმეტად მოხუცებული.
- ბანანი (100) - ქვინდა.
- ბანანი (97) - დროებით შესანახად.
- ბანანი (103) - (აქ) ის რაც უნდა მოხდეს.
- ბანანი (89) - (აქ) არასწორი/უკუღმართო.
- ბანანი (91) - მყოფელი.
- ბანანი (106) - ძველი მოყარე.
- ბანანი (89) - ძალიან ბევრ მყოფი.
- ბანანი (101) - შინაური საქონლის პირველი შვილი.



ნარმასუზარ (93) - გადაკრულად/ მინიშებით

ნატაშაი (104) - ხელ მკორე რამ

ნამხარი (103) - ვაკეთებულა

ნატარი ცხომრება (91) - ერთობ სასიამოვნო დაღმუნლო, ბედნიერი ცხოვრება

ნაოფსიითიან დარუბანაშვი (117) - ნაოფსია ძველად ქალაქი იყო შვი ზღვის პირას ახლანდელი ტუაფსედან ჩრდილო-დასავლეთით დარუბანდი კასპის ზღვის პირა ქალაქი იყო დღეს დერბენდი ქქია დიდესტანშია დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების დროს საქართველო შვი ზღვიდან კასპის ზღვამდე, ნაოფსიიდან დარუბანდამდე გადაქიშული დიდი სასელაშვი იყო

ოფიო (117) - ოფიოგან ძველი დროიდან

ოფიოზანსი (125) - თაფიდანე ძველი დროიდანე.

პატინის შინაბა (115) - პატინისცემა

პირაულაშენი (96) - პირველად შექმნილი

პირაოთნაშა (111) - პირში ქება/ მლიქნელობა.

პირაშა (96) - პირველი შვილი

პირაშა (89) - თეატრში სექტაკლის პირველი წარმოდგენა

რას ში ბაშაშა (115) - (აქ) რაც შეუძლია

რავალი (102) - ბრინჯაო

რამი (104) - მორიდება

რანა (121) - წარღვნა დიდი წყლის მოსვლობა

საბაშისშარი (90) - დამღუბელი

საბაშაშაშა (89) - განსაკუთრებული/ საგანგებო

საბაშაშაშა (101) - ტაძრის ნაწილი/ სადაც მსხვერპლი შეიწირება

სასალონი (124) - სალიონის საბრძანებელი სალიონა არაბთა ქვეყნის განმგებლის ერქვა

საქონი (125) - ერთნაირი მნიშვნელობის მქონე განსხვავებული სიტყვები სინონიმებია, მაგალითად სიტყვები ცნახს და ზვარი დაძაღუა და დაფარა, მორთვა და მოკაზმვა, დახერხვა და დაქცევა, ხაფიალი და სამარე, სიწყნარე და სიმშვიდე და მისთანანი.

საქონი (112) - მუცელი

საქონი (111) - მოთმენლობა, ხელნახულობა

საქონი (98) - შევნიერა, მომხდებელი

საქონი (104) - მოურადებელი თავსეფურა

საქონი (102) - (აქ) უსაზღვრო

საქონი (120) - ხარის ან კამეჩის ქედზე დასადგმელი გათლილი ხე

საქონი (91) - შეუბრალებელი

საქონი (115) - (აქ) გველი

საქონი (86) - ძალიან დიდად

საქონი, სარქულია საქონი (93) - ცრემლების უსაბე ყრა

საქონი (103) - ჩვენი ხელიერი ბუნება

საქონი (92) - მოქმედება

საქონი (119) - მოწყალე კეთილი ადამიანი

საქონი (117) - ღირსეულად უსახურებოდა

საქონი (92) - შეკრა, შებოქვა

საქონი (124) - დაერქვა

საქონი (89) - ღვინო დალია

საქონი (88) - დაღაღით, სხამაღლა მემართათუ.



შვიდმთავარი (125) - გულაღა

შვიდმთავარი (107) - ირველიე შემორტყმული

შვიდმთავარი (91) - ვამბეზი

შეუღალ (105) - სწორად პირდაპირ

შთაპირა (86) - ჩაბერა

ჩაინდურა (103) - ჩაღუნვა

ციხე შვიდლი (104) - ცისარტყელი

ძალუგა (100) - ძლიერად

ძალუს (99) - შეუჭლია

წამიყვანა (118) - ვაიწყნა გაუწმინდურდა

წამისწამ (89) - წამდაუწუმ

წამიწმინდურდა (114) - ყელწაგრძელებული წამიძაროება

წამიწმინდური (100) - მიმართულების გეზის მიმცემი წინამძღოლი

წამიწმინდური (98) - წამიძღვანელი

წელის ამოღება (112) - როცა კაცს რაიმე საქმის გაკეთება ძალიან უზარება და იმ საქმის დაწყებას ავიწყებს, იმაზე იტყვიან - წელს ითრევსო

წინა აზრი (125) - (აქ) მცირე აზრი დღევანდელი თურქეთი

წინაწინი (102) - საკრავია ერთიმეორეზე დასარტყელი ლითონის თევზები

წინაწინი (118) - ძველად სიგრძე-სიგანესა თუ სიმაღლეს მეტრების მიხედვით კი არ უზომავდნენ, წყროის მიხედვით ანგარიშობდნენ. წყროის სიგრძე არის კაცის სული იდაყვიდან შუათითის წვერამდე

საპირი (95) - ბედი

სრება (104) - უოსრა

## სარჩევი

ბიბლია -----	3
თავი პირველი -----	3
თავი მეორე -----	15
თავი მესამე -----	31
თავი მეოთხე -----	36
სიტყვათა სალარო -----	45
„რომელმან შექმნა სამყარო“ -----	72
სიტყვათა სალარო -----	83
კაცის თავბადასავალი -----	86
თავი პირველი -----	86
თავი მეორე -----	95
თავი მესამე -----	105
თავი მეოთხე -----	118
სიტყვათა სალარო -----	129

115/62L



~~გარეკანის პირველ გვერდზე:  
სვეტიცხოველი და მცხეთის ჯვარი.~~

~~გარეკანის ბოლო გვერდზე:  
ბოლნისის ჯვარი და კედლის წარწერა.~~

~~დასტამბა შ.პ.ს „ზეკარმა“  
თბილისი, სასათიანის ქ. 7.  
შეკვეთა №3. 1.06.98~~

2g.

F114.4401  
3